დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ დასავალი
2023 წლის 16 - 22 ოქტომბერი
N 45 1509
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# ბოლომდე!

## «ასავალ-დასავალის» შეუპოვარმა ბრძოლამ შედეგი კვლავ გამოიღო: ადეიშვილის ღამის ნოტარიუსი გინტური დაპატიმრებულია!





შექებას იმსახურებს ირაკლი შოთაძის უწყებაც, რომელმაც ორგანიზებული თაღლითური ჯგუფის დანაშაულებრივი საქმიანობა აღკვეთა და ადეიშვილის ღამის ნოტარიუსს დამსახურებული ადგილი მიუჩინა!



იუსტიციის მინისტრს რატი ბრეგაძეს გულწრფელად ვულოცავთ, რომ ვაი-ნოტარიუს გინტურის სახით მის სისტემას სააკაშვილ-ადეიშვილის რეჟიმის დიდი სიმსივნური მეტასტაზი მოშორდა!





### მოვუწოდებთ ვახტანგ გომელაურსა და გრიგოლ ლილუაშვილს: ზურაბ ადეიშვილის თაღლით ნოტარიუსს ქართველი ხალხის ქონება არ გაატანოთ და საქართველოდან არ გაუშვათ!



ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ!

### იმ მოსამართლეებმა, რომლებმაც თეა წულუკიანის მიერ თანამდებობიდან გასმული გინტური კვლავ თანამდებობაზე დასვეს, ყელში დანა გამოუსვეს არამხოლოდ რატი ბრეგაძეს, არამედ მთელ ქართულ ნოტარიატს!



მოსამართლეები - ბიძინა სტურუა, მაია ვაჩაძე, გოჩა აბუსერიძე




2-5

## თამაზ გელაშვილი: დამკითხეთ!

## ორმაგი ორბანი



### უნგრეთის პრემიერს ქართველი ხალხისაგან მადლობაც ეკუთვნის და საყვედურიც!

6 7

თუ ვიქტორ ორბანი საქართველოს ნამდვილი მეგობარი და ქართველი ხალხის პატივისმცემელია, უნგრეთში თავშეფარებულ ნაცრიმინალებს — ერეკლე კოდუასა და გია უდესიანს ხელბორკილები უნდა დაადოს და ქართულ სახელმწიფოს გადმოსცეს!




## ცარიელი ადგილი

22



### როცა მისაღებიც მიულებელია!

სააკაშვილს საზოგადოებრივი ტუალეტის მაგივრად საზოგადოებრივი მისაღები გაუხსნეს!

8 9

## ხრონიკული მომჩივანი და მისი ვექილი

12

# «ასავალ-დასავალის» შეუპოვარმა ბრძოლამ შედეგი კვლავ გამოიღო:

# ადეიშვილის ღამის ნოტარიუსი გინტური დააპატიმრებულია!



***მოდით, პირდაპირ მთავარი სათქმელით დავიწყოთ: სამართლიანობის აღსადგენად „ასავალ-დასავალის“ შეუპოვარმა ბრძოლამ შედეგი ამჯერადაც გამოიღო და საქართველოს იუსტიციის სისტემას, როგორც იქნა, დიდი ჭირი მოშორდა!***

დიდი ჭირი და დიდი სირცხვილი, სახელად — **ნუნუ გინტური,** ხოლო მეტსახელად — **ადეიშვილის ღამის ნოტარიუსი!**

დიახ, სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმისა და **პირადად ზურაბ ადეიშვილის ღამის ნოტარიუსად ცნობილი ნუნუ გინტური,** რომლის სახელსაც უამრავი პატიოსანი ადამიანის, მათ შორის, ბიზნესმენ **თამაზ გელაშვილისა** და სახელოვანი ქართველი ფეხბურთელის **გოჩა მაჩაიძის** გაუბედურება უკავშირდება, გასულ კვირას კიდევ ერთხელ დააკავეს.

**ჰო, კიდევ ერთხელ, რადგან სააკაშვილის რეჟიმის ღამის ნოტარიუსი სისხლის სამართლის პასუხისგებაში 7 წლის წინათაც იყო მიცემული!**

კერძოდ, **ნუნუ გინტური** გისოსებს მიღმა მოხვდა 2016 წლის აპრილში, როცა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავა. მაშინ გამოძიებით დადგინდა, რომ **ნოტარიუსმა გინტურმა ორ მოქალაქეს, რომელთაგანაც ერთი ბინათმშენებლობის ამხანაგობის თავმჯდომარე გახლდათ, შეღავათიანი სესხის აღებაში დახმარება აღუთქვა და კონკრეტულ პირზე მოტყუებით გააცემინა მინდობილობა უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით.** რეალურად, ნოტარიუსმა გინტურმა და მისმა თანამზრახველმა **ია იაშვილმა** მოქალაქეებს სესხის ხელშეკრულების მაგივრად უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმებინეს და თბილისში მდებარე ერთ-ერთ მრავალსართულიან კორპუსში ბინები უკანონოდ გაყიდეს. **გამოძიების მასალების მიხედვით, ნოტარიუს გინტურისა და მისი თანამზრახველის მიერ მოქალაქეებისათვის მიყენებულმა ზიანმა 604 736 ამერიკული დოლარი შეადგინა.**

რაც შეეხება ადეიშვილის ღამის ნოტარიუსის ახლანდელ, **ხელმეორე დაკავებას,** ეს 2023 წლის 11 ოქტომბერს მოხდა. **ნუნუ გინტურს,** ნოტარიუს **ზაალ ბათუაშვილთან** და მის თანაშემწესთან ერთად, **ხელბორკილები პირდაპირ თბილისის პროკურატურის შენობაში დაადეს და ბრალად წაუყენეს დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლებაში დახმარება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რაც 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

გამოძიების მასალების თანახმად, **ნოტარიუსი გინტური, ნოტარიუს ბათუაშვილთან და მის თანაშემწესთან ერთად,** ორგანიზებულ თაღლითურ ჯგუფს ბინების დაგირავებით დაინტერესებულ მოქალაქეთა გაცურებასა და მათი კუთვნილი თანხების უკანონოდ დაუფლებაში ეხმარებოდა. **დანაშაულებრივი სქემა ასეთი იყო: თაღლითური ჯგუფის წევრთა ერთი ნაწილი ბინის დაგირავების მსურველ მოქალაქეებს მაკლერებად ეცნობოდა, ხოლო იმავე თაღლითური ჯგუფის წევრთა მეორე ნაწილი — ბინების მესაკუთრეებად. ბინის დაგირავების მსურველებს ეჭვი რომ არაფერზე აეღოთ, თაღლითებს ისინი ნუნუ გინტურისა და ზაალ ბათუაშვილის სანოტარო ბიუროებში მიჰყავდათ, სადაც ოფიციალურად უფორმებდნენ ხელშეკრულებებს.**

ძაღლის თავიც სწორედ ამ ხელშეკრულებებში გახლდათ დამარხული!

კერძოდ, **ბინის მესაკუთრესა და ბინის დამგირავებელს შორის იპოთეკისა და ბინით სარგებლობის ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო, რაც იმის გარანტია იქნებოდა, რომ თუ ბინის მეპატრონე ბინის დამგირავებელს გირაოს თანხას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში არ დაუბრუნებდა, ბინა დამგირავებლის საკუთრებაში გადავიდოდა.** თუმცა, **ნოტარიუსი გინტური და მისი კოლეგა,** რომლებიც დანაშაულებრივ ჯგუფთან იყვნენ შეკრული, ბინის დაგირავების მსურველებს იპოთეკისა და **ბინით სარგებლობის ხელშეკრულების ნაცვლად სესხის ხელშეკრულებას უფორმებდნენ,** რაც ზემოხსენებულ გარანტიას გამორიცხავდა.

როგორც პროკურატურის განცხადებაშია აღნიშნული, **ნუნუ გინტური და მისი კოლეგა** თითოეული ხელშეკრულების გაფორმების სანაცვლოდ თაღლითებისაგან გასამრჯელოს იღებდნენ, საბოლოო ჯამში კი, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, **ნოტარიუს გინტურის, ნოტარიუს ბათუაშვილისა და მისი თანაშემწის** დახმარებით, 94 დაზარალებულის


ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ!

ადეიშვილის ღამის ნოტარიუსი დაუსჯელი არ უნდა დარჩეს!!!

„ასავალ-დასავალი“. 2022 წლის №45

«ვითხოვთ საქართველოს იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძესთან შეხვედრას, რათა თაღლითობაში არაერთხელ მხილებული ნოტარიუსის ნუნუ გინტურის ჯამხილებელი მასალები გადავცეთ!»

ეს არის! არის ეს!

რატი ბრეგაძე გახდა, ნუნუ გინტურმა ნოტარიუსის ლიცენზია სასამართლოში ჩანერგილი ნაცი მოსამართლეების ხელშეწყობით, მაშინვე აღიდგინა!

როგორც კი წულუკიანი წავიდა და იუსტიციის მინისტრი

# სამართალი ბოლომდე

## კვირის ვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



შარშან **საკმაოდ უსამართლოდ მოგვექცნენ** ჩვენ, ჩვენს ქვეყანას და ამას თავისი სახელი დაარქვა **ბატონმა ვიქტორმა** ბუდაპეშტში, როდესაც ამ გადაწყვეტილებას უწოდა **„ამორალური და უსამართლო“.**

დღეს, ამაყად შეგვიძლია ვთქვათ, რომ **ნამდვილი ევროპელი ლიდერების, ისეთი, როგორიც ბატონი ორბანია,** ძლიერი მხარდაჭერა გვაქვს.

„ინტერპრესნიუსი“

**ვიქტორ ორბანი**
*უნგრეთის პრემიერ-მინისტრი*



ძალიან გულდაწყვეტილი და გაბრაზებული ვართ, რომ **საქართველომ კანდიდატის სტატუსი ვერ მიიღო, როცა ის ქვეყნები, რომლებმაც მიიღეს, გაცილებით ჩამორჩენილი არიან** — ეს მალე უნდა გამოსწორდეს!

„ინტერპრესნიუსი“

**პიტერ სიიარტო**
*უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი*



**ევროკავშირი ფარისევლურად ექცევა საქართველოს,** მას შეუძლია, საქართველოსგან სიახლე მიიღოს, ვსაუბრობთ ქვეყანაზე, რომელიც **ზედიზედ ორი წელია, აღწევს ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას.**

„პირველი არხი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



საქართველო **აქამდეც იმსახურებდა სტატუსს,** მაგრამ არასამართლიანი პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო მიღებული.

„საქართველოს რესპუბლიკა“



# საკაშვილის ცხრაწლიანი დანაშაულებრივი რეჟიმის მსახურის, ადეიშვილის ღამის ნოტარიუს ნუნუ გინტურის სამართალში მიცემა ერთი პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმ დიდ საქმეში, რასაც სამართლიანობის აღდგენა ჰქვია!

**საქართველოს იუსტიციის მინისტრს რატი ბრეგაძეს გულწრფელად ვულოცავთ, რომ ვაი-ნოტარიუს ნუნუ გინტურის სახით მის სისტემას საკაშვილ-ადეიშვილის რეჟიმის ერთი დიდი სიმსივნური მეტასტაზი მოშორდა!**



კუთვნილ **2 686 700 ლარს** დაეუფლნენ.

ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, **რომლებმაც ათეულობით მოქალაქე არამხოლოდ უბინაოდ, არამედ უგროშკაპიკოდ დატოვეს,** კარგა ხანია, პასუხისგებაში არიან მიცემული და სასამართლოს მიერ დაკისრებულ სასჯელს ციხეში იხდიან, დღეს კი სამართლის აქლემმა, როგორც იქნა, მათი თანამზრახველი ნოტარიუსების კარებთანაც დაიჩოქა!

**ჩვენმა მრავალრიცხოვანმა მკითხველმა კარგად იცის, „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე როგორ ინტენსიურად და დაუღალავად ვარისხებდით განგაშის ზარებს იმის გამო, რომ სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულებრივ ქმედებათა მონაწილე, ადეიშვილის ღამის ნოტარიუსად წოდებული ნუნუ გინტური კვლავ ქართულ ნოტარიატში რჩებოდა!**

რაც მთავარია, განგაშს ვტეხდით არამხოლოდ იმიტომ, რომ **გინტური** თავისი შავბნელი წარსულის გამო არ იმსახურებდა მოქმედი ნოტარიუსის სტატუსს, არამედ იმიტომაც, რომ **ღრმად ვიყავით დარწმუნებული — ამ ქალს, რომელიც საკაშვილის უბოროტეს და უბილწეს რეჟიმს 9 წელი ემსახურა, მამაზეციერიც ვერ გამოასწორებდა და ადეიშვილის ღამის ნოტარიუსი კიდევ მრავალ ადამიანს გაუმწარებდა სიცოცხლეს!**

სხვანაირად რომ ვთქვათ, **ნუნუ გინტური,** რომელსაც **საკაშვილ-ადეიშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის** თანამეინახეობა ხახვივით შერჩა, მოქმედი ნოტარიუსის ამპლუაში საფრთხეს უქმნიდა საქართველოს მოქალაქეების კერძო საკუთრებას, ეკონომიკურ მდგომარეობასა და ჯანმრთელობასაც კი, რადგან **მისი თაღლითობის მსხვერპლთაგან რამდენიმე ადამიანი ვიცით, ვისაც ნერვიულობის ნიადაგზე ან ინფარქტმა დაარტყა, ან კიდევ შაქრიანი დიაბეტი დაემართა და ინსულინდამოკიდებული გახდა...**

იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ **ადეიშვილის ღამის ნოტარიუსის ქართულ ნოტარიატში ყოფნა დიდი შავი ლაქა იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მთლიანად ქართული სახელმწიფოსათვის!**

ეს კარგად ესმოდა **კულტურის მოქმედ იუსტიციის ყოფილ მინისტრ თეა წულუკიანსაც,** რომელმაც 2014 წლის 16 მაისს №123 ბრძანება გამოსცა: ***„ნოტარიუსი ნუნუ გინტური 2014 წლის 17 მაისიდან გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან, შეუწყდეს ნოტარიუსის უფლებამოსილება და ამოირიცხოს საქართველოს***

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*


თეა წულუკიანის მიერ გასმული ნუნუ გინტური რატი ბრეგაძეს შეუსვეს!

რატისაგან ველით პასუხს!

იმ მოსამართლეებმა, რომლებმაც თეა წულუკიანის მიერ თანამდებობიდან გასმული გინტური კვლავ თანამდებობაზე დასვეს, ყელში დანა გამოუსვეს არამხოლოდ რატი ბრეგაძეს, არამედ მთელ ქართულ ნოტარიატს!

მოსამართლეები – ბიძინა სტურუა, მაია ვაჩაძე, გოჩა აბუსერიძე

ბიძინა სტურუა, მაია ვაჩაძე და გოჩა აბუსერიძე არიან უზენაესი სასამართლოს ის მოსამართლეები, რომლებმაც საბოლოო ბეჭედი დასვეს და საკაშვილ-ადეიშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის ღამის ნოტარიუსი გინტური, რომელიც ნოტარიატიდან თეა წულუკიანმა გასვა, რატი ბრეგაძეს ისევ ნოტარიატში შეუსვეს!

ადეიშვილის აგენტურა და ა-გინტურ-ა ქართული სახელმწიფოს ნიადაგიდან ძირფესვიანად უნდა ამოიძირკოს!

ამის ძახილით, ამის ღაღადით, ამის წერით არ დავიღლებით მანამ, სანამ ადეიშვილის აგენტურა და ა-გინტურ-ა საბოლოოდ არ აილაგმება!

„ასავალ-დასავალი“. 2023 წლის №6


„ასავალ-დასავალი“. 2022 წლის №48

ელიზბარ ჯაველიძე:

მივმართავ იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძეს –

ზნედაცემულმა ნუნუ გინტურმა, რომელმაც ჩამორთმეული ნოტარიუსობა აღიდგინა, ჩემს უახლოეს მეგობარს თამაზ გელაშვილს უსირცხვილოდ განუცხადა: ფულს რომ დავინახავ, ორგაზმი მეწყებაო!

# უნდა აღსრულდეს!



**მეუფე შიო**
*საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე*



**ყოველი ადამიანის ვალია, ევედროს უფალს,** ეძიოს ეს გზა და ამ გზით იაროს — ჩვენი ერიც, **მიუხედავად მრავალი შეცდომისა და დაცემისა,** ყოველთვის ცდილობდა, ამ ღვთივდადგენილი გზით ევლო.

„ინტერპრესნიუსი“

**რობინ დანიგენი**
*საქართველოში აშშ-ის ელჩი*



ვიცი, რომ **საქართველოს ხელისუფლებას და ხალხს სურს ინტეგრაციის გაღრმავება ევროკავშირთან, ნატოსთან, დასავლეთთან** — მჭიდროდ ვითანამშრომლებ საქართველოსთან ამ მიზნის მისაღწევად.

„ინტერპრესნიუსი“

**ილია დარჩიაშვილი**
*საგარეო საქმეთა მინისტრი*



ჩვენ გვაქვს მოლოდინი, რომ **ქალბატონი ელჩი** შეიტანს თავის ძალიან ღირებულ როლს, **კიდევ უფრო დაახლოვდეს ამერიკულ-ქართული ურთიერთობები.** ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ **მასთან ერთად ვიმუშაოთ ძალიან მჭიდროდ** და ეს ურთიერთობები ავიყვანოთ კიდევ უფრო ახალ ხარისხში.

„ინტერპრესნიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**გაიხედეთ, რა ხდება ჩვენი ქვეყნის გარშემო,** ამ სიტყვის ბუკვალური მნიშვნელობით — **საქართველოში ამ დროს არის მშვიდობა,** ეს არის, რასაც უზრუნველყოფს ჩვენი პოლიტიკა.

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი ჩიქოვანი**
*პარლამენტარი*



საქართველოს პოზიცია არის ერთი, რომ **ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას აღვადგენთ მშვიდობიანი გზით,** აფხაზ და ოს ძმებთან ერთად ავაშენებთ ევროპულ სახელმწიფოს.

„პირველი არხი“

# «ასავალ-დასავალის» შეუპოვარმა ბრძოლამ შედეგი კვლავ გამოიღო:

# ადეიშვილის ღამის ნოტარიუსი გინტური დაპატიმრებულია!



***2023 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ უკვე მერამდენედ დააპატიმრა ᲬᲧᲔᲣᲚᲘ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲜᲝᲢᲐᲠᲘᲣᲡᲘ ᲜᲣᲜᲣ ᲒᲘᲜᲢᲣᲠᲘ, რომელსაც ამჯერად ბინების დაგირავებით დაინტერესებული პირების კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების მოტყუებით დაუფლებაში ედება ბრალი. გინტურთან ერთად დაკავებულია კიდევ ორი პირი — ერთი ნოტარიუსი და ნოტარიუსის თანაშემწე. გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, ნუნუ გინტური და მისი დანაშაულებრივი კარტელის წევრები ნოტარიუსების დახმარებით, 94 დაზარალებულის კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას, კერძოდ, 2 მილიონ 686 ათას 700 ლარს დაეუფლნენ.***

*აღსანიშნავია, რომ ეს* ***ᲜᲣᲜᲣ ᲒᲘᲜᲢᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ*** *დანაშაულში მხილების პირველი შემთხვევა არ არის. იგი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა 2016 წელსაც დააკავა, მაგრამ რაღაც მანქანებით პირწავარდნილი თაღლითი და ქურდბაცაცა, რომელსაც სახელოვანი ქართველი ფეხბურთელებით —* ***ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠ ᲓᲐ ᲒᲝᲩᲐ ᲛᲐᲩᲐᲘᲫᲘᲗ დაწყებული, ლამის ნახევარი საქართველო „გადაგდებული“ და გატყავებული ჰყავს, მაინც გათავისუფლდა! გინტურის მსხვერპლთა შორის არის საქართველოს მეხუთე მოწვევის პარლამენტის ყოფილი წევრი ᲗᲐᲛᲐᲖ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲪ, რომელიც იმედოვნებს, რომ პროფესიონალი თაღლითი, რომელმაც 9 მილიონი დოლარის ქონება მოჰპარა, მართლმსაჯულებას ამჯერად მაინც ვერ გაექცევა და უკანონოდ მიტაცებულ თითოეულ თეთრზე პასუხს აგებს:***

— **ᲜᲣᲜᲣ ᲒᲘᲜᲢᲣᲠᲛᲐ** ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების კუთვნილ ბიზნესს რა დღეც დააწია და რა ზიანიც მოგვაყენა, „ასავალ-დასავალის“ წყალობით, მთელმა საქართველომ იცის. ამიტომ ამ გარეწარ ქალზე, რომელიც საერთოდ ადამიანი არ არის, ახალს ვერაფერს გეტყვით! თუმცა, ერთი რამ არ შემიძლია, არ გავიხსენო: იქნებოდა 2012 წლის 5 დეკემბერი, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ქვეყნის სათავეში სულ ახალი მოსული იყო, როცა სამართლიანობის აღდგენის მიზნით გენერალურ პროკურატურას მივადექი და ნუნუ გინტურის წინააღმდეგ საჩივარი შევიტანე. გოგონა, რომელმაც ჩემი განცხადება ჩაიბარა, იღიმებოდა და ვკითხე, რატომ იღიმით-მეთქი? — **ᲠᲐᲪ ᲔᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ, ᲐᲛ ᲔᲠᲗ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲡᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲩᲘᲕᲐᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲓᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲜᲝᲢᲐᲠᲘᲣᲡ ᲜᲣᲜᲣ ᲒᲘᲜᲢᲣᲠᲡ ᲣᲩᲘᲕᲘᲡᲝ!**

**— მერე რა მოხდა, აღადგინეთ სამართლიანობა?**

— მერე ის მოხდა, რომ მიმიყვანეს გენერალურ პროკურატურაში, დამკითხეს და იმის შემდეგ თერთმეტი წელი ისე გავიდა, არაფერი გააკეთეს! **ᲛᲗᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲮᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲡ**

*ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ*

***ნოტარიუსთა რეესტრიდან“.***

წულუკიანის ამ ბრძანებას საფუძვლად დაედო **ᲜᲝᲢᲐᲠᲘᲣᲡ ᲒᲘᲜᲢᲣᲠᲘᲡ** წინააღმდეგ იუსტიციის სამინისტროში შესული არაერთი საჩივარი, რომლებიც დისციპლინურმა კომისიამ შეისწავლა, გინტური განსაკუთრებით მძიმე დისციპლინურ გადაცდომებში ამხილა და დაასკვნა, რომ მისი ნოტარიუსობა აღარ შეიძლებოდა.

**ქართულ ნოტარიატში ადეიშვილის ღამის ნოტარიუსის ყოფნა მთელ იუსტიციის სისტემას რომ სცხებდა ჩირქს, ამას მშვენივრად აცნობიერებდა იუსტიციის მოქმედი მინისტრი ᲠᲐᲢᲘ ᲑᲠᲔᲒᲐᲫᲔᲪ,** რომელიც, სამი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო, **იძულებული გახდა,** 2022 წელს გინტურისათვის ნოტარიუსის უფლებამოსილება აღედგინა.

**ᲠᲐᲢᲘ ᲑᲠᲔᲒᲐᲫᲔᲡᲐ** და მის უწყებას **ნაადეიშვილარ-ნამამაძაღლარი ნოტარიუსის** ქართულ ნოტარიატში დაბრუნება ცოცხალი თავით რომ არ სურდათ, ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ **გინტურისათვის უფლებამისილების აღდგენის თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იუსტიციის სამინისტრომ მეორე ინსტანციის სასამართლოში გაასაჩივრა, ხოლო მეორე ინსტანციის სასამართლოს ანალოგიური ვერდიქტი — უმაღლესი ინსტანციის სასამართლოში, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა,** რადგან უზენაესი სასამართლოს კოლეგიამ, **ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲡᲢᲣᲠᲣᲐᲡ, ᲛᲐᲘᲐ ᲕᲐᲩᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲝᲩᲐ ᲐᲑᲣᲡᲔᲠᲘᲫᲘᲡ** შემადგენლობით, საბოლოო ბეჭედი დასვა — **იუსტიციის სამინისტრო დაავალდებულა, გინტურისათვის შეწყვეტილი უფლებამოსილება აღედგინა!**

**ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲜᲝᲢᲐᲠᲘᲣᲡᲛᲐ ᲒᲘᲜᲢᲣᲠᲛᲐ** სამივე ინსტანციის სასამართლოში თავისი რომ გაიტანა და **იუსტიციის სამინისტროს თავზე გაიარა,** ეს არც არის გასაკვირი, რადგან, საქართველოსთვის საუბედუროდ და სავალალოდ, **ქართული სასამართლო სისტემა დღესაც სააკაშვილ-ადეიშვილის რეჟიმის ქურაში გამომწვარი მოსამართლეებით არის სავსე!**

ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, ვეღარც იმას გამოვრიცხავთ, რომ ადეიშვილის ღამის ნოტარიუსი გინტური, ქართულ სასამართლოში ბლომად თავშეყრილი **ნაადეიშვილარი მოსამართლეების მეცადინეობით,** წყლიდან ისევ მშრალად ამოძვრეს!

თუმცა, ამ ეტაპზე გინტური „ვირის აბანოშია“ და ეს უკვე კარგი ამბავია!

**კარგია არა იმიტომ, რომ ვინმეს ციხეში ჩასმა გვიხარია, არამედ სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის მსახურის, ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲜᲝᲢᲐᲠᲘᲣᲡ ᲒᲘᲜᲢᲣᲠᲘᲡ სამართალში მიცემა ერთი პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმ დიდ საქმეში, რასაც სამართლიანობის აღდგენა ჰქვია!**

არც იმის გამო დავმალავთ კმაყოფილებას, რომ **ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲜᲝᲢᲐᲠᲘᲣᲡᲘᲡ** ალაგმვასა და სამართლიანობის აღსადგენად ნაბიჯის წინ გადადგმაში **„ასავალ-დასავალს“ უზარმაზარი წვლილი მიუძღვის,** რადგან გინტურის დანაშაულებრივ ქმედებათა შესახებ ბევრს და დიდხანს ვწერდით!

## ბევრს და დიდხანს მოვუწოდებდით იუსტიციის სამინისტროსაც, გენერალურ პროკურატურასაც და მთლიანად ქართულ სახელმწიფოს,

## რომ ადეიშვილის ღამის ნოტარიუსის დაუსჯელად პარპაში არ შეიძლებოდა!

**და აი, შედეგიც!**

ჯერ კიდევ არასაკმარისი და არასრულყოფილი, მაგრამ მაინც შედეგი!

**საქართველოს იუსტიციის მინისტრს ᲠᲐᲢᲘ ᲑᲠᲔᲒᲐᲫᲔᲡ** გულწრფელად ვულოცავთ, რომ ვაი-ნოტარიუს **ᲜᲣᲜᲣ ᲒᲘᲜᲢᲣᲠᲘᲡ** სახით მის სისტემას **სააკაშვილ-ადეიშვილის რეჟიმის** ერთი დიდი სიმსივნური მეტასტაზი მოშორდა!

შექებას იმსახურებს **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲨᲝᲗᲐᲫᲘᲡ** უწყებაც — **საქართველოს პროკურატურა, რომელმაც ორგანიზებული თაღლითური ჯგუფის დანაშაულებრივი საქმიანობა აღკვეთა და ადეიშვილის ღამის ნოტარიუსს ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ დამსახურებული ადგილი მიუჩინა იქ, სადაც ჯერ არს!**

იმედია, **ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲜᲝᲢᲐᲠᲘᲣᲡ ᲒᲘᲜᲢᲣᲠᲘᲡ** მიმართ კანონის აღსრულების პრეცედენტი წარმატებით გავრცელდება **ადეიშვილის დანარჩენ აგენტურასა თუ ა-გინტურ-აზეც,** რომელიც სახელმწიფო სისტემაში ჯერ კიდევ ბლომად არის ჩატოვებული!

**ᲯᲐᲑᲐ ᲮᲣᲑᲣᲐ**

**შექებას იმსახურებს ირაკლი შოთაძის უწყებაც, რომელმაც ორგანიზებული თაღლითური ჯგუფის დანაშაულებრივი საქმიანობა აღკვეთა და ადეიშვილის ღამის ნოტარიუსს ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ დამსახურებული ადგილი მიუჩინა იქ, სადაც ჯერ არს!**




ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი ხელს აღებს!

ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠ ᲛᲐᲩᲐᲘᲫᲔ: ᲛᲔᲒᲝᲜᲐ, ᲛᲨᲕᲘᲓᲘ ᲡᲘᲑᲔᲠᲔ ᲛᲔᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ ᲘᲛ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲜᲔᲠᲕᲘᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲔᲬᲘᲠᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲦᲚᲘᲗᲛᲐ ᲜᲣᲜᲣ ᲒᲘᲜᲢᲣᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲑᲐᲜᲓᲐᲛ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲮᲔᲡ!

„სააკაშვილმა ხალხი მომიგზავნა — გაჩერდი, თუ არა, ლილოს ქარხანასაც წაგართმევ და მერე გაგაქრობო!“

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲯᲐᲚᲐᲗᲛᲐ ᲜᲝᲢᲐᲠᲘᲣᲡᲛᲐ ᲜᲣᲜᲣ ᲒᲘᲜᲢᲣᲠᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲗᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲣᲚᲘ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲐ ᲘᲣᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲠᲐᲢᲘ ᲑᲠᲔᲒᲐᲫᲔᲛ ᲐᲦᲣᲓᲒᲘᲜᲐ, ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠ ᲛᲐᲩᲐᲘᲫᲔ ᲡᲐᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲝᲓ ᲒᲐᲬᲘᲠᲐ!

„ზურაბ ადეიშვილის ღამის ნოტარიუსმა ნუნუ გინტურმა ჩემი ძმა გოჩა მაჩაიძეც ნახევარ მილიონ დოლარში „გადააგდო“ და კაცი დაღუპა და გაანადგურა!“

ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲛᲘᲕᲘᲧᲕᲐᲜᲗ!

ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ!

„სამართალს როგორ ვიპოვი, როცა თეა წულუკიანის მიერ შერისხულ ნუნუ გინტურს რატი ბრეგაძის იუსტიციის მინისტრობის დასაწყისშივე ნოტარიუსობის ლიცენზია აღუდგინეს?!“

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲕᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲠᲐᲓᲒᲐ! ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲛ ᲒᲐᲠᲔᲬᲐᲠᲘ ᲜᲣᲜᲣ ᲒᲘᲜᲢᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲝᲢᲐᲠᲘᲣᲡᲘᲡ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ? ᲥᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲒᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲜᲝᲢᲐᲠᲘᲣᲡᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲞᲐᲢᲘᲛᲐᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ!

ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ, ᲒᲘᲜᲢᲣᲠᲘᲐ!

ᲐᲓᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲜᲝᲢᲐᲠᲘᲣᲡᲘ ᲓᲐᲣᲡᲯᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲡ!!!

ᲐᲠᲘᲡ ᲔᲡ!

„ᲔᲡ ᲒᲐᲗᲐᲮᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲣᲜᲣ ᲒᲘᲜᲢᲣᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲘᲐ – ᲜᲐᲪᲔᲑᲗᲐᲜᲐᲪ ᲓᲐ „ᲙᲝᲪᲔᲑᲗᲐᲜᲐᲪ!“

„ასავალ-დასავალი“. 2022 წლის №46

# ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ

# „იმედია, მსგავსი უკანონობა აღარ განმეორდება და

## ადეიშვილის ღამის ნოტარიუსს, რომელმაც 9 მილიონი მომპარა, სააკაშვილის მიერ ჩანერგილები გარეთ აღარ გამოუშვებენ!“

**ქალი იყო აშვებული და როგორც ადეიშვილისა და სააკაშვილის დროს ატყავებდა ხალხს, ზუსტად ისე აგრძელებდა დანაშაულებრივ საქმიანობას.** ახლა რომ დაიჭირეს, არ ვიცი, შეშინებულია თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ ნუნუ გინტური ძალიან შეშინდა 2008 წელს, როცა **ვანო მერაბიშვილმა** მაგის ოფისში ჩხრეკა ჩაატარა და ამოიღო ნოტარიუსის ძველი ბეჭედი, რომელიც იუსტიციის სამინისტროში შედგენილი საგანგებო აქტით წესით განადგურებული უნდა ყოფილიყო....

**— ამ ძველი ბეჭდით გინტური რას აკეთებდა?**

— მაგით აკეთებდა თუ აკეთებდა... **საქართველოში თუ ვინმე პირდაპირი მემკვიდრის გარეშე მოკვდებოდა, ვილაცა გადაიხდიდა თანხას, მივიდოდნენ გარდაცვლილის ოჯახში, ძველი რიცხვებით შეადგენდნენ ყალბ ანდერძს და დაინტერესებული პირი ასე ჩაიგდებდა ხელში დიდძალ ქონებას.** ცხადია, ამ ქონებიდან ძალიან სერიოზული წილი **ნუნუ გინტურს** რჩებოდა. მაშინ, 2008 წელს, ვანო მერაბიშვილის ქორმეძებრებმა გინტურის სახლიდან და ოფისიდან ამოიღეს „შავი ბუღალტერიის“ დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდებოდა, რომ **ნუნუ გინტურსა და მის ამფსონებს დიდძალი თანხები ჰქონდათ მიტაცებული.** გინტურის ოფისში ასევე იპოვეს იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ მხოლოდ **ერთ დღეში ნუნუ გინტურმა ბრილიანტის 16 ბეჭედი იყიდა.** აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ გინტურს თაღლითობით, ნაცებთან ჩახუტება-ჩასკვნით და სწორედ იმ ძველი ბეჭდის წყალობით, რომელსაც სადაც უნდა იქ ურახუნებდა, ლონდონის ცენტრსა და ატლანტის ოკეანის საფრანგეთის სანაპიროზე სრა-სახლები აქვს ნაყიდი.

**— მითხრეს, ნუნუ გინტურს ოქროს ზოდებიც აქვსო!**

— დანამდვილებით ვიცი, რომ აქვს! **9 მილიონი დოლარი მომპარა და გინტურს ოქროს ზოდები და ბრილიანტები რომ ჰქონდეს, რა გასაკვირია?!** თუმცა, ჩემთვის უცნობია 2008 წელს ჩატარებული ჩხრეკის დროს „ვანო ხერხემალმა“ მიაკვლია თუ არა **ნუნუ გინტურის განძს — სამლიტრიან და ორლიტრიან მინის ქილებს, რომლებიც, ჩემი ინფორმაციით, ბრილიანტებითა და ოქროებით პირამდე იყო სავსე და ნუნუ გინტურის ბუღალტრის მანანა მარგველაშვილის მეგობარ ქალთან სადღაც დასაკარგავში ინახებოდა!**

ისიც უცნობია, თუ რა მიზანს ემსახურებოდა 2008 წლის გაზაფხულზე ვანო მერაბიშვილის მიერ **ნუნუ გინტურის** ოფისსა და **მანანა მარგველაშვილის** სახლში ჩატარებული ჩხრეკა და რა შავმა კატამ გაირბინა მაშინ გინტურსა და ნაცსექტის ბელადებს შორის, რომ ადეიშვილის ღამის ნოტარიუსს ასე უცერემონიოდ თავს დააცხრნენ! ცნობისათვის, **ნუნუ გინტური** არ მალავდა და პირადად ჩემთვის აქვს ნათქვამი — **აბა, გაბედონ და დამიჭირონ, სააკაშვილით დაწყებული, ნაცპროკურორ გიორგი ღვინიაშვილით დამთავრებული, ნაცებმა ყველა მიტაცებული ქონება თავიანთ ნათესავებზე სწორედ ჩემი მეშვეობით გადაიფორმეს და ყველაფერს დავამლერებ!**

**— 2008 წელს, როცა ოფისში ძველი ბეჭედი უპოვეს, გინტური მაშინ არ დაუკავებიათ?**

— არა, არ დაუკავებიათ, რადგან ადეიშვილის პირდაპირი მფარველობის ქვეშ იყო! როგორც ვიცი, მაშინ **ვანო მერაბიშვილმა** ისარგებლა ადეიშვილის საზღვარგარეთ ყოფნით და **გინტურის ოფისში** ჩხრეკა ჩაატარა, მაგრამ **ადეიშვილი** ჩამოვიდა თუ არა, ნუნუ გინტურს მაშინვე ჩამოეხსნენ და მისკენ არც კი გაუხედავთ! 2014 წელს გინტურს ახალმა ხელისუფლებამ ნოტარიუსის ლიცენზია ჩამოართვა... მთელი რვა წლის განმავლობაში ჩიოდა გინტური და ითხოვდა ნოტარიუსის უფლებებში აღდგენას. რისთვის ითხოვდა? იმისთვის, რომ ის ძველი ბეჭედი ისევ ძველებურად ერახუნებინა და მილიონები ეკეთებინა!

**— ნოტარიუსის ის ძველი ბეჭედი ნუნუ გინტურს ისევ აქვს?**

— ალბათ აქვს, თორემ ნოტარიუსად აღდგენისთვის თავს რატომ მოიკლავდა? **იუსტიციის სამინისტროში ჩაბუდებული და ჩანერგილი სააკაშვილის ხელისბიჭების მეშვეობით, ნუნუ გინტურმა იმდენი მოახერხა, რომ იმ ათასობით საქმიდან, რომელიც მის თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია, ამოარჩია და გაასაჩივრა ყველაზე სუსტი საქმე და ნოტარიუსობა აღიდგინა, ხოლო ჩემი საჩივრები და დოკუმენტები, რომლებიც დასტობით მაქვს სამართალდამცავ უწყებებში შეტანილი და ამ ქალს ციხეში ამოლპობა ეკუთვნის, გვერდზე გადადეს და არავითარი რეაგირება არ მოახდინეს!**

**— ახლა მაინც გაქვთ იმედი, რომ ნუნუ გინტურს მართლმსაჯულება მოჰკითხავს და სამართალი პურს ჭამს?**

**— 2016 წელს რომ დააკავეს, ორ დღეში გამოუშვეს, მაგრამ ახლა იმედი მაქვს, იუსტიციის სამინისტროსა და ძალოვან უწყებებში მოკალათებული ნაცები ნუნუ გინტურს ვერაფერს უშველიან, რადგან სასამართლომ წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდა.**

პარასკევს, 13 ოქტომბერს, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ბატონი ირაკლი შოთაძის სახელზე განცხადება შევიტანე... იქაც დავწერე და აქაც ვიმეორებ: 2016 წელს ნუნუ გინტური პროკურატურამ ერთხელ უკვე დააპატიმრა და საზოგადოებას ტელევიზიით აცნობა, რომ გინტურსა და მის ამფსონებს მოსახლეობისგან, კერძოდ, ბინათმშენებლობის ამხანაგობისგან თაღლითური გზით მიტაცებული ჰქონდა 700 000 ამერიკული დოლარი, მაგრამ ჰოი, საკვირველებავ — ორ დღეში სასამართლომ გინტური სასაცილო თანხის — 50 000 ლარის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა!

**იმედია, მსგავსი უკანონობა და ცინიზმი აღარ განმეორდება და ადეიშვილის ღამის ნოტარიუსს, რომელმაც 9 მილიონი მომპარა, სააკაშვილის მიერ ჩანერგილები გარეთ აღარ გამოუშვებენ!** ხელთ მაქვს ნოტარიალურად დამოწმებული სკანდალური მამხილებელი დოკუმენტები, რომლითაც ნუნუ გინტურის დანაშაულებრივი და თაღლითური საქმიანობა უტყუარად დასტურდება.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



# თამაზ გელაშვილი:

# ბატონო გენერალურო პროკურორო, მზად ვარ, ნუნუ გინტურისა და მისი დანაშაულებრივი სინდიკატის შესახებ ოფიციალური ჩვენება მოგცეთ!



ადეიშვილის აგენტურა უნდა აილაგმოს!

ვიცე-პრემიერმა თეა წულუკიანმა ეს არ უნდა გადაყლაპოს!

„ასავალ-დასავალი“. 2022 წლის №47

ბორა მახაიძე:

გინტურს ვენდე და დავილუპე კიდეც!

საქართველოს გენერალურ პროკურორს,
ბატონ **ირაკლი შოთაძეს**
ქალაქ ბორჯომში, გამარჯვების ქუჩა №16 (ა)-ში
მცხოვრები, საქართველოს მეხუთე მოწვევის
პარლამენტის წევრის **თამაზ გელაშვილის**
(მობ: 599 19 55 91)

## განცხადება

ბატონო გენერალურო პროკურორო, საინფორმაციო საშუალებებით მთელი საქართველოსთვის ცნობილი გახდა, რომ 2023 წლის 11 ოქტომბერს დააპატიმრეს ავადსახსენებელი **ზურაბ ადეიშვილის ღამის ნოტარიუსად წოდებული ნუნუ გინტური,** რომელიც ასეულობით ოჯახის თაღლითური გზით მოტყუებასა და გაუბედურებაშია მხილებული. პირადად მე და ჩემს ოჯახს ადეიშვილის ღამის ნოტარიუსმა ნუნუ გინტურმა **9 მილიონი ამერიკული დოლარის თანხა და უძრავი ქონება მოგვპარა და თაღლითური გზით მიითვისა, ხოლო სახელმწიფოს მილიონობით ლარის გადასახადი არ გადაუხადა.** წლების განმავლობაში ქართულ პრესასა და მათ შორის, ბეჭდვითი სიტყვის ფლაგმან გაზეთ “ასავალ-დასავალში“ **(გამოქვეყნებული ინტერვიუებისა და წერილების ნაწილის ქსეროასლები განცხადებას თან ახლავს.)** ნუნუ გინტურს ვამხელდი და სამართალდამცავ ორგანოებს რეაგირებისაკენ მოვუწოდებდი. 2016 წელს ნუნუ გინტური პროკურატურამ ერთხელ უკვე დააპატიმრა და საზოგადოებას ტელევიზიით აცნობა, რომ გინტურსა და მის ამფსონებს მოსახლეობისგან, კერძოდ, ბინათმშენებლობის ამხანაგობისგან თაღლითური გზით მიტაცებული ჰქონდა 700 000 ამერიკული დოლარი, მაგრამ ჰოი, საკვირველებავ, – ორ დღეში სასამართლომ გინტური სასაცილო თანხის – 50 000 ლარის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა!

**ხელთ მაქვს ნოტარიალურად დამოწმებული სკანდალური მამხილებელი დოკუმენტები, რომლითაც ნუნუ გინტურის დანაშაულებრივი და თაღლითური საქმიანობა უტყუარად დასტურდება.**

**მზად ვარ, საჭიროების შემთხვევაში, პირადად გამოვცხადდე გენერალურ პროკურატურაში და ნუნუ გინტურისა და მისი დანაშაულებრივი სინდიკატის შესახებ ოფიციალური ჩვენება მოგცეთ!**

თბილისი, 2023 წლის 13 ოქტომბერი

# უნდა აღსრულდეს!

**ეს განცხადება უკვე შეტანილია საქართველოს გენერალურ პროკურატურაში**

# ორმაგი

***უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანს, რომელიც მეუღლესთან და საკუთარი მთავრობის წევრებთან ერთად თბილისში სამდღიანი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დიდი პატივით დახვდა და სანაქებო ქართული მასპინძლობაც გაუწია.***



ირაკლი ღარიბაშვილი და ვიქტორ ორბანი თბილისში. 2023 წლის ოქტომბერი

## უნგრეთის პრემიერს ქართველი ხალხისაგან მადლობაც ეკუთვნის და საყვედურიც!

უნგრეთის მთავრობის მეთაური ქართველებისაგან პატივისცემასა და გულთბილ დახვედრას ნამდვილად იმსახურებს, რადგან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ლიდერებს შორის ერთადერთია, ვინც ყოველგვარი პოლიტიკური ჟონგლიორობის გარეშე, მკაფიოდ და ცალსახად აკეთებს საქართველოს მხარდამჭერ განცხადებებს.

**ორბანმა გასულ კვირას თბილისშიც ხმამაღლა გაიმეორა ის, რაც მანამდე არაერთხელ უთქვამს მთელი ევროპის გასაგონად — ევროკავშირი საქართველოს უსამართლოდ და უპატივცემულოდ მოექცა, როცა უკრაინასა და მოლდოვაზე უკან დააყენა და კანდიდატის სტატუსი არ მიანიჭაო!**

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, საქართველოს ევროკავშირში უნგრეთის სახით საიმედო მეგობარი და მოკავშირე ჰყავს, რისთვისაც **პრემიერ-მინისტრ ორბანს** ქართველი ხალხისაგან მადლობა ეკუთვნის, თუმცა, ქართველ ხალხს იმავე ორბანთან მარტო სამადლობელი კი არა, სასაყვედუროც აქვს, რადგან **უნგრეთი იყო და დღემდე არის ქართული მართლმსაჯულების მიერ ძებნილი და დაუსწრებლად გასამართლებული ბობოლა ნაცკრიმინალების თავშესაფარი.**

კერძოდ, სააკაშვილის ხელისუფლების მთავარი პროკურორი და სისხლიანი ნაცრეჟიმის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი **ზურაბ ადეიშვილი,** რომელიც მძიმე და განსაკუთრებით მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულებისათვის გახლავთ მსჯავრდებული, საქართველოდან გაქცევის შემდეგ სწორედ უნგრეთში იმალებოდა და ორბანის ხელისუფლების მფარველობით სარგებლობდა. **ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, ქართული მართლმსაჯულების მიერ ძებნილი ადეიშვილი ერთხანს პრემიერ ორბანის მრჩევლადაც კი მუშაობდა, თუმცა, ეს ოფიციალურად არ დადასტურებულა.**

ასეა თუ ისე, ქართული სასამართლოს მიერ დაუსწრებლად გასამართლებული და უმძიმესი დანაშაულებისათვის მსჯავრდებული **ადეიშვილი** სანამ კიევში გადაბარგდებოდა და უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩეველი გახდებოდა, ბუდაპეშტში **ვიქტორ ორბანის** ხელისუფლების ფრთებქვეშ იყო შეყუჟული, რაც უნგრეთის პრემიერ-მინისტრის მხრიდან ქართული სახელმწიფოსადმი პატივისცემის გამოხატულებად ნამდვილად ვერ ჩაითვლება.

**თუ ადეიშვილი ბუდაპეშტიდან კიევში გადასახლდა, ქართულ მართლმსაჯულებას ამ დრომდე უნგრეთში ემალება სისხლის სამართლის ორი დამნაშავე — შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ-ის) ყოფილი უფროსი ერეკლე კოდუა და ნაცრეჟიმის ერთ-ერთი ყველაზე ბნელით მოცული ფიგურა, ზონდერბანდების ბოსად ცნობილი გია უდესიანი.** ორივე მათგანის მიმართ საქართველოში გამამტყუნებელი განაჩენებია გამოტანილი და ორივეს დაუსწრებლად აქვს მისჯილი თავისუფლების აღკვეთა, თუმცა, **კოდუა და უდესიანი** დღემდე თავისუფლებით ტკბებიან უნგრეთის მიწაზე, რომელსაც ორბანის ხელისუფლება განაგებს.

ასე რომ, თუ **ვიქტორ ორბანი** საქართველოს ნამდვილი მეგობარი და ქართველი ხალხის პატივისმცემელია, უნგრეთში თავშეფარებულ ნაცკრიმინალებს — **ერეკლე კოდუასა და გია უდესიანს** ხელბორკილები უნდა დაადოს და ქართულ სახელმწიფოს გადმოსცეს!

სხვათაშორის, უნგრეთის პრემიერ-მინისტრის თბილისში სამდღიანი ვიზიტის კვალდაკვალ, საქართველოს პარლამენტის წევრმა, **გიორგი გახარიას** პარტიის წარმომადგენელმა **ანა ბუჩუკურმა** პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ე.წ. სადეპუტატო შეკითხვა გაუგზავნა (სტილი დაცულია. რედ.):

***„მომაწოდეთ ინფორმაცია, გქონდათ თუ არა პირადად თქვენ კომუნიკაცია თქვენს კოლეგასთან, უნგრეთის პრემიერ-მინისტრთან ვიქტორ ორბანთან ნაციონალური მოძრაობის ყოფილი თანამდებობის პირების ზურაბ ადეიშვილის, ერეკლე კოდუას, გია უდესიანის საქართველოსთვის გადმოცემასთან დაკავშირებით, ამ პირთა მიმართ სასჯელის აღსრულების მიზნით?“***

რა ნესტრით არის ნაჩხვლეტი გახარიას პარტიელი ქალბატონი და, ზოგადად, რატომ აუტეხა ნაცოპოზიციას პოლიტიკური მუცლის გვრემა უნგრეთის პრემიერ-მინისტრის სამდღიანმა ვიზიტმა, ამის შესახებ აუცილებლად მოგახსენებთ, მანამდე კი **ირაკლი ღარიბაშვილისათვის** სადეპუტატო შეკითხვის დამსმელ **ანა ბუჩუკურთან** ერთი შეკითხვა გვაქვს — **მისი პარტიის ლიდერმა გიორგი გახარიამ საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ყოფნისას მიმართა**





ერეკლე კოდუა, გია უდესიანი

**თუ ვიქტორ ორბანი საქართველოს ნამდვილი მეგობარი და ქართველი ხალხის პატივისმცემელია, უნგრეთში თავშეფარებულ ნაცკრიმინალებს — ერეკლე კოდუასა და გია უდესიანს ხელბორკილები უნდა დაადოს და ქართულ სახელმწიფოს გადმოსცეს!**

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



ალბათ, ჩვენი მოქალაქეები ხვდებიან, თუ **რა ნებისყოფა და გონიერება სჭირდება დღეს ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნებას,** მითუმეტეს მაშინ, როდესაც რეგიონი ცეცხლშია გახვეული. „ინტერპრესნიუსი“

**მამუკა ხაზარაძე**
*„ლელოს“ ლიდერი*



ქართველებს ცოტა დრო დაგვრჩა იმისათვის, რომ **„რუსული მთავრობა“** ხელისუფლებიდან გავისტუმროთ. „აიპრესი“

**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების“ ლიდერი, პარლამენტარი*



მთავარ ოპოზიციურ ძალას — ნაციონალურ მოძრაობას **ქართული არმიის ქურდი და მთელი მსოფლიოს მოხუცთა მძარცველი კეზერაშვილი** აფინანსებს. „აიპრესი“

**მირჩა ჯოანა**
*ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე*



**უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს** ადგილი ჩვენთან, **ნატო-შია,** ეს მოხდება ადრე თუ გვიან, ეს არის გამოსავალი, რომ ყველა დემოკრატიული ქვეყანა ერთად ვიყოთ. „პირველი არხი“

**ილჰამ ალიევი**
*აზერბაიჯანის პრეზიდენტი*



**ირაკლი ღარიბაშვილის** ლიდერობით **საქართველო ვითარდება თავდაჯერებულად,** მოსახლეობის კეთილდღეობა იზრდება, მთელი გულით მიხარია და **ვულოცავ ბატონ პრემიერს ყველა ამ მიღწევას.** „პირველი არხი“

**რევაზ ჯაველიძე**
*მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი*



**კორუფციის კონტროლის რეიტინგში** საქართველომ მსოფლიოში — მე-20, ევროპაში კი მე-11 ადგილი დაიკავა, ამ მაჩვენებლით **საქართველო ევროკავშირისა და ნატოს წევრ 25 ქვეყანას უსწრებს.** „რეზონანსი“

# ორბანი



ირაკლი ღარიბაშვილი და ვიქტორ ორბანი მეუღლეებთან ერთად კახეთში, ალავერდის ტაძარში 2023 წლის ოქტომბერი

**თუ არა უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ორბანს ადეიშვილის, კოდუასა და უდესიანის ექსტრადირებასთან დაკავშირებით?**

რეალურად, გახარიელ ბუჩუკურს **კოდუა-უდესიანის** უნგრეთიდან საქართველოში ექსტრადირება კი არ აინტერესებს, არამედ ლამობს, ჩრდილი მიაყენოს მნიშვნელოვან და რეზონანსულ პოლიტიკურ მოვლენას — უნგრეთის პრემიერისა და მინისტრთა კაბინეტის წევრების სამდღიან ვიზიტს თბილისში!

იმავეს ცდილობენ **ნაციონალური მოძრაობა** და **„ლელო“**, რომელთა წარმომადგენლებიც უნგრეთის პრემიერს **„ავტორიტარ ლიდერსა“ და „რუსეთის მოკავშირეს“** ეძახიან... აქაოდა — ღარიბაშვილს ევროპაში მხოლოდ **„პუტინის მეგობარი“** ორბანი ემეგობრებაო!

### ისე, თუ ვიქტორ ორბანი „რუსეთის მოკავშირე“ და „პუტინის მეგობარია“, „პუტინის მთავარი მტრის“ – სააკაშვილის დამქაშები – ადეიშვილი, კოდუა და უდესიანი როგორღა შეიფარა? განა, უფრო ლოგიკური არ იქნებოდა, „პუტინის მეგობარ“ ორბანს „პუტინის დაუძინებელი მტრები“ – სააკაშვილის ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნები გაეკოჭა და „პუტინის მეგობარი“ ქოცხელისუფლებისათვის გადაეცა?!

ახლა კი რა გამოდის? ან ორბანის „პუტინისტობაა“ მითი, ან ის არის დიდი ტყუილი, რომ სააკაშვილი და მისი ამფსონები პუტინის „დაუძინებელი მტრები“ არიან!

სინამდვილეში, ნაცოპოზიცია უნგრეთის მთავრობის მეთაურს **„პუტინის მოკავშირეს“** ზუსტად იმავე მიზეზით ეძახის, რა მიზეზითაც საქართველოს ხელისუფლებას უწოდებს **„რუსეთის მარიონეტს“** — ორბანმა წინა პლანზე საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ინტერესები დააყენა და კოლექტიური დასავლეთის მიერ რუსეთისათვის დაწესებულ სანქციებს არ შეუერთდა!

რაც შეეხება ორბანის „ავტორიტარიზმს“, ნაცები აქაც გაცვეთილი ფორმულით ხელმძღვანელობენ — **რაკი უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ნეოლიბერალებს ეწინააღმდეგება და კონსერვატიული ფასეულობების მიმდევარია, ერთნაირსქესიანთა ქორწინებას გმობს და სოროსის მიერ დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს საკანონმდებლო დონეზე ებრძვის, ე.ი. ანტიდემოკრატი და ანტიდასავლელია!**

რასაკვირველია, ყოველივე ამის ფონზე, თბილისში სამდღიანი ვიზიტით მყოფი უნგრეთის პრემიერ-მინისტრი არც ოპოზიციას შეხვდა, არც — არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს და არც — პრეზიდენტ ზურაბიშვილს, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის დარღვევაშია მხილებული და საიმპიჩმენტოდ არის გახაზირებული!

ჰოდა, ახლა ისტერიულად წიკვინებენ ნაცსექტის წარმომადგენლები — **ორბანს ღარიბაშვილმა უთხრა, რომ ოპოზიციას, არასამთავრობოებსა და პრეზიდენტს არ შეხვედროდაო!**

ანკი რატომ უნდა შეხვედროდა საქართველოსათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების უპირობო მხარდამჭერი უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ნაცოპოზიციას, რომელიც ყველანაირად ცდილობს, საქართველომ კანდიდატის სტატუსი არ მიიღოს?

**ცხადია, არ უნდა შეხვედროდა და არც შეხვდა!**

### ევროკავშირში საქართველოს მკაფიო მხარდაჭერის გარდა, უნგრეთის პრემიერ-მინისტრს მადლობა იმის გამოც ეკუთვნის, რომ ნაცოპოზიციას თავი არ გაუყადრა და ვაშაძე-სამადაშვილ-სამნიძეთა გველური სისინის მოსმენა არ ისურვა!

არადა, ქართველ საზოგადოებას ისიც ახსოვს, რომ 2012 წლის შემოდგომაზე, ისტორიულ საპარლამენტო არჩევნებამდე სულ ცოტა ხნით ადრე, **ვიქტორ ორბანი** თბილისში სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის მხარდასაჭერად იყო ჩამოსული!

**მოკლედ, ორბანი საქართველოსათვის ორმაგი პერსონაა — შესაქებიც და დასაძრახიც, სამადლობელიც და სასაყვედუროც!**

ქართველ ხალხს არც ერთი ეშლება და არც — მეორე!

**მთავარია, აღარც უნგრეთის პრემიერ-მინისტრს შეეშალოს ქართველ ხალხთან და რაც მანამდე შეეშალა, ისიც გამოასწოროს!**

ამის დრო და შანსი ჯერ კიდევ აქვს!

*ჯაბა ხუბუა*



ანა ბუჩუკური და გიორგი გახარია

## ირაკლი ღარიბაშვილისათვის სადეპუტატო შეკითხვის დამსმელ ანა ბუჩუკურთან ერთი შეკითხვა გვაქვს: მისი პარტიის ლიდერმა გიორგი გახარიამ საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ყოფნისას მიმართა თუ არა უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ორბანს ადეიშვილის, კოდუასა და უდესიანის ექსტრადირებასთან დაკავშირებით?

## კვირგვინოსნები

**ჯო ვილსონი**
*კონგრესმენი*



გვინდა, რომ ერთ დღეს **საქართველო ნატოს წევრად ვიხილოთ.**

„რეზონანსი“

**მაკა ბოჭორიშვილი**
*პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე*



ევროკავშირის წევრი ქვეყნების დიდი ნაწილი უპირობოდ არის იმ პოზიციაზე, რომ **საქართველოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს კანდიდატის სტატუსი.**

„რეზონანსი“

**ნაჩა ლორინცი**
*უნგრეთის პარლამენტში უნგრეთ-საქართველოს მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი*



ვფიქრობთ, **სამარცხვინო იყო ევროკავშირის გადაწყვეტილება,** როცა საქართველოს არ მიანიჭა **კანდიდატის სტატუსი.**

„რეზონანსი“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტარი*



ვალდებული ვართ, მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც **დესტაბილიზაციის საშუალებას არ მისცემს** იმ ძალებს, ვისთვისაც მთავარი მიზანია **რევოლუცია და სისხლისღვრა.**

„რეზონანსი“

**ირაკლი ბერაია**
*საქართველოს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე*



**ჩვენი ქვეყანა მზადაა ნატოსთვის,** მნიშვნელოვანია, ალიანსმა გამოიჩინოს **გეოპოლიტიკური გამბედაობა** და სრულად გააცნობიეროს ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების აღსრულების აუცილებლობა.

„პირველი არხი“

**ჰერმან საბო**
*„ჯობიკის“ წევრი*



მიზანშეწონილი არ მგონია, რომ **12 პუნქტთან ერთად** განხილული იყოს **სააკაშვილის საკითხი!**

„იმედინიუსი“

# უბორნიის მწერალ ბუღაძესაც კი შეეცოდა!

***ნაცსექტამ და მისმა პროპაგანდისტულმა ქვედანაყოფებმა უკანასკნელი თვეების განმავლობაში სააკაშვილის კუჭის მოქმედებასა და შარდის ფერზე იმდენი ილაპარაკეს, მომაკვდავის როლიდან უეცრად გამოსული ბელადისათვის, წესით, საზოგადოებრივი ტუალეტი უნდა გაეხსნათ, მაგრამ საზოგადოებრივი მისაღები გაუხსნეს.***



კი, სწორედ **„მიხეილ სააკაშვილის საზოგადოებრივი მისაღები“** ჰქვია კანტორას, რომელიც ნაციონალური მოძრაობის ოფისში გასულ კვირას გახსნეს და რომელსაც სააკაშვილის პირადი წარმომადგენელი **სოფო ჯაფარიძე** ხელმძღვანელობს.

როგორც სააკაშვილის **ახალი სოფო** განმარტავს, **სააკაშვილის საზოგადოებრივ მისაღებში** ქვეყნის ჭირ-ვარამით შეწუხებული მოქალაქეები მივლენ და სააკაშვილის სახელზე წერილებს დატოვებენ; მერე ეს წერილები **კლინიკა „ვივამედის“** ლუქს-პალატაში გადაიგზავნება, სააკაშვილი ყველას სათითაოდ და გულდასმით წაიკითხავს, გააანალიზებს და დაასკვნის, რა პრობლემების გადაწყვეტაა პრიორიტეტული ივანიშვილის რუსული რეჟიმის მარწუხებში მოქცეული ტანჯული მოსახლეობისათვის...

ცხადია, **მიხეილ სააკაშვილის საზოგადოებრივი მისაღების** მთავარი და საბოლოო დანიშნულება საქართველოს გადარჩენაა — ქვეყნის გათავისუფლება პუტინისტური ქოცრეჟიმისაგან და კვლავ ნამდვილი დასავლური დემოკრატიის დამყარება, აი, ისეთის, თავის დროზე რომ ჰქონდათ დამყარებული **სააკაშვილს, ადეიშვილს, მერაბიშვილს, კეზერაშვილს, ახალაიებს, მეგის ქარდავას და თემურ უბირიას...**

თემურ უბირია თუ არ გახსოვთ, ის არის, ვინც სამეგრელოს ტყეებში მოწყობილ საწამებელ ბუნაგებში 35 ლარის საფასურად აუპატიურებდა მაგიდაზე დაბმულ ქართველ კაცებს!

ჰოდა, **მიხეილ სააკაშვილის საზოგადოებრივმა მისაღებმა თემურ უბირიასნაირი** პროფესიონალები საქმეში უნდა დააბრუნოს და ქართულ დემოკრატიას მიხედოს!

ოღონდ აქ ერთი სერიოზული პრობლემაა — **სააკაშვილის საზოგადოებრივ მისაღებში** სააკაშვილი არ ზის, ანუ სააკაშვილის საზოგადოებრივ მისაღებში მისულ საზოგადოებას სააკაშვილი ვერ მიიღებს, ეს კი საქართველოს გათავისუფლებისა და ქართული დემოკრატიის გადარჩენის საქმეს, ცოტა არ იყოს, ართულებს.

აბა, წარმოიდგინეთ საშუალო სტატისტიკური ნაცი, რომელმაც ბელადის სახელზე წერილის წერაში მთელი ღამე გაათენა, იწვალა, იჯახირა, საზიზღარი ქოცრეჟიმის დამარცხებისა და სამშობლოს გადარჩენის დოქტრინა ჩამოაყალიბა და დილაადრიან ფრთაშესხმული გაემართა **სააკაშვილის საზოგადოებრივი მისაღებისაკენ,** მაგრამ იქ სააკაშვილის მაგივრად **სოფო ჯაფარიძე ან კანტორის რომელიმე რიგითი მუშაკი** დახვდა... არა, ეს აშკარად ანელებს და ასუსტებს იმ განწყობას, იმ სულისკვეთებას, იმ შემართებასა და გზნებას, რითიც საშუალო სტატისტიკურმა ნაცმა პუტინისტური რეჟიმი უნდა დაამარცხოს და საქართველო გადაარჩინოს.

ბავშვები თვალით უხილავ, მითიურ სანტა კლაუსს მითიურ ლაპლანდიაში წერილებს რომ უგზავნიან და საახალწლო სურვილების ასრულებას სთხოვენ, ამას ჰგავს სააკაშვილის სახელზე დაწერილი წერილების გაგზავნა თუ მიტანა სააკაშვილის უსააკაშვილო საზოგადოებრივ მისაღებში.




როგორც ჩანს, ამაზე სააკაშვილმა და მისმა სექტამაც იფიქრეს და მიხვდნენ, რომ **საზოგადოებრივ მისაღებში** მისულ გულანთებულ მიმდევრებს ადგილზე რაღაც ისეთი უნდა დაახვედრონ, რაც მათ განცდას შეუქმნის, თითქოს ბელადი იქვეა, თითქოს სადღაც ახლომახლო ტრიალებს, თითქოს იმ წუთას მოუხდა გასვლა სასწრაფო საქმეზე, თორემ სულ კაბინეტში ზის და თავაუღებლად მუშაობს, დღენიადაგ ეცნობა მშრომელთა წერილებს და ადგენს სამშობლოს გადარჩენის გეგმებს... **აი, ნახეთ, გამოსაცვლელი ტანსაცმელიც კი კაბინეტში უკიდია, რადგან დრო არ რჩება, რომ გამოსაცვლელად სახლში წავიდეს...**

ჰოდა, სააკაშვილის **უსააკაშვილო საზოგადოებრივი მისაღები** ასეთნაირად მოაწყო მისმა **ახალმა სოფომ** — სამუშაო მაგიდასთან მიდგმული სავარძლის საზურგეზე პიჯაკია გადაკიდებული, კაბინეტის ერთ კუთხეში კი ღია გარდერობი დგას, სადაც ასევე სააკაშვილის პიჯაკები და ტყავის ქურთუკი კიდია, იქვე აწყვია მისი ბოტასებიც და კარადის თაროზე დევს ამერიკის შეერთებული შტატების მე-40 პრეზიდენტის **რონალდ რეიგანის ბიუსტი.**




რაც ყველაზე მთავარია, კაბინეტის შესასვლელთან გაკრულია ოქროსფერი ფირნიში, რომელზეც დიდი ასოებით წერია — **„საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი“.**

არც **„ყოფილი პრეზიდენტი“** და არც **„მესამე პრეზიდენტი“,** პირდაპირ **„საქართველოს პრეზიდენტი“** წერია!

აბა, ყოფილი ბელადი ვის გაუგია ან ბელადისათვის რიგითობის მინიჭება ვის უნახავს?!

ბელადი მუდამ ბელადია და ბელადი მარად პირველი და ერთადერთია!

არ დაგიმალავთ, ძალიან კი გვეზარებოდა ტვინის ჭყლეტა იმაზე, თუ ვინ ვის დასცინის და ამასხარავებს ასეთი „საზოგადოებრივი მისაღების“ გახსნით: სააკაშვილი — ნაცმოძრაობას, ნაცმოძრაობა — სააკაშვილს თუ ორივე ერთად — საკუთარ მომხრეებს?

ჰოდა, ღმერთი გაახარებს **მამუკა ხაზარაძის „ტუალეტის მჯღაბნელთა“ კოჰორტის თვალსაჩინო წარმომადგენელს, პრემია „საბას“ ოთხგზის ლაურეატ ლაშა ბუღაძეს,** რომელმაც სააკაშვილის უსააკაშვილო მისაღების შესახებ ფეისბუქში ვრცელი პოსტი გამოაქვეყნა და ძალიან კარგად გადმოსცა ის, რაზეც ჩვენ ტვინის ჭყლეტა გვეზარებოდა:

# ლამბალო

*1925 წელს* ***მიხეილ ჯავახიშვილმა*** *დაწერა ერთ-ერთი გამორჩეული მოთხრობა* ***„ლამბალო და ყაშა“...***

***„ლამბალო“,*** *რომელიც აზერბაიჯანულად* ***„კეთილსა“*** *და* ***„ყოველმხრივ შემკულს“*** *ნიშნავს, სპარსეთში, ურმიის ტბის ნაპირას მდგომი რუსის ჯარში მომსახურე ქართველი ექიმის სპარსი მსახურის — მაშადი ჰასანის მეტსახელია. ლამბალო ამართლებს თავის თიკუნს და სიკეთისა და სიყვარულის განსახიერებაა, რასაც ვერ ვიტყვით* ***რუს ყაშა ლაზარზე,*** *რადგან ეს ფრთაშესხმული ბოროტება, რომელიც რუსი ეპისკოპოსის — პავლეს მსახურია, საშინლად ემტერება ლამბალოს.*

***ლამბალო*** *სწორედ ყაშას ბოროტი ხვანჯების შედეგად დაიღუპება, მაგრამ კარგი დღე არც* ***ყაშას*** *დაადგება, რადგან ლამბალოს მამა, რომელიც გველების შემლოცველი და შემგროვებელია, შვილის მკვლელს თავის მიერ გამოზრდილ ასპიტებს მიუქსევს და ასე, შხამითა და გესლით მოკლავს ბოროტებას, რომელმაც კეთილშობილი და საცოდავი* ***ლამბალო*** *გაწირა...*

***ლამბალო,*** *გარდა იმისა, რომ დიდი მიხეილ ჯავახიშვილის დაუვიწყარი და გამორჩეული ლიტერატურული გმირია, ასევე სოფელია საქართველოში, კერძოდ, საგარეჯოს რაიონში, სადაც მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს საზარელი ტრაგედია დატრიალდა და ორთვიანი ტანჯვა-წამების შემდეგ, 27 წლის ახალგაზრდა კაცმა 14 წლის გოგონა მოკლა, რომელიც, კატეგორიული უარის მიუხედავად, დედამ და ბიძამ ძალით გაათხოვეს და აიძულეს, მამაკაცთან სარეცელი გაეყო...*

***11 ოქტომბერს, სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში გახსნილმა სააკაშვილის საზოგადოებრივმა მისაღებმა, რომლის უფროსადაც სოფო ჯაფარიძეა დანიშნული, ჩვენდა უნებურად, სწორედ სოფელ ლამბალოში დატრიალებული ტრაგედია და ის უბედურება გაგვახსენა, რაც კეთილშობილ ლამბალოს ბოროტმა ყაშამ დააწია.***

**იმ დღეს სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში, რომელიც 2020 წლის 19 აპრილს ერთმა პატრიოტმა ცეცხლს მისცა, ყველანი ერთად შეიკრიბნენ – მოძალადეები და გამაუპატიურებლები, სააკაშვილის ასპიტები, სააკაშვილის მიერ**

**გაუპატიურებულები, სააკაშვილის მიერ მომავალში გასაუპატიურებლები და, რაც ყველაზე მთავარია, გაუპატიურებაზე მეოცნებენი...**

სამეგრელოსა და იმერეთში საორმოცოდ მიცვალებულის ტანსაცმელებსა და ფეხსაცმელებს რომ გამოფენენ და დაიტირებენ, ქალბატონ **სოფო ჯაფარიძესა და დედა ბიულის** სწორედ ისე ჰქონდათ გამოფენილი სააკაშვილის პიჯაკები, ამერიკის ემბ-

## კვირგვინოსნები

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



მომავალი წლის ოქტომბრამდე **ხელებჩამოშვებული მოცდა** საბოლოოდ გაანადგურებს სახელმწიფოს.

„პირველი არხი“

**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი*



**სარკოზის** მსგავსად **სააკაშვილმაც იაროს სამაჯურით,** სანამ მიმდინარე გამოძიებები დასრულდება.

„აიპრესი“

**ანდრეი პლენკოვიჩი**
*ხორვატიის პრემიერ-მინისტრი*



მხარს ვუჭერთ საქართველოს ძალისხმევას, **მიხეილ სააკაშვილის ფაქტორი არ იქნება ელემენტი,** რომელიც არსებით გავლენას მოახდენს ევროკავშირის ანგარიშზე.

„პირველი არხი“

**ხათია დეკანოიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



**ნაცმოძრაობა რომ მძიმე მდგომარეობაშია,** ამას თავად პარტიის წევრები ადასტურებენ ჩემთან პირად საუბრებში.

„რეზონანსი“

# „სააკაშვილის საზოგადოებრივ მისაღებში“ მისულებს სააკაშვილის ნაცვლად მისი პიჯაკები და ბოტასები მიიღებენ!



სოფო ჯაფარიძე და სხვანი „სააკაშვილის საზოგადოებრივი მისაღების“ გახსნაზე



„ახლა შემომხვდა ***„მიხეილ სააკაშვილის მისაღების“*** ფოტოები და თავიდან ვიფიქრე, რომ ***მარინა აბრამოვიჩის*** ინსტალაციაა. კიდია პიჯაკები, იქვე დევს ბოტასებიც და წინ კი ცარიელი მაგიდა დგას...-კართან წარწერით: ***„საქართველოს პრეზიდენტი“.*** ოღონდ თავად სუბიექტი იქ არ მდებარეობს. ***ჰოდა, რა არის ეს? ეჟენ იონესკოს პიესაა აბსურდის ჟანრიდან თუ სპირიტისტული სეანსის სივრცე?*** შეხვალ, პრეზიდენტის პიჯაკს ჩაუთქვამ სურვილს და ბოტასი კი მისაღების გამხსნელის ხმით ამოგძახებს: ***„გადაგზავნილია“...*** აბა, ოთახში თავად არ ზის და... ***უკაცრავად, მაგრამ რას ამასხარავებთ ამ კაცს, რომელიც ობიექტურად მძიმე ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მდგომარეობაშია?!*** *შეხედეთ მის ჩართვას სასამართლოზე და დარწმუნდებით... თუ თავს თვითონვე იმასხარავებს?! ალბათ, არც უმაგისობაა...* ***ცოტა მეტი სერიოზულობა რომ მართებდეს ყველას, უთუოდ კარგი იქნებოდა, მაგრამ უკვე გვიანია... „მრევლი“ პიჯაკებთან კომუნიკაციითაც კმაყოფილია“.***

ვერაფერს იტყვი და ვერაფერს დაამატებ, რადგან **ეს ის უიშვიათესი შემთხვევაა, როცა „უბორნიის მწერალთა“ ამქრის წინამძღოლი ლაშა ბუღაძე ცამდე მართალია!**

მხოლოდ ერთი რამის დაზუსტება შეიძლება — სააკაშვილს სხვები კი არ ამასხარავებენ, არამედ თავს იმასხარავებს და სხვები იძულებული არიან, ამ მასხარაობაში აჰყვნენ, რადგან სექტისათვის ბელადის სურვილები უზენაესია და ბელადის სიტყვა — კანონი!

თავად **ლაშა ბუღაძეს,** შეიძლება, ნაცმოძრაობის პარტბილეთი არ უდევს ჯიბეში, მაგრამ სულით ხორცამდე და თხემით ტერფამდე ნაცია — იდეური ნაცი და ცხოვრების წესით ნაცი... **ჰოდა, წარმოიდგინეთ, რა სამარცხვინო დღეში უნდა იყოს ნაცბელადი სააკაშვილი, რომ ლაშა ბუღაძესაც კი ეცოდება?**

**პოლიტიკური, მორალური და სულიერი დეგრადაციის რობორ უფსკრულში უნდა იყოს გადაჩეხილი მთელი სანაცეთი, რომ „უბორნიის მწერალ“ ბუღაძესაც კი აღმოხდა — ესენი ვინ არიან და რეებს აკეთებენო?!**

და კიდევ: **ლაშა ბუღაძე** თავის ფეისბუქ-პოსტში სააკაშვილისა და ნაცსექტის „მრევლზე“ რომ წერს — **პიჯაკებთან კომუნიკაციითაც კმაყოფილი არიანო** — იმ „მრევლში“ აუცილებლად უნდა მოიაზროს **საკუთარი მამა, მხატვარი გია ბუღაძე,** რომელსაც სააკაშვილი რეინკარნირებულ ზვიად გამსახურდიად ჰყავს შერაცხილი!

მაგალითად, 2023 წლის 9 აპრილს, ნაცსექტის მიერ რუსთაველის პროსპექტზე გამართულ მიტინგზე **ლაშა ბუღაძის მამა გია ბუღაძე** სცენაზე ავიდა, „ვივამედის“ ლუქს-პალატაში მოკოტრიალე სააკაშვილს სამხედრო სალამი უძღვნა და მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა:

***„მივესალმები ჩემს ლეგენდარულ და დიდ პრეზიდენტს, მთავარსარდალ მიხეილ სააკაშვილს! მხოლოდ მას შეუძლია, მართლა იხსნას საქართველო! თითქოს ზვიად გამსახურდიას სული გადმოვიდა სააკაშვილში!“***

ასე რომ, **გია ბუღაძეზე** თავგადაკლული „მრევლი“ სააკაშვილს ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი თუ ეყოლება!

ცოტა არ იყოს, გვეშინია კიდეც, **მამა-შვილ ბუღაძეებს** ერთმანეთში რამე ფარცაგი არ მოუვიდეთ, რადგან **მამა ბუღაძე** სააკაშვილს „ლეგენდარულ მთავარსარდალსა“ და „საქართველოს ერთადერთ მხსნელს“ ეძახის, **შვილი ბუღაძე** კი — საცოდავსა და თავგამასხარებულს!

**იმედს ვიტოვებთ, მამა-შვილი ბუღაძეები ამ საკითხში საერთო ენას როგორმე გამონახავენ და შერიგებისა თუ მორიგების ნიშნად ერთ ოჯახურ ფოტოსაც გადაიღებენ სააკაშვილის საზმისაღებში, მისი პიჯაკებისა და ბოტასების ფონზე!**

***ჯაბა ხუბუა***




## სააკაშვილს საზოგადოებრივი ტუალეტის მაგივრად საზოგადოებრივი მისაღები გაუხსნეს!

# და მიშა

ლემიანი ტყავის ქურთუკი და ბოტასები... **ე.წ. მისაღების სიღრმიდან მორცხვად იმზირებოდა პრეზიდენტ რეიგანის — როგორც გლობალური პოლიტიკური დომხალისა და კაცობრიობის ზნეობრივი ხრწნილების უტყვი მოწმის — ბიუსტი...** იმედია, ქალბატონი **სოფო ჯაფარიძე,** კნეინა **თინათინ ბოკუჩავა,** კნეინა **მარიამ საჯაია,** კნეინა **ალანა გაგლოევა,** კნეინა **სოფო ნიჟარაძე,** მადამ **სანდრა რულოვსი,** ბარინია **ლიზა იასკო** და სუტკნეინა **სოფო ჭყონია** მომავალში აუცილებლად იზრუნებენ იმაზე, რომ სააკაშვილის საზოგადოებრივ მისაღებში პიჯაკებთან, ბოტასებთან და ტყავის ქურთუკებთან ერთად აუცილებლად გამოიფინოს სააკაშვილის ნიფხვებიც, როგორც ძვირფასი რელიკვია და სახსოვარი.

**საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში** 14 წლის გოგონამ ძალადობა ვერ აიტანა და მიუხედავად იმისა, რომ დედა და ბიძა მდიდარ ქმართან დარჩენას აიძულებდნენ, მოძალადეს მაინც არ დანებდა. **გოგონა შეეწირა თავისი სინდის-ნამუსის დაცვას ზუსტად ისე, როგორც ისტორიკოს ჯუზჯაზის მიერ აღწერილი 80 ათასი ჩინელი ქალწული, რომლებმაც 1215 წელს ჩინგიზ-ხანის ჩინეთში შეჭრის დროს მონღოლ ჯარისკაცებთან სარეცლის გაყოფასა და ნოინების ჰარამხანაში ფუფუნებით ცხოვრებას სიკვდილი ამჯობინეს და კლდეებიდან თავი გადაიჩეხეს...**

14 წლის ლამბალოელ გოგონას აღმოაჩნდა იმის ღირსება, რომ უარი ეთქვა სიმდიდრეზე, უზრუნველ მომავალზე და არ დანებებოდა სრულიად უცხო მამაკაცს, რომელთან თანაცხოვრებასაც დედა და ბიძა აიძულებდნენ. სამაგიეროდ, ქართული პოლიტიკის „როენა მამიდებს“ არაფრის რცხვენიათ და ამიტომაც ველოდებით იმ დროს, როცა სააკაშვილის საზოგადოებრივ მისაღებში ერთ მშვენიერ დღეს **ნანულა ჟორჟოლიანიც** გამოჩნდება და სააკაშვილის ბოტასების გვერდით თავის აყროლებულ ბოტასებსაც გამოფენს...

**მიშა** ისევე, როგორც **ყაშა,** ბოროტების სიმბოლოა...

**ყაშა** ლაზარმა ცუდად დაასრულა...

**როგორც ჩანს, გარყვნილი სააკაშვილისთვის ციხე ყველაზე ცუდი სასჯელი არ არის და ნაპრეზიდენტალი, რომელიც სოფო ნიჟარაძესთან სატელეფონო საუბრისას „ქინძობას“ ნატრობდა, ზოგიერთისთვის შესაძლოა, ომბალოც გახდეს.**

მაგრამ უზნეო, ბოროტი და გორში მუცელზე მფორთხავი მიშა ვერასოდეს გახდება სიკეთის მთესველი **ლამბალო,** რომელსაც **მიხეილ ჯავახიშვილმა** შედევრი უძღვნა!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



რომელი ლიდერის ინტერესში იქნება **სააკაშვილის** გაძლიერება? **არცერთის — მათ სააკაშვილი სჭირდებათ საბაბად, თორემ მისი ცხრაკლიტულში ყოფნა, რა თქმა უნდა, აწყობთ!**

„იმედინიუსი“

**ნიკა მელია**
*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი თავმჯდომარე*



ნაციონალური მოძრაობა **ორად გახლიჩა** უსამართლობამ, უზნეობამ, ღირებულებებისგან დაცლამ — **არაფორმალური მმართველობის ქვეშ ერთობა გამორიცხულია!**

„ინტერპრესნიუსი“

**მიხეილ სარჯველაძე**
*პარლამენტარი*



როგორც ჩანს, **ნიკა მელიას ცალკე პარტიის შექმნის მოტივაცია** დიდი აქვს. მას ნაციონალურ მოძრაობაში აღარ დაედგომება.

„რეზონანსი“

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



ნაციონალური მოძრაობა თავიდან ბოლომდე **არაფორმალური მმართველობისა და შიდა შეთქმულებების** ჭაობშია ჩაფლული.

„რეზონანსი“

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



მინდა, ვუთხრა ყველას, **ვისაც არჩევნების გვერდის ავლით სურს ხელისუფლებაში დაბრუნება** — არასწორი გზით მიდიან!

„რეზონანსი“

**გიორგი ვაშაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



**თალაკვაძეს** შევახსენებ, ჯიბეში რომ **აიდი-პასპორტი** უდევს, მისი თანაგუნდელები კი **იუსტიციის სახლში** დაჩქარებული წესით იფორმებენ სხვადასხვა ქონებას, **ყველა ეგ რეფორმა ჩემი გაკეთებულია.** „კვირის პალიტრა“

# «ვეკითხები დუჭმორეულ მეხუთე კოლონას – კოლექტიურ ნაცებს, რომლებიც ბოლო ხმაზე გაჰკივიან, საქართველო ცალსახად ისრაელის მხარეს უნდა დადგესო. ამ ნაბიჯმა მეზობელი სახელმწიფოების აგრესია რომ გამოიწვიოს, ვინ იქნება ჩვენი დამცველი?“




## სოსო შატბერაშვილი:

# საქართველო არ უნდა ჩაერთოს ისრაელის მხარდამჭერ აქციებში!

*— როგორც არასდროს ისე გვმართებს სიფრთხილე,* ***— აცხადებს მემარცხენე ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი სოსო შატბერაშვილი და ისრაელში განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ რამდენიმე რიტორიკულ შეკითხვას სვამს:***

— მოდით, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და პირდაპირ ვთქვათ — **სახეზეა მესამე მსოფლიო ომი,** რომელიც გასული წლის თებერვალში უკრაინით დაიწყო. შეხედეთ, ამ დაპირისპირებაში რამდენი ქვეყანა არის ჩართული ან შესაძლოა, ჩაერთოს. შეერთებულმა შტატებმა მალევე შეიყვანა ზღვაში ორი ავიამზიდი 90 საბრძოლო თვითმფრინავით, მეტიც, სახელმწიფო მდივანი **ენტონი ბლინკენი** თავად ჩავიდა ისრაელში, რომელსაც მხარს უჭერს ნატო და ის ქვეყნები, სადაც დიდი რაოდენობით ებრაელები ცხოვრობენ. სამაგიეროდ, „ჰამასის“ მხარესაა მთელი არაბული სამყარო — სირია, იორდანია, ირანი. **ამ კონფლიქტში ირანი თუ ჩაერთო, არ არის გამორიცხული, ატომური იარაღის გამოყენებამდეც მივიდეს საქმე.** ამ ომს ყველა ის სისასტიკე ახლავს, რაც ზოგადად მსოფლიო ომებს — ბავშვების ამოხოცვა, გალიაში ჩასმა, მძევლების აყვანა, გვამებზე მანქანებით გადავლა და ა.შ.

**— ანუ პალესტინა-ისრაელს შორის არსებული კონფლიქტი, რომელიც სათავეს ისრაელის სახელმწიფოს შექმნიდან იღებს, შიდა ომი არ არის?**

— ეს რომ შიდა ომი იყოს, კონფლიქტი მალევე ამოიწურებოდა. გასაგებია, რომ პალესტინასა და ისრაელს შორის დაუსრულებელი კონფლიქტია. იერუსალიმი ნეიტრალური ქალაქი უნდა ყოფილიყო, რომელიც გაეროს მმართველობის ქვეშ იქნებოდა, მაგრამ ისრაელის ხელისუფლებამ იერუსალიმი თავის სამუდამო დედაქალაქად გამოაცხადა. ამას დაემატა ამერიკის საელჩოს იერუსალიმში გადატანაც, რაც ასევე დიდი შეცდომა იყო ტრამპის ადმინისტრაციის მხრიდან. ყველაფერმა ერთად ტერორისტული დაჯგუფება „ჰამასის“ გააქტიურება გამოიწვია, რომელიც აშშ-ის ისეთივე პროდუქტია, როგორც **ოსამა ბინ ლადენი.**

1967 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირმა მხარი დაუჭირა არაბულ ქვეყნებს, შტატებმა „ჰამასი“ — არაბებით დაკომპლექტებული ტერორისტული ორგანიზაცია შექმნა. მათ პროსაბჭოურად განწყობილი არაბების წინააღმდეგ უნდა ებრძოლათ, თუმცა, მოგვიანებით, საბჭოთა კავშირი დაიშალა, „ჰამასი“ კი დარჩა.

**— ისრაელს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სადაზვერვო სპეცსამსახური ჰყავს. როგორ გამოეპარათ საზღვრებთან ასეთი სამზადისი?**

— არის საუბარი, რომ შიდა ღალატს ჰქონდა ადგილი, მაგრამ აქვე მეორე კითხვა ჩნდება — **სად იყო ამ დროს შტატების სადაზვერვო სამსახური, რომელიც კოსმოსიდან აკონტროლებს ყველაფერს?!** ვინც საქმეში ჩახედული არ არის, მინდა მათ გასაგონად ვთქვა, შტატების დაზვერვა კოსმოსიდან იმდენად თვალნათლივ ხედავს ყველაფერს, რომ სამხედროს რა სამხრეები უკეთია, იმასაც კი არჩევს. მათ მაინც როგორ გამოეპარათ ისრაელის საზღვართან „ჰამასის“ სამზადისი? **ფაქტია, რომ ყველა სადაზვერვო სამსახური გაჩუმებული იყო, მათ შორის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის.**

**— როგორ ფიქრობთ, დღეს ვის წისქვილზე ასხამს წყალს ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტური სიტუაცია?**

— ამერიკის შეერთებული შტატები რომ მძიმე მდგომარეობაშია, ფაქტია. მას ორ ფრონტზე უწევს ბრძოლა — უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთში. **თუ ღიად დაუჭირა მხარი ისრაელს, შესაძლოა, მთელი არაბული სამყარო დაუპირისპირდეს, როგორც ეს 1967 წელს მოხდა და რითიც მაშინდელმა საბჭოთა კავშირმა ისარგებლა — განიმტკიცა პოზიციები არაბულ სამყაროში.**

საომარი მოქმედებების თეატრს თუ გადავავლებთ თვალს, დღესაც ყველაზე მეტ პოლიტიკურ დივიდენდს რუსეთი იღებს — მეორე პლანზე გადაინაცვლა უკრაინის საკითხმა. მართალია, რუსეთსა და

## კვირგვინოსნები

**არნო ხიდირბეგიშვილი**
*საქინფორმის მთავარი რედაქტორი*



იდიოტები ვერ ამჩნევენ, რომ პალესტინას მხარი დაუჭირეს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებმა, რომლებიც უფრო ახლოს არიან საქართველოსთან, ვიდრე დასავლეთის ქვეყნები, რომლებიც მხარს უჭერენ ისრაელს! იდიოტებმა ვერ დაისწავლეს ყარაბაღის მთავარი გაკვეთილი: **„ვინც რუსეთს ეთვისება — იმარჯვებს, ვინც არ ეწყობა — აგებს!“**

**მამუკა დავარაშვილი**
*ისრაელში მცხოვრები ექიმი*



**მეოთხე ომს მოვესწარი, რაც ისრაელში ვცხოვრობ, მაგრამ ასეთი ჯერ არ ყოფილა.** მე ძალიან ახლოს ვცხოვრობ **ღაზის სექტორთან,** დაახლოებით 10-15 კილომეტრის დაშორებით. მთელი ღამე ვუყურებდი, როგორ იბომბებოდა ღაზა. **ბავშვები დაგვიხოცეს! ისრაელი დათმობაზე აღარ მიდის!**

„ახალი თაობა“

**ბაჩო ოდიშარია**
*კონცერტების კინოწარმოების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე*



**მშვიდობა** ყველაზე მოსაფრთხილებელი და დასაფასებელი გარემოებაა, **მშვიდობა** ისრაელს და **მშვიდობა** საქართველოს!

„იმედინიუსი“

**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



**ჩვენი ბედი უნდა განსაზღვრონ ქართველებმა,** ამ ქვეყნის მოქალაქეებმა, **ჩვენი ბედი უნდა განისაზღვროს თბილისში,** არც — ნიქოზიაში, არც — ლონდონში და არც — სხვაგან, ეს გამორიცხულია.

„იმედინიუსი“

**ხათუნა ხოფერია**
*პოლიტიკოსი*



იმის გამო, რომ უკრაინას და აშშ-ს რაღაც შევუმსუბუქოთ, **საქართველოში მეორე ფრონტი არ გაიხსნება,** ამის წინააღმდეგ სრულიად ერი გაჯერთიანდებით და ამის უფლებას არავის მივცემთ.

„საერთო გაზეთი“

# «ამ კონფლიქტში ირანი თუ ჩაერთო,
# არ არის გამორიცხული, ატომური იარაღის გამოყენებამდეც მივიდეს საქმე!»

ისრაელს შორის ცუდი ურთიერთობა არ არის, მაგრამ ის დუმს და გახარებულია იმ ამბით, რაც ახლო აღმოსავლეთში ხდება. არ არის გამორიცხული ამ კონფლიქტით ჩინეთმაც ისარგებლოს და ტერიტორიული მთლიანობა აღადგინოს — დაიკავოს ტაივანი.

**— რაც შეეხება საქართველოს, ამ გამოწვევების ფონზე როგორ გამოიყურება და რამდენად სწორ ნაბიჯებს დგამს ხელისუფლება?**

— თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს ახლო აღმოსავლეთში და კავკასიაში ერთადერთი ოაზისი საქართველოა, რომელსაც, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, მეორე ფრონტი ვერ გაახსნევინეს. ის, რომ ხელისუფლება ისრაელის მხარდასაჭერად სერიოზულ ქმედებებს არ ახორციელებს, სწორია. ჩვენ მუსლიმანური სახელმწიფოების გარემოცვაში ვართ — სამხრეთით თურქეთი გვყავს, აღმოსავლეთით — აზერბაიჯანი, გვერდით — ჩრდილო კავკასიელები, ცოტა იქით — ირანი, სირია და ა.შ. **საქართველოს, როგორც არასდროს, ისეთი სიფრთხილე მართებს. ერთი მცდარი ნაბიჯიც საკმარისია, რომ არაბული და მუსლიმანური ქვეყნების აგრესიის ობიექტი აღმოვჩნდეთ.**

ვეკითხები დუქმორეულ მეხუთე კოლონას — კოლექტიურ ნაცებს, რომლებიც ბოლო ხმაზე გაჰკივიან, საქართველო ცალსახად ისრაელის მხარეს უნდა დადგესო. **ამ ნაბიჯმა მეზობელი სახელმწიფოების აგრესია რომ გამოიწვიოს, ვინ იქნება ჩვენი დამცველი?** გაიხსენეთ, 2008 წელი, არც — ეკონომიურად, არც — იარაღით, არც — ცოცხალი ძალით და არც დიპლომატიური დემარშით არავინ დაგვეხმარებია. უკრაინისგან განსხვავებით, სანქციაც კი არ დაუწესეს რუსეთს საქართველოში შემოჭრისათვის. ეს ყველაფერი დაგვავიწყდა?

**კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა ებრძვის არამხოლოდ „ქართულ ოცნებას“, არამედ ქართულ სახელმწიფოს. მის ჩამოქცევაზე ოცნებობს, როგორც ეს 2003 წელს გააკეთა.** იმდენად უსირცხვილოები არიან, რომ **ვიქტორ ორბანსაც** კი მისწვდნენ — ევროკავშირის წევრი ქვეყნის ლიდერს, საქართველოს გულმხურვალე მხარდამჭერს. ლამის საცვლებიდან ამოხტნენ მისი ვიზიტის გამო. პუტინის მეგობარი, ტოტალიტარული სახელმწიფოს მეთაური და რა არ ეძახეს იმის გამო, რომ საქართველოს ინტერესებს იცავს. **ხედავთ, რა დღეშია ქართული არმიის მძარცველი? როგორ უსირცხვილოდ მართავს შეხვედრებს თავის დაფინანსებულ პარტიის ლიდერებთან?!**

**— დავით კეზერაშვილს გულისხმობთ, ალბათ...**

— დიახ, **კეზერაშვილს,** რომელმაც ქართველი ხალხი გაძარცვა. სამწუხაროდ, მე მასზე მეტად ფრანგულ სასამართლოზე ვბრაზდები, რომელმაც ეს კრიმინალი საქართველოს მხარეს არ გადმოსცა. სამწუხაროდ, ეს არის ის ნაქები ფრანგული მართლმსაჯულება, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფვით. **მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ცნობილმა კორპორაცია „ბიბისიმ“ კეზერაშვილი პენსიონერების გაქურდვაში დაადანაშაულა, ევროპის ტერიტორიაზე ისევ არხეინად დასეირნობს.**

ევროკავშირი და ევროპული ქვეყნების უმრავლესობა საქართველოს კი არა, მისი მტრების მხარეზე არიან. მხოლოდ იმ პიროვნებებსა და აქციებს უჭერენ მხარს, რაც ჩვენი ერისათვის და ტრადიციებისათვის არის მიუღებელი.

ირაკლი ღარიბაშვილს ხშირად ვაკრიტიკებდი, მაგრამ დღეს ის და მთლიანად ხელისუფლება დანის პირზე გადის და მათ გვერდში დგომა, ჩვენი მხარდაჭერა სჭირდება. მიუხედავად ურთულესი გამოწვევებისა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, საქართველოში მშვიდობა არის შენარჩუნებული, ასევე მხილებულია რადიკალური ოპოზიცია, თავისი ტელევიზიებიანად.

ჩემი რჩევაა ხელისუფლებისადმი, დიდი სიფრთხილით გადადგას თითოეული ნაბიჯი, საქართველო არ უნდა ჩაერთოს ისრაელის მხარდამჭერ აქციებში! ორიოდე კვირის წინ, ალიევის ვიზიტისას, აბსოლუტურად სწორად განაცხადა **პრემიერმა ღარიბაშვილმა** — ნეიტრალურ ტერიტორიას გთავაზობთ მოსალაპარაკებლადო. მხოლოდ და მხოლოდ ასეთი შეთავაზებები უნდა ისმოდეს ჩვენი ქვეყნის ლიდერებისგან!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***






# «დღეს ირაკლი ღარიბაშვილს ჩვენი მხარდაჭერა სჭირდება!»

## კვირგვინოსნები

**ვლადიმერ ბოჟაძე**
*თბილისის საკრებულოს წევრი*



**ომის და ღალატის პარტიის** ახალგაზრდა აქტივისტები **კონსტიტუციის დამრღვევ პრეზიდენტს სთხოვენ, დადგეს კონსტიტუციური წესრიგის სადარაჯოზე** და ვეტო დაადოს „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში მიღებულ ცვლილებებს.

„იმედინიუსი“

**ნუგზარ ნიკლაური**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



ნაციონალური მოძრაობა ვერ ატარებს აქციებს, არ შეუძლია პოლიტიკური ამინდის შექმნა, **დაკავებულები არიან გაკოტრებული პოლიტიკოსების მოწვევით,** როგორიცაა **გიორგი ვაშაძე** — ასეთ ვითარებაში გაძლიერება ვერ მოხდება.

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი გოგავა**
*პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი*



ერის მოაზროვნე ნაწილი **კიდევ ერთხელ 9-წლიან სისხლიან დიქტატურას არ დაუშვებს!** 1937 წლის რეპრესიებს რამდენიმე ათეულჯერ გადააჭარბა **რეპრესიებისა და ქონების წართმევის იმ მასშტაბებმა,** რაც **სააკაშვილის** დროს იყო. **ამისკენ მიბრუნება დაუშვებელია.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ლაშა ძებისაშვილი**
*საქართველოს უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი*



საზოგადოებაში პროტესტის მუხტი შეიძლება, **რევოლუციის გამოსაწვევად** არ იყოს საკმარისი, მაგრამ **ხელისუფლების არაადეკვატურობაა** ხოლმე ის მთავარი „ინგრედიენტი“, რომელსაც ეს მუხტი **რევოლუციურ ტალღამდე** მიჰყავს.

„კვირის პალიტრა“

# ხრონიკული მომჩივანი



## ხანდაზმული თაღლითი ხაზარაძე ამჯერად ირაკლი კობახიძეს უჩივის!

***რომ ვაკვირდებით, თიკუნებისა და ზედწოდებების შეგროვება მამუკა ხაზარაძის ერთ-ერთი ჰობია... თითქოს ზის და დღენიადაგ მარტო იმაზე ფიქრობს, რა ახალი მეტსახელი დაიმკვიდროს საზოგადოებაში.***

აკი, თითქმის მთელი საქართველო **ყაჩაღ-ბანკირს** ეძახის! **ზონდერკომკავშირელსა და მერაბ კოსტავაზე ხელის ამწევსაც** ეძახიან!

**„ტუალეტის მჯღაბნელთა“ და „უბორნიის პოეტთა“ უსტაბაშსაც** უწოდებენ!

**ხანდაზმულ თაღლითადაც** მოიხსენიებენ!

ცოდვა გამხელილი სჯობს, **ამ მეტსახელთა უმრავლესობა ხაზარაძეს „ასავალ-დასავალისაგან“** შერჩა, რადგან სწორედ ჩვენ ვამხილეთ იგი ყაჩაღ-ბანკირობაშიც, მერაბ კოსტავაზე ხელის ამწევ ზონდერკომკავშირელობაშიც და „ტუალეტის მჯღაბნელთა“ ფინანსურ მამამთავრობაშიც!

აბა, **სანამ საკუთარი რეპუტაციის დასაკლავ დანას გამოჩხრეკდა და „ასავალ-დასავალს“ სასამართლო დავას გაუმართავდა,** მამუკა ხაზარაძე ცხენზე იჯდა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით — ჩაიცვამდა კოვბოის ფეხსაცმელს, დაიხურავდა შლაპას, მოახტებოდა ბედაურს და გააჭენ-გამოაჭენებდა მუხრანბატონთა ნამამულარში, რომელიც ახლა მისი კერძო საკუთრებაა... ჰქონდა წარმატებული ბიზნესმენისა და მაჩოს იმიჯი... უბატონოდ ხმას არ სცემდნენ და თვალებში შესციცინებდნენ...

**ალბათ, ასეც გაგრძელდებოდა, ხაზარაძეს ღმერთი რომ არ გასწყრომოდა და „ასავალ-დასავალს“ არ დატაკებოდა!**

### 160 000 ლარს ითხოვდა ჩვენგან და სასამართლო სხდომებზე იმუქრებოდა – ეგენი მალე გაკოტრდებიან, „ასავალ-დასავალი“ გაქრებაო... დიდ გულზე იყო... მისი ძმაკაცი გიორგი კვირიკაშვილი იმხანად საქართველოს პრემიერ-მინისტრის სკამზე იჯდა და იმის იმედად იფხორებოდა ყველა

### მთავრობის პირობებში ხელშეუხებლობას დაჩვეული ყაჩაღ-ბანკირი.

საბოლოო ჯამში, მომჩივანმა ხაზარაძემ „ასავალ-დასავალისაგან“ **5000 ლარი,** ანუ **500 თუმანი** წაიღო, ხოლო „ასავალ-დასავალისაგან“ მიიღო **ყაჩაღ-ბანკირის, „უბორნიის პოეტთა“ უსტაბაშისა და მერაბ კოსტავაზე ხელის ამწევი ზონდერკომკავშირელის თიკუნი,** რომლითაც დღეს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მოიხსენიებს.

რაც შეეხება **ხანდაზმული თაღლითის სტატუსს,** ეგ უფრო ქართული სასამართლოს დამსახურებაა, რომელმაც **მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძესა და ჭუტა წერეთელთან** ერთად, დამნაშავედ ცნო **ჯგუფურ თაღლითობაში,** მაგრამ ციხეში არ გაუშვა, რადგან მუხლი, რომლითაც გამამტყუნებელი განაჩენი დადგა, ხანდაზმული იყო.

ახლა კი **ხანდაზმულ თაღლით ხაზარაძის** მეტსახელთა მდიდარ კოლექციას კიდევ ერთი შეემატა — **ხრონიკული მომჩივანი!**

საქმე ის არის, რომ **ხაზარაძემ** სასამართლოში ამჯერად პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძეს უჩივლა,** აქაოდა — პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია შემილახაო!

**ხრონიკული მომჩივანი** კონკრეტულად იმაზე ჩივის, რომ კობახიძემ განაცხადა:

> *„მამუკა ხაზარაძე ერთ-ერთი მონაწილე იყო ბიზნესის რეკეტის სქემაში, რომელიც წინა ხელისუფლების მიერ იყო დანერგილი“.*

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს ახალი და განსაკუთრებული არაფერი უთქვამს!




### ზვიად კორძაძე ხრონიკული მომჩივნის ხრონიკულ ვექილად ჩამოყალიბდა!




სააკაშვილ-ადეიშვილის მიერ ბიზნესის დატერორებისა და ბიზნესმენთა გატყავების სქემაში **მამუკა ხაზარაძის „თიბისი ბანკი“** ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს რომ წარმოადგენდა, ამის თაობაზე მედიაში, მათ შორის, „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე, არაერთხელ უსაუბრია **არაერთ ქართველ ბიზნესმენს,** რომელიც პირადად გახდა ნაცრეჟიმისა და ხაზარაძის ბანკის დანაშაულებრივ ქმედებათა მსხვერპლი.

ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია **ბანკ „კონსტანტას“** საქმე, რომელიც, სხვათაშორის, დღემდე არ არის გამოძიებული, არადა, მისი მფლობელები სამართლიანობის აღდგენას სააკაშვილის რეჟიმის შეცვლის დღიდან მოყოლებული ითხოვენ.

**ბანკ „კონსტანტას“** აღმასრულებელი დირექტორი **ლევან ლებანიძე** „უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების“ შეთითხნილი ბრალდებით 2011 წლის 18 მარტს დააპატიმრეს და თავისუფლების სანაცვლოდ მოსთხოვეს, სახელმწიფო ხაზინაში **12 მილიონი ლარი** გადაეხადა. დაკავებული ბიზნესმენი **ადეიშვილის პროკურორებმა** ღამის საათებში **„თიბისი ბანკის“ ცენტრალურ ოფისში** მიიყვანეს და მისი კომპანიის აქციები, რომელთა ღირებულებაც იმ დრო-

# ირაკლი კობახიძე:

## მამუკა ხაზარაძე ერთ-ერთი მონაწილე იყო ბიზნესის რეკეტის სქემაში, რომელიც წინა ხელისუფლების მიერ იყო დანერგილი!




ისათვის 27 მილიონი ლარი იყო, 12 მილიონ ლარად დააგირავებინეს, მოკლე ხანში კი **ბანკი „კონსტანტა“** ხაზარაძის ბანკის მფლობელობაში აღმოჩნდა.

კაცმა რომ თქვას,

**მამუკა ხაზარაძის „თიბისი ბანკი“, სადაც ადეიშვილის პროკურორებმა დააპატიმრებული ბიზნესმენი ლევან ლებანიძე ღამით მიიყვანეს და 12 მილიონი ლარის აქციები დააგირავებინეს, არაფრით განსხვავდება ადეიშვილის ნოტარიუსად წოდებული და დანაშაულებრივი საქმიანობისათვის ან უკვე მეორედ დააპატიმრებული ნუნუ გინტურის კანტორისაგან,**

სადაც ნაცრეჟიმის მიერ დატყვევებული ბიზნესმენები გვიან ღამით მიჰყავდათ და ქონებას იძულებით ათმობინებდნენ!

როგორ ფიქრობთ, **ადეიშვილის პროკურორებმა** ხელბორკილდადებული **ბიზნესმენი ლებანიძე** ღამით **„თიბისი ბანკის“ ცენტრალურ ოფისში** ისე მიიყვანეს, რომ **მამუკა ხაზარაძემ** არაფერი იცოდა?

როგორ ფიქრობთ, **ხაზარაძის ბანკმა** დაპატიმრებული ბიზნესმენისაგან 12 მილიონი ლარის ღირებულების აქციები ისე დაიგირავა, რომ **ხაზარაძე** საქმის კურსში არ იყო?

როგორ ფიქრობთ, რომელიმე პატიოსანი ბიზნესმენი და კეთილსინდისიერი კომპანია გააკეთებდა იმას, რაც **ხაზარაძის „თიბისი ბანკმა“** ჩაიდინა, როცა **ადეიშვილის პროკურატურის** მიერ შეპყრობილი და აქციებწართმეული კაცის ქონებას — **ბანკ „კონსტანტას“** დაეპატრონა?

კიდევ რომელი ერთი მაგალითი ჩამოვთვალოთ?

სააკაშვილის რეჟიმის ყოფილი უკანონო პატიმარი, **ბიზნესმენი ანზორ ქოქოლაძე** წლებია, საუბრობს იმის შესახებ, რომ **მამუკა ხაზარაძემ და „თიბისი ბანკმა“,** ნაცრეჟიმის ხელშეწყობით, **კომპანია „ელიტ-ელექტრონიქსი“** წაართვეს, შემდეგ კი, კვალის დაფარვის მიზნით, სიმბოლურ ფასად გადაუფორმეს **დავით კეზერაშვილის ბიზნესპარტნიორებს — იოსებ მგელაძესა და მიხეილ ბენიამინს!**

სააკაშვილის რეჟიმის კიდევ ერთი ყოფილი უკანონო პატიმარი, ბიზნესმენი **ჯემალ ლეონიძე** ასევე **მამუკა ხაზარაძესა და მის ბანკს** ადებს ხელს — **ნავთობკომპანია „მაგნატი“,** რომელიც დღეს **„გალფის“** სახელით ფუნქციონირებს, ნაცბანდის დახმარებით წაართვეს, მერე კი ხაზარაძემ კეზერაშვილს 1 ლარად გადაუფორმაო!

მოკლედ, **ირაკლი კობახიძის** განცხადება — **მამუკა ხაზარაძე სააკაშვილის რეჟიმის მიერ ბიზნესის დარეკეტების თანამონაწილე იყოო** — ჰაერიდან მოტანილს ნამდვილად არ ჰგავს!

ისიც სავარაუდოა, რომ **ირაკლი კობახიძემ** მამუკა ხაზარაძის რეკეტიორობის შესახებ უფრო ბევრი იცის, ვიდრე მედიამ და საზოგადოებამ, რადგან მმართველი პარტიის თავმჯდომარესა და ხელისუფლების ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან პერსონას გაცილებით მეტ ინფორმაციაზე მიუწვდება ხელი!

ასე რომ, **ხრონიკულ მომჩივან ხაზარაძეს, რომელსაც თავისი ხელოვნურად შეკოწიწებული რეპუტაცია „ასავალ-დასავალთან“ ჭიდილში სულ ერთიანად ჩამოენგრა, ირაკლი კობახიძის წინააღმდეგ სასამართლოში ჩივილი შეიძლება, კიდევ უფრო ძვირად დაუჯდეს** და მერაბ კოსტავაზე ხელის ამწევი ზონდერკომკავშირელის თიკუნთან ერთად ქართველ ბიზნესმენთა დამრეკეტებელ-გამტყავებლის იარლიყიც სამუდამოდ აიკრას!

და კიდევ: **ირაკლი კობახიძის** წინააღმდეგ სასამართლო დავაში **ხრონიკული მომჩივნის — მამუკა ხაზარაძის** ინტერესებს ისევ და ისევ **ადვოკატი ზვიად კორძაძე** დაიცავს!

შეიძლება ითქვას, რომ **ზვიად კორძაძე ხრონიკული მომჩივნის ხრონიკულ ვექილად ჩამოყალიბდა!**

რა გინდა, სარფიანი კლიენტი კი იშოვა!

## ხაზარაძეს იმდენი მამხილებელი და ხელის დამდები ჰყავს, თუნდაც ყოველ მეათეს რომ უჩივლოს, კორძაძეს სიცოცხლის ბოლომდე საქმე არ მოაკლდება და მარტო ხრონიკული მომჩივნის მომსახურებაში აღებული ჰონორარი აცხოვრებს!

სხვათაშორის, ტელევიზიებმა აჩვენეს, **ხრონიკული მომჩივნის ხრონიკულმა ვექილმა კობახიძის საწინააღმდეგო სარჩელი სასამართლოს კანცელარიაში როგორ ჩააბარა და ზვიად კორძაძე, ცოტა არ იყოს, მობერებული გვეჩვენა... თითქოს ცოტა მოტეხილიც...** ჟურნალისტებთან კომენტარიც გააკეთა და არც ხმაში გამოუკრთოდა უწინდელი ომახი და ენთუზიაზმი... როგორც ჩანს, **პატივცემული ზვიადი** თვითონაც კარგად ხვდება, რომ **ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში „ხაზარაძის ადვოკატის“ სახელით შესვლა ემუქრება და ამის გამო შინაგანი დარდი ხრავს...**

**კორძაძე** უჭკუო კაცი არ გახლავთ და იცის, რომ **ხრონიკული მომჩივნის ხრონიკული ვექილობა,** შერბილებულად თუ ვიტყვით, სასახელო საქმე არ არის, ასეთი სახელით ისტორიაში დარჩენა კი მთლად **თავის მოჭრა** იქნება!

აბა, როგორი ამბავია, **ხრონიკულ ვექილად** შეაბერდე **ხრონიკულ მომჩივანს,** რომელმაც „ასავალ-დასავალთან“ დავაში საკუთარი პატივი და ღირსება **160 000 ლარად შეაფასა, სასამართლომ კი უთხრა — შენი პატივი და ღირსება 5 000 ლარზე მეტი არა ღირსო!**

ვნახოთ, რას გამორჩება **ირაკლი კობახიძესთან** დავას 500-თუმნიანი პატივისა და ღირსების მქონე **ხრონიკული მომჩივანი,** რომელსაც ახლა **ხრონიკული ვექილის** იმედიღა თუ ექნება, რადგან **ხაზარაძის ძმაკაცი კვირიკაშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის სკამიდან დიდი ხანია, ჩამოვარდა, რაშიც თავისი არცთუ მცირე წვლილი „ასავალ-დასავალსაც“ მიუძღვის!**

*ჯაბა ხუბუა*



*— ისრაელში მიმდინარე პროცესის მიღმა უდიდესი გეოპოლიტიკური დაპირისპირება დგას და გაგრძელებაა იმისა, რაც ხდება უკრაინაში! —* ***აცხადებს ეკონომისტი, ანალიტიკოსი დემურ გიორხელიძე, რომლის პოლიტიკური პროგნოზიც ხშირად ხისტია, მაგრამ ზუსტი და დამაფიქრებელი:***



# „ამერიკელებმაც და რუსებმაც უნდა იცოდნენ, რომ საქართველოდან მათ საფრთხე არ ემუქრებათ, ეს ქვეყანა არის მიუმხრობელი!“

## დემურ გიორხელიძე:

# არ უნდა გავანათოთ თბილისის ანძა ხან ერთი და ხანაც მეორე დროშის ფერებით!

— ის, რაც დღეს მსოფლიოში ხდება, მათ შორის, უკრაინაში, ახლო აღმოსავლეთში, სამხრეთ კავკასიასა და შუა აზიაში არის გლობალური დაპირისპირების შედეგი! ახალი მსოფლიო წესრიგი სისხლისა და წინააღმდეგობების გარეშე ვერ მყარდება!

**ჯერ კიდევ წლების წინათ დავწერე — უახლოეს 20 წელიწადში მაინც ისრაელის ევაკუაცია გარდაუვალია-მეთქი. გაინტერესებთ, რის საფუძველზე ვამბობდი ამას?**

**— ცხადია, საინტერესოა!**

— ნეოლიბერალიზმმა ებრაელების საკმაო ნაწილის ცნობიერების დევიაცია გამოიწვია და შეუძლებელი იყო, 2-3 ათეული წლის განმავლობაში გარემომცველი ხალხის მატების ტემპს თავისი შედეგი არ გამოეღო. ასევე, ისრაელის სახელმწიფოს შექმნის პარალელურად უნდა შექმნილიყო პალესტინის სახელმწიფო. ასე გადაწყდა მაშინ, როდესაც ისრაელის სახელმწიფო იქმნებოდა. და კიდევ: სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები არ იგება იმაზე, თუ ვინ გიყვარს და ვინ არა — ურთიერთუსაფრთხოებაზე გადის, საღ პრაგმატულ ურთიერთობაზე, რომელიც ორივე მხარეს სარგებლის მიღების საშუალებას უნდა აძლევდეს საკუთარი სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების დათმობის გარეშე!

**ახალი არაფერია იმაში, რაც ახლა ისრაელში ხდება. ეს დაპირისპირება, ფაქტობრივად, ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ არის და ჯერჯერობით ისევ სახელმწიფოს საზღვრის შიგნით ვითარდება.**

ისრაელი დღეს არის შეერთებული შტატების ერთ-ერთი დასაყრდენი ძალზე მძიმე რეგიონში. რაც შეეხება **„ჰამასს“,** ის შტატებისა და ისრაელის შექმნილია ცნობილი და ძალიან გავლენიანი **იასირ არაფატის** წინააღმდეგ. კიდევ ბევრი კითხვის ნიშნებია, თუმცა, ეს ახლა ნაკლებად არის საინტერესო, მთავარია, არ მოხდეს ამის ესკალაცია და ყველაფერი ისრაელის ფარგლებში დასრულდეს. არ ვფიქრობ, რომ მარტივი პროცესი იქნება. შეუძლებელია, „ჰამასს“ წარმოდგენა არ ჰქონოდა ისრაელის არმიაზე და არ ეფიქრა საპასუხო იერიშზე. როგორც ჩანს, კარგად გათვლილი ოპერაციაა და დიდი ხნით ადრე იგეგმებოდა.

**— შეიძლება მესამე მსოფლიო ომში გადაიზარდოს?**

— მესამე მსოფლიო ომი შეიძლება ერთადერთ შემთხვევაში დაიწყოს, თუ შეერთებული შტატები და რუსეთი ერთმანეთს ძალისმიერად დაუპირისპირდებიან, თუმცა, არ არის გამორიცხული უკრაინის მსგავსი დიდი რეგიონალური კონფლიქტებიც. უახლოესი 30-40 წელი მსოფლიო პოლიტიკის ეპიცენტრი ახლო აღმოსავლეთი, სამხრეთ კავკასია და შუა აზია იქნება და ამ ქვეყნებში არსებული რთული სიტუაცია სწორედ გეოპოლიტიკური დაპირისპირების ფონზე უნდა განვიხილოთ.

**— მოდით, კიდევ ერთხელ დავაკონკრეტოთ, ვინ არიან მთავარი მოთამაშეები და რა ინტერესები აქვთ მათ?**

— დღეის მდგომარეობით მსოფლიო პოლიტიკაში სამი მთავარი მოთამაშეა — **შეერთებული შტატები, ჩინეთი და რუსეთი.** სამივე მათგანი საკუთარი ინტერესებისა და უსაფრთხოების ფარგლებში მოქმედებს. მართალია, გაჩნდა ახალი წითელი ხაზები, მაგრამ მსოფლიოს ახალ პოლიტიკურ ლანდშაფტზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ვიდრე ეს მოხდება, კიდევ ბევრი დაძაბულობა და მსხვერპლი იქნება.

ამ რთულ სიტუაციაში ჩვენ ჩვენი თავსატეხი გვაქვს — ქართული სახელმწიფოს შენარჩუნება და განვითარება! ქვეყანაში არ არის კარგად საქმე. ხალხი საქართველოდან გარბის, დემოგრაფია კატასტროფის ზღვარზეა. სამწუხაროდ, ბოლო 30 წელია, საქართველოს პოლიტიკა არის უჭკუობის კლასიკური ნიმუში, თუმცა, ახლა უკვე ისეა არეული მსოფლიო, რომ პატარა შეცდომაც კი საშინელი შედეგის მომტანი იქნება.

**— და მაინც, ამ რთულ პოლიტიკურ მოცემულობაში, სად არის ქართული სახელმწიფოს ადგილი?**

— ქართულ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ერთადერთი პოზიცია — გაატაროს ის პოლიტიკა, რასაც გლობალური სამხრეთი ატარებს და ყველა დიდ პოლიტიკურ მოთამაშესთან თანამშრომლობს. **საქართველოს ხელისუფლება ორ სკამზე ზის და კარგად არ იცის, როდის რომელ სკამზე უნდა დაჯდეს, რაც ძალიან ცუდია.** მიუმხრობელი პოლიტიკა სხვა რამ არის. კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს არის ინდოეთის, სამხრეთ აფრიკის, ეგვიპტის, საუდის არაბეთის, ბრაზილიის პოლიტიკა. ჩემ მიერ ჩამოთვლილი გიგანტური სახელმწიფოები პირდაპირ ამბობენ, ჩვენ მხარე არ ვართ, ეს თქვენი კონფლიქტიაო. საქართველო მაინცდამაინც მხარე უნდა იყოს?! ქართველებს ამ გეოპოლიტიკურ თამაშებში გაურკვევლობის გამო 1921 წელს დაგვინგრიეს სახელმწიფო და დაგვიპყრეს. დიახ, მაშინდელი დაპყრობის მიზეზი გეოპოლიტიკური კატასტროფული შეცდომები იყო! გამეორება გვინდა?!

**ამერიკელებმაც და რუსებმაც უნდა იცოდნენ, რომ საქართველოდან მათ საფრთხე არ ემუქრებათ, ეს ქვეყანა არის მიუმხრობელი!**

**— სამწუხაროდ, ქართველების დიდი ნაწილი დღესაც არ არის გარკვეული, რა ხდება უკრაინაში.**

— უფრო მეტიც, არც ისრაელში განვითარებული მოვლენების არსი ესმით. რაც უფრო მეტი დრო გავა, ეს კონფლიქტები უფრო ფართო გეოგრაფიულ არეალზე გაიშლება. **ამიტომ ბრმად არ უნდა გავანათოთ თბილისის ანძა ხან ერთი და ხანაც მეორე დროშის ფერებით.** ეს არასერიოზული საქციელია. როცა ამ ქვეყანაში უამრავი მუსლიმანური მოსახლეობაა, მეტიც, მუსლიმანური ქვეყნების გარემოცვაში ვცხოვრობთ, ასეთი ნაბიჯი მიუღებელია. **მესმის, ადამიანურად გეცოდება ებრაელი ხალხი, მათ მიმართ ჩვენს ხალხს სხვა სიყვარული აქვს, მაგრამ ამ მოქმედებით, ფაქტობრივად, ამბობ, რომ მთელი მუსლიმანური გარემოცვის მტერი ხარ!**

შეიძლება, ძალიან ხისტად ვსაუბრობ, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მინდა ეს ქვეყანა, სახელმწიფოებრიობა შევინარჩუნოთ.

*ესაუბრა*
*ნატო ფოცხიშვილი*




## კვირგვინოსნები

**ირაკლი მელაშვილი**
*ანალიტიკოსი*



არ გამოვრიცხავ, რომ **პრეზიდენტის იმპიჩმენტისთვის ხმები ჰქონდეთ.** ამ პარლამენტში **ოპოზიციის ნაწილის მხარდაჭერით** ისეთი რაღაცებია გასული, ეს გაგიკვირდებათ?

„კვირის პალიტრა“

**ვახუშტი მენაბდე**
*კონსტიტუციონალისტი*



მკაფიოა, რომ **პრეზიდენტმა კონსტიტუცია დაარღვია** და აქ საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც გადაწყვეტილების მიმღებს, დიდი არჩევანი არა აქვს.

„კვირის პალიტრა“

**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში*



**პრეზიდენტის იმპიჩმენტი არ მოხდება!**

„ახალი თაობა“

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



ეს ხელისუფლება რომ **კანდიდატის სტატუსს** ელოდება, ეს არის დაცინვა ჩვენიც, ევროკავშირისაც და საერთოდ ყველასი! **პაპუაშვილის** წერილის შემდეგ, როდესაც მან განაცხადა, **ევროკავშირმა გადმოგვცეს კეზერაშვილი,** იმიტომ, რომ ის კრიტიკულ ტელევიზია „ფორმულას“ აფინანსებსო, ამის მერე ვინმე გონიერს კიდევ სჯერა, რომ ესენი **ევროკავშირის სტატუსს** იმსახურებენ?!

„ახალი თაობა“

**ზაზა პაპუაშვილი**
*მსახიობი, პოლიტიკოსი*



**არც ნატო და არც ევროკავშირი ქართველებისთვის გრაალი არ არის,** აქამდეც გვიცხოვრია და ვიცხოვრებთ. პრეზიდენტს იმდენი თავმოყვარეობაც არ გააჩნია, **ადგეს, გაიხუროს კარი და წავიდეს.**

„კვირის პალიტრა“

№59 (227) ★ 2023 წლის 16 ოქტომბერი ★ გამოდის 2003 წლიდან

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მამუკა კარტოზია** უკანასკნელ ხანს ისრაელსა და პალესტინას შორის ახალი ძალით აფეთქებულ სისხლისღვრას ეხმიანება და აცხადებს, რომ დიდ პოლიტიკურ მოთამაშეებს შორის ვიღაცას ბენიამინ ნეთანიაჰუ თავისი პოლიტიკური ორიენტაციისა და პოზიციების გამო არ აწყობს:*



რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ



## მამუკა კარტოზია:

# ნეთანიაჰუმ არ გაამწვავა ურთიერთობა რუსეთთან და ვფიქრობ, ყველაფრის მიზეზი სწორედ ეს არის!

## პროფესორის სიტყვა ★

— **ნეთანიაჰუმ** არ გაამწვავა ურთიერთობა რუსეთთან, საქვეყნოდ ცნობილია მისი მეგობრობის შესახებ პუტინთან და ყველაზე მთავარი — საჰაერო თავდაცვის უნიკალური საშუალება ე.წ. „რკინის გუმბათი" და მაღალტექნოლოგიური ებრაული იარაღი არ მიაწოდა უკრაინას! შედეგი სახეზეა: რამდენიმე თვის განმავლობაში **ნეთანიაჰუს** უწყობდნენ ე.წ. მაიდანს და, როგორც მარტის მოვლენების დროს თბილისში, ისრაელშიც გამოიყვანეს სტუდენტები, რომლებიც მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივას აპროტესტებდნენ.

**— რას ნიშნავს ღაზის სექტორი?**

— ღაზის სექტორი ეს არის დაახლოებით 365 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, რომელსაც სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება **ეგვიპტე,** ხოლო აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით — **ისრაელი.** ეს ტერიტორია ეგვიპტეს ისრაელმა 1967 წელს ე.წ. „ექვსდღიანი ომის" შედეგად წაართვა და წარმოადგენს **პალესტინის ექსკლავს,** ანუ ტერიტორიას, რომელიც გარშემორტყმულია სხვა სახელმწიფოებით. **ღაზის სექტორი ეკუთვნის პალესტინას, სადაც ცხოვრობენ მხოლოდ არაბები და მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მჭიდრო დასახლებას წარმოადგენს.**

**— რა არის პალესტინა?**

— პალესტინა ბერძნული სიტყვაა და პირველად ჰეროდოტემ ახსენა. ეს არის ტერიტორია ხმელთაშუა ზღვასა და მდინარე იორდანეს შორის. პალესტინა უძველესი ებრაული მიწაა და მისი ისტორიული სახელია **ქანაანი.** ამ ტერიტორიის არაბიზაცია ძირითადად დაიწყო 638 წლიდან, როცა არაბთა უზარმაზარმა ხალიფატმა დაიკავა ეს ტერიტორია და მოსახლეობის ეთნიკური სურათი თავიდან ბოლომდე შეცვალა. მოგეხსენებათ, ძველი წელთაღრიცხვის 586 წლის 18 ივლისის შემდეგ, რაც ბაბილონის მეფე **ნაბუქოდონოსორ მეორემ** შიმშილისა და წყურვილისგან დაოსებული იერუსალიმი აიღო, ქალაქი გადაწვეს, სოლომონის ტაძარი დაანგრიეს, ხოლო ებრაელობა განდევნეს. **1516 წლიდან პირველი მსოფლიო ომის დასრულებამდე, მთელი ეს ტერიტორია თურქეთის იმპერიის ნაწილი იყო. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, „ერთა ლიგამ", რომელიც 1920 წელს შეიქმნა, პალესტინის მთელი ტერიტორია 25 წლის განმავლობაში სამართავად გადასცა ბრიტანეთს, რომელსაც ეს მიწა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისთვის უნდა მოემზადებინა.** ცოტა უფრო ადრე, 1917 წელს, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, **ლორდმა ბალფურმა** წერილი გაუგზავნა ბრიტანეთის ებრაელთა საზოგადოების თავმჯდომარე **ლორდ როტშილდს,** სადაც პირველად დაფიქსირა, რომ დიდი ბრიტანეთი პალესტინაში მხარს დაუჭერდა ებრაელი ხალხისთვის ეროვნული სახლის შექმნის იდეას, ანუ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. 1921 წელს პალესტინაში ჩავიდა დიდი ბრიტანეთის კოლონიების მინისტრი და მომავალი პრემიერ-მინისტრი, **ლორდი უინსტონ ჩერჩილი,** სადაც არაბებთან და ებრაელებთან მოლაპარაკების შედეგად გამოქვეყნდა ე.წ. **„პალესტინის თეთრი წიგნი".**

**— რა ეწერა ამ წიგნში?**

— „პალესტინის თეთრ წიგნში" ჩაიწერა, რომ **პალესტინაში უნდა შექმნილიყო როგორც ებრაული, ისე არაბული სახელმწიფო.** არაბული სახელმწიფო უნდა დაფუძნებულიყო მდინარე იორდანეს მარჯვენა მხარეს, ანუ ე.წ. ტრანსიორდანიაში. მოკლედ, გაეროს 1947 წლის რეზოლუციის ჩანასახი უკვე „პალესტინის თეთრ წიგნში" გამოჩნდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პალესტინაში გაჩაღდა **სიონისტური მოძრაობა,** რომლის მამამთავარი გახლდათ **თეოდორ ჰერცლი.** სიონიზმი ქადაგებს მსოფლიო ებრაელობის შეკრებას, გაერთიანებას და მათ ჩასვლას აღთქმულ მიწაზე, სადაც უნდა შეიქმნას ებრაელთა სახელმწიფო.

ჰოლოკოსტმა და სტალინის უდიდესმა მხარდაჭერამ განაპირობა ის ფაქტი, რომ 1947 წელს ახლადშექმნილმა გაერომ შეიმუშავა **181-ე ისტორიული რეზოლუცია,** რომლის თანახმადაც პალესტინაში უნდა შექმნილიყო როგორც ებრაული, ისე არაბული სახელმწიფო. რაც ყველაზე მთავარია, იერუსალიმს, რომელიც სამი მსოფლიო რელიგიის — ქრისტიანობის, ისლამისა და იუდაიზმის ცენტრია, უნდა მინიჭებოდა საერთაშორისო ქალაქის სტატუსი, რომელიც არც ებრაული უნდა ყოფილიყო და არც არაბული. როგორც კი გაერომ **181-ე დეკლარაცია** მიიღო, 1948 წლის 14 მაისს **დავით ბენ-გურიონმა** გამოაცხადა ისრაელის დამოუკიდებლობა და ასე შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო. მაგრამ არაბებმა გაეროს ეს გეგმა უარყვეს და დაიწყეს ბრძოლა ისრაელის სახელმწიფოს გასანადგურებლად.

**— რატომ მოხდა ისე, რომ სტალინს, რომელმაც, ფაქტობრივად, შექმნა ისრაელის სახელმწიფო, ებრაელებმა ბოლოს უგანეს და საერთაშორისო პოლიტიკაში ამერიკის შეერთებული შტატების მხარე უფრო დაიჭირეს, ვიდრე საბჭოთა კავშირის?**

— ვფიქრობ, ამ საკითხზე ძალიან ბევრი ინსინუაცია არსებობს და სიმართლე სხვაგანაა... ნაკლებად მგონია, რომ სტალინი ვინმემ და მათ შორის ებრაელებმა „გადააგდეს", აქ საუბარი შეიძლება იყოს გარიგებაზე, რომელიც საბჭოთა კავშირის ძლევამოსილ ლიდერსა და მსოფლიო ებრაელობას შორის გაფორმდა...

**— დააკონკრეტეთ!**

— ცნობილია, რომ 1943 წელს, როცა მეორე მსოფლიო ომში ძირეული გარდატეხის პერიოდი ახლოვდებოდა, ამერიკის შეერთებული შტატები აქტიურად მუშაობდა პროექტ **„მანჰეტენზე",** რაც მიზნად ისახავდა ატომური ბომბის შექმნას. სტალინმა ამის შესახებ იცოდა და კარგად გრძნობდა, რომ მომავალი მსოფლიოს ბედს ის ქვეყანა გადაწყვეტდა, ვისაც ეს დამანგრეველი იარაღი ექნებოდა. სწორედ ამ მიზნით, უშუალოდ სტალინის ინსტრუქციებით, ცნობილი საბჭოთა მსახიობი და რეჟისორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი **სოლომონ მიხოელსი** და პოეტი **იციკ ფეფერი** ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრნენ. მათ ჰქონდათ ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები. ეს შეხვედრები გარეგნულად მიზნად ისახავდა ამერიკის მიერ საბჭოთა კავშირისთვის „ლენდ-ლიზით" მოწოდებული სტრატეგიული დანიშნულების მასალებისა და სურსათ-სანოვაგის რაოდენობის გაზრდას, მაგრამ სინამდვილეში მისია უფრო დიდი და აღმატებული იყო. კერძოდ, **მიხოელსი და ფეფერი** ამერიკასა და კანადაში სტუმრობდნენ ებრაელთა კლუბებს, ისინი ეწვივნენ **ალბერტ აინშტაინსაც** და არსებობს ძალიან საფუძვლიანი ეჭვი იმის შესახებ, რომ სოლომონ მიხოელსმა და იციკ ფეფერმა ამერიკის გავლენიან ებრაელებს სტალინის შეთავაზება ჩაუტანეს — **„დაგვეხმარეთ ატო-**

*გაგრძელება მე-2 გვერდზე*



სოლომონ მიხოელსი და იციკ ფეფერი



**„არსებობს ძალიან საფუძვლიანი ეჭვი იმის შესახებ, რომ სოლომონ მიხოელსმა და იციკ ფეფერმა ამერიკის გავლენიან ებრაელებს სტალინის შეთავაზება ჩაუტანეს — „დაგვეხმარეთ ატომური ბომბის შექმნაში და დაგეხმარებით ისრაელის სახელმწიფოს აღდგენაში!"**



## მამუკა კარტოზია:

# პალესტინა უძველესი ებრაული მიწაა და მისი ისტორიული სახელია ქანაანი!

*დასაწყისი პირველ გვერდზე*

**...მური ბომბის შექმნაში და დახმარებით ისრაელის სახელმწიფოს აღდგენაში!“** იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში ატომურ ბომბზე მომუშავე მეცნიერების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ებრაელი იყო, როგორც ჩანს, **სოლომონ მიხოელსმა და იციკ ფეფერმა** სტალინის დავალების შესრულება შეძლეს, რაც იმაში გამოიხატა, რომ ლავრენტი ბერიამ ამერიკელებს ატომური ბომბის პროექტი და ნახაზები, დიდი ალბათობით, სწორედ ებრაელი მეცნიერების დახმარებით მოპარა. ასე რომ, **ისრაელს არავინ „გადაუგდია“, ეს იყო გარიგება ებრაელებსა და სტალინს შორის, რაც ზედმიწევნით შესრულდა როგორც ერთი, ისე მეორე მხარის მიერ.** ეს რომ ასე იყო და არა სხვანაირად, იმითაც დასტურდება, რომ **სოლომონ მიხოელსი** 1948 წელს ძალიან საეჭვო ვითარებაში დაიღუპა, მანქანა დააჯახეს... როგორც ჩანს, მან ძალიან ბევრი იცოდა და მოიშორეს.

**— პალესტინის სახელმწიფო არსებობს თუ არ არსებობს?**

— 1984 წელს გაერომ აღიარა პალესტინელთა უფლებები, რის საფუძველზეც 1988 წლის მაისში პალესტინამ ალჟირში დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ ქვეყანა გაეროს მიერ აღიარებული არ არის. პალესტინის დამოუკიდებლობისთვის დიდი შრომა გასწია **იასირ არაფატმა,** რომელმაც **„პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია“,** ანუ იგივე **„ფათჰი“** შექმნა... საბჭოთა კავშირს არაბულ სამყაროზე ტრადიციულად დიდი გავლენა ჰქონდა და როგორც უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული ცნობებიდან ირკვევა, **იასირ არაფატიც,** ფინეთის პრეზიდენტი **ურჰო კეკონენიც, ინდირა განდიც** და მისი ვაჟი **რაჯივ განდიც** საბჭოთა „კაგებეს“ აგენტები იყვნენ!

**— რა მოხდა 1993 წელს ოსლოში და რაზე შეთანხმდნენ მაშინ ნორვეგიაში იცხაკ რაბინი და იასირ არაფატი, რასაც რაბინის მკვლელობა მოჰყვა?**

— 1993 წელს ოსლოში ისრაელის პრემიერ-მინისტრმა **იცხაკ რაბინმა** და პალესტინის ლიდერმა **იასირ არაფატმა** ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც **„პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია“** უარს ამბობდა ძალისმიერ პოლიტიკასა და ტერორზე, ხოლო, თავის მხრივ, ისრაელი აღიარებდა პალესტინის სახელმწიფოს შექმნას და დამოუკიდებელი პალესტინის არსებობას. ეს იყო უპრეცედენტო ფაქტი, რაც **იცხაკ რაბინს** ორთოდოქსმა ებრაელებმა არ აპატიეს და მოკლეს.

დღევანდელი მდგომარეობით ისრაელი პალესტინის დამოუკიდებელ სახელმწიფოს არ ცნობს და არც ღაზის სექტორს განიხილავს პალესტინის მიწად. იმავე 1993 წლის 13 სექტემბერს ვაშინგტონში ისრაელმა და **„პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ“** ხელი მოაწერეს **„პრინციპების ერთობლივ დეკლარაციას“,** რომლის ძალითაც ღაზას სექტორსა და იერიხოს ანკლავში დაუყოვნებლივ უნდა შექმნილიყო **პალესტინის ავტონომია, პალესტინის მთავრობა და საკანონმდებლო საბჭო.** საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ ხელშეკრულებისთვის **იცხაკ რაბინი** მშვიდობის დარგში ნობელის პრემიით დააჯილდოვეს. როგორც მოგახსენეთ, ისრაელმა იცხაკ რაბინის მიერ ხელმოწერილი ოსლოსა და ვაშინგტონის ხელშეკრულებები უარყო, ხოლო **იცხაკ რაბინი** მოიშორა. იცხაკ რაბინის მკვლელი ებრაელი სტუდენტი **იგალ ამირი,** რომელიც სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, გაჰყვიროდა — **მე იმიტომ მოვკალი იცხაკ რაბინი, რომ ისრაელი ოსლოს ხელშეკრულებისგან დამეცვაო!**

**— არ გაეჭვებთ ის ფაქტი, რომ ისრაელში, რომელიც თავისი უძლიერესი სპეცსამსახურებით მსოფლიოს აკონტროლებს, ტერორისტები დელტაპლანებით და ტრაქტორებით შეიჭრნენ და საზღვარი 80 ადგილზე გაარღვიეს?**

— პალესტინა, რომელიც გაეროს მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებული არ არის, სამ ნაწილად იყოფა. ერთ ნაწილს, კერძოდ, 17 პროცენტს აკონტროლებს პალესტინის ადმინისტრაცია; მეორე ნაწილს, 23 პროცენტს — პალესტინელები და ებრაელები ერთად, ხოლო დანარჩენი ტერიტორია ისრაელის მიერ ერთპიროვნულად კონტროლდება. ისრაელს ჰყავს უძლიერესი არმია — **„ცახალი“;** სპეცსამსახური — **„მოსადი“,** რომელიც საგარეო დაზვერვას კურირებს... ასევე არსებობს შიდაუშიშროების სამსახური — **„შაბაკი“,** რომელიც რუსული „ეფესბესა“ და ამერიკული „ფებეერის“ ანალოგია და კიდევ არსებობს **„ამანი“,** რომელიც სამხედრო დაზვერვაა და ისრაელის არმიის განუყოფელი ნაწილია. გარდა ამისა, **ისრაელის სახელმწიფო პოლიციას აქვს საიდუმლო განყოფილება, რომელიც უშუალოდ პალესტინელებზე მუშაობს და იქ მცხოვრები არაბების მთელ კარტოთეკას ფლობს.** აღარაფერს ვამბობთ საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურ საინფორმაციო-ანალიტიკურ სამსახურზე, რომელიც სწორედ ინფორმაციის მოპოვება-გადამუშავებითაა დაკავებული. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძალიან საეჭვოა, ისრაელის სპეცსამსახურებს რამე გამოპარვოდათ და ტრაქტორებითა და დელტაპლანებით „ჰამასის“ მებრძოლებს ისრაელის ტერიტორიაზე შეეღწიათ. **ვფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი დიდ პოლიტიკურ მოთამაშეებს შორის დაპირისპირებაშია განსახილველი. მიმაჩნია, რომ დიდ პოლიტიკურ მოთამაშეებს შორის ვიღაცას ბენიამინ ნეთანიაჰუ თავისი პოლიტიკური ორიენტაციისა და პოზიციების გამო არ აწყობს** და როგორც ინტერვიუს დასაწყისში გითხარით, ამიტომაც უწყობდნენ რამდენიმე თვის განმავლობაში ე.წ. „მაიდანს“!

*ესაუბრა*
*დიტო ჩუბინიძე*

**„ჰოლოკოსტმა და სტალინის უდიდესმა მხარდაჭერამ განაპირობა ის ფაქტი, რომ 1947 წელს ახლადშექმნილმა გაერომ შეიმუშავა 181-ე ისტორიული რეზოლუცია, რომლის თანახმადაც პალესტინაში უნდა შექმნილიყო, როგორც ებრაული, ისე არაბული სახელმწიფო!“**

**პროფესორის სიტყვა**

# რა უთხრა სტალინმა



## სვიმონ მასხარაშვილი:

# სტალინი არ იყო ის კაცი, რომელიც ვინმეს თავში ჩიბუხს ჩააფერფლებდა და მერე ასეთ არარაობას პოლიტბიუროში გააჩერებდა!

***დიდი ადამიანების ჩვევები, ხასიათი, პირადი ცხოვრების დეტალები და უახლოესი გარემოცვის წევრებთან ურთიერთობა ყოველ დროსა და ეპოქაში იწვევდა საზოგადოების ცხოველ ინტერესს. ამ მხრივ გამონაკლისი არც პროლეტარიატის დიდი ბელადი, გენერალისიმუსი სტალინია. პროფესორ სვიმონ მასხარაშვილის განცხადებით, ცნობილი ქართველი მოღვაწეებისგან განსხვავებით, სტალინს არცერთი დიდი რუსი ხელოვანი და მწერალი არ დაუხვრეტია:***

— სტალინი მეტად რთული პიროვნება იყო, გამოირჩეოდა ცხოვრების ასკეტური წესით, გახლდათ საოცრად შეუვალი და, ერთი შეხედვით, პირქუში, მაგრამ, მეორე მხრივ, ძალზე თბილი, მრავლის მომთმენი და მოსიყვარულე კაცი, რომელსაც შეეძლო პატიებაც, ერთგულებაც და თანადგომაც. თუ როგორი იყო მეგობრების მიმართ სტალინი, ამის სადემონსტრაციოდ გამოდგება მისი ურთიერთობა მარშალ **კონსტანტინე როკოსოვსკისთან,** რომელიც ბელორუსიის პირველი ფრონტის სარდალი გახლდათ. მოგეხსენებათ, 1944 წლის 23 ივნისს დაიწყო და 1944 წლის 29 აგვისტოს საბჭოთა არმიის ტრიუმფალური გამარჯვებით დასრულდა კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი სახმელეთო ოპერაცია **„ბაგრატიონი“.** ამ გამარჯვებით ფაშისტებისგან გათავისუფლდა უზარმაზარი ტერიტორია — ბელორუსია, უკრაინა, ბალტიისპირეთისა და პოლონეთის დიდი ნაწილი.

ოპერაცია „ბაგრატიონი“ დაგეგმა ვარშავაში დაბადებულმა **როკოსოვსკიმ,** რომელსაც სკოლაც კი არ ჰქონდა ბოლომდე დამთავრებული. მან ბელორუსიის ჭაობებში, ფაქტობრივად, დანის პირზე გაატარა აურაცხელი სამხედრო ტექნიკა, ცოცხალი ძალა და იმ პირობებში, როცა მის გეგმას სტალინის გარდა არცერთი საბჭოთა გენერალი მხარს არ უჭერდა, გაიმარჯვა კიდეც. სტალინი მას ენდო, რადგან სჯეროდა მისი ნიჭის... **როცა ამ ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად ბანკეტი გაიმართა, სტალინმა ბოკალი აიღო და მთელი გენერალიტეტისა და პოლიტიკური ხელმძღვანელობის წინაშე როკოსოვსკის სახალხოდ ბოდიში მოუხადა — გვაპატიეთო!**

**— სტალინი ბოდიშს რატომ იხდიდა?**

— ბელადი როკოსოვსკის ბოდიშს უხდიდა იმიტომ, რომ **ნიკოლაი ეჟოვის** მმართველობის წლებში **კონსტანტინე როკოსოვსკი** სრულიად უსაფუძვლოდ დააპატიმრეს, რომელსაც ციხეში აწამებდნენ და აიძულებდნენ — **თქვი, რომ სტალინის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობდიო!** საცოდავ როკოსოვსკის, რომელიც ულამაზესი და ორმეტრიანი კაცი იყო, კბილები ჩაულეწეს და ყბა მოტეხეს... მისი ტანჯვა-წამება მაშინვე დამთავრდა, როგორც კი 1938 წლის 22 აგვისტოს სტალინმა ლავრენტი ბერია თბილისიდან მოსკოვში გადაიყვანა და საბჭოთა კავშირის „ენკავედეს“ შეფის, **ავადსახსენებელი ნიკოლაი ეჟოვის** პირველ მოადგილედ დანიშნა. სწორედ ბერიამ გაათავისუფლა როკოსოვსკი, რომელსაც ყველა ბრალდება მოუხსნეს. მოკლედ, **სტალინმა როკოსოვსკის მოუბოდიშა, მადლობა გადაუხადა და მის ბოკალს თავისი ბოკალი ქვემოდან მიუჭახუნა.** არმიაში არსებული ძველისძველი წესის თანახმად, ეს ჟესტი უდიდესი პატივისცემისა და მოკრძალების ნიშანი იყო. როკოსოვსკიმ სასმისი არ დალია, სტალინს მადლობა გადაუხადა და ამჯერად მან მიუჭახუნა ბელადის სასმისს ბოკალი ქვემოდან. სტალინი მოიხარა და ისევ ქვემოდან მოუჭახუნა როკოსოვსკის ბოკალს... ამის შემდეგ როკოსოვსკის კიდევ უფრო მეტად მოუწია წელში მოხრა და ისევ ქვემოდან მიუჭახუნა სტალინის სასმისს... **ბოლოს ისე მოხდა, რომ სტალინი და როკოსოვსკი ერთმანეთის პირისპირ იატაკზე დაჩოქილები იდგნენ, წინ თავიანთი ბოკლები ედგათ და სწორედ ასე შესვეს ერთმანეთის სადღეგრძელო!**

სტალინს თავისი სიტყვები უკან არ მიჰქონდა... აი, მაგალითად, 1935 წელს, როცა ბენიტო მუსოლინის მოღვაწეობას აფასებდა, ბელადმა თქვა — თანამედროვეთა შორის მუსოლინი არის ის ლიდერი, რომელიც ისტორიაში დარჩება! მიუხედავად იმისა, რომ იტალიელმა პარტიზანებმა მუსოლინი დახვრიტეს და მერე თავის საყვარელთან ერთად ხიდზე ჩამოკიდეს, 1949 წელს, როცა სტალინის




**ისტორიკოსის თვალით**

# ლიუბოვ ორლოვასა და ალექსეი ტოლსტოის?

თხზულებათა სრული კრებული გამოვიდა, ბელადს არც კი უცდია, **მუსოლინის** შესახებ გამოთქმული აზრის კომენტირება, შეცვლა ან მიჩქმალვა. ამავე პრინციპით მიუდგა ის მეორე მსოფლიო ომის წინ **ჩერჩილის** მისამართით გამოთქმულ კრიტიკულ მოსაზრებას, რომელიც 1949 წლის გამოცემაშიც უცვლელად გაიმეორა.

**— მაინც რა ხიბლავდა სტალინს მუსოლინში?**

— საერთოდ, ამ ბოლო დროს იტალიაში **მუსოლინის** პერსონის სერიოზული რევიზია ხდება. მუსულინი, სტალინის მსგავსად, ნიჭის თაყვანისმცემელი იყო... შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ მსოფლიო კინემატოგრაფიის ისეთი ლეგენდები, როგორებიც არიან **ფედერიკო ფელინი, ვიტორიო დე სიკა და მიქელანჯელო ანტონიონი,** სწორედ ბენიტო მუსოლინის აღმოჩენაა!

მუსოლინის შვილი იყო უნიჭიერესი კინორეჟისორი, რომელსაც ფაშიზმის დამარცხების შემდეგ ფილმების გადაღება აუკრძალეს, მაგრამ ფელინიც, დე სიკაც, კარლო პონტიც, ანტონიონიც, რომლებიც მისი სამეგობრო და უახლოესი გარემოცვა იყვნენ, დარჩნენ და შედევრები შექმნეს. ფედერიკო ფელინი მაშინ კინორეჟისორი საერთოდ არ ყოფილა, კომიქსების მხატვრად მუშაობდა, მაგრამ მუსოლინიმ მასში უდიდესი შემოქმედებითი გენია რომ დაინახა, მთელი ომის განმავლობაში ჯავშანი მიანიჭა და ომში არ წაიყვანა.

მუსოლინის „გაქაჩულია" **ანიელების ოჯახიც,** რომელიც საავტომობილო გიგანტის — „ფიატისა" და საფეხბურთო კლუბ ტურინის „იუვენტუსის" მფლობელია. საერთოდ, „ფიატი" მსოფლიო დონის ბრენდად სწორედ მუსოლინის დროს იქცა... აი, სწორედ ეს — ადამიანების შესაძლებლობებისა და შეცნობის უნარი ხიბლავდა სტალინს მუსოლინში, რომლის მიმართაც 1935 წელს საქებარი სიტყვები არ დაუშურებია. **ცნობილი ქართველი მოღვაწეებისგან განსხვავებით, სტალინს არცერთი დიდი რუსი ხელოვანი და მწერალი არ დაუხვრეტია, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. ამ სფეროს მოღვაწეთა წინაშე ბელადი ყოველთვის თავდახრილი და შემწყნარებელი იყო...**

**— ამის გამო ბევრი შემოგვედავება, რადგან საზოგადოებაში გამჯდარია განსხვავებული აზრი...**

— რუსეთისგან განსხვავებით, საქართველოში სულ სხვა სიტუაცია იყო. აქ მართლაც არსებობდა კონკრეტული ჯგუფი, რომელიც სტალინის ფიზიკურ განადგურებას გეგმავდა და გულშემატკივრობდა! სტალინს არც **ბორის პასტერნაკისთვის** უხლია ხელი და არც **მიხეილ შოლოხოვისთვის,** მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელის „წყნარი დონი" გამოკვეთილად ანტისაბჭოთა ნაწარმოებია, სადაც კაზაკობის, როგორც კონტრრევოლუციური და თეთრგვარდიული მოძრაობის სულის, გულისა და ბირთვის პირდაპირი აპოლოგიაა, ხოლო **შოლოხოვის მოთხრობაში „ბედი კაცისა"** იდიალიზებული და ხოტბაშესხმულია ტყვედ ჩავარდნილი საბჭოთა ჯარისკაცი, რომელიც ცხოვრებას თავიდან იწყებს... ეს იმ დროს, როცა გერმანელების ტყვეობაში ნამყოფი ხალხი, რომელიც ომის შემდეგ სამშობლოს დაუბრუნდა, ხელისუფლებამ ყაზახეთსა და ციმბირში გადაასახლა. ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, **შოლოხოვს** სტალინი მფარველობდა, თავის უსაყვარლეს მწერლად მიაჩნდა, არც პრემიებს აკლებდა და არც პოსტამენტებს, ხოლო **ბორის**




ლიუბოვ ორლოვა, ალექსეი ტოლსტოი

**პასტერნაკს** ნობელის პრემიაზე ხრუშჩოვმა ათქმევინა უარი და არა სტალინმა.

სტალინს არასოდეს დაუპატიმრებია არც **მარინა ცვეტაევა** და არც **ანა ახმატოვა,** რომელიც გენერლის ქალიშვილი გახლდათ და მისი ნამდვილი გვარი იყო **გორენკო.** ახმატოვა განეკუთვნებოდა უმაღლეს არისტოკრატიულ წრეს. სხვათაშორის, უმაღლესი არისტოკრატიული წოდება ბოლშევიკური გაგებით სალიკვიდაციო წოდებას მიეკუთვნებოდა, მაგრამ სტალინი ამ წოდების წარმომადგენლებს ყოველთვის განსაკუთრებით მფარველობდა. აი, მაგალითად, „პეტრე პირველის" ავტორი, ნამდვილი გრაფების შთამომავალი, მწერალი და ისტორიკოსი **ალექსეი ტოლსტოი** ბელადის უახლოესი მეგობარი იყო. დიდი მეგობრობა აკავშირებდა სტალინს ნამდვილ ორლოვთა ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელთან, ულამაზეს **ლიუბოვ ორლოვასთან.** მართალია, **ანა ახმატოვას** ერთ-ერთი ქმარი **გუმილიოვი,** რომელთანაც ანას შვილი ჰყავდა, რევოლუციის შემდეგ დახვრიტეს, მაგრამ ანა არ დაუჭერიათ და საკმაოდ მაღალი ჰონორარები ჰქონდა... მაგალითად, **ანა ახმატოვამ** ერთ-ერთი თავისი ჰონორარით ავტომანქანა „მოსკვიჩი" უყიდა მეზობლის ნიჭიერ ბიჭს, რომელმაც თეატრალურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდები წარმატებით ჩააბარა.

**— მაინც ვინ იყო ის ბიჭი?**

— ეს ბიჭი იყო ლეგენდარული მსახიობი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი **ალექსეი ბატალოვი,** რომელმაც გოშას როლი ითამაშა ფილმში „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა". ნაკლებად მგონია, რომ რომელიმე რუსმა ან ქართველმა მწერალმა მეზობლის ბიჭს თავისი ჰონორარით დღეს მანქანა უყი-

**«ეიზენშტაინის „ივანე მრისხანეს" მეორე სერია, რომელიც აშკარად ანტისაბჭოთა ფილმი გამოვიდა, მართალია, თაროზე შემოდეს, მაგრამ რეჟისორი ამისთვის არავის დაუსჯია!»**



სერგეი ეიზენშტაინი

დოს. რაც შეეხება **ლიუბოვ ორლოვას,** რომელსაც „საბჭოთა მარლენ დიტრიხს" ეძახდნენ, მისი ქმარი გახლდათ რეჟისორი **ალექსანდროვი,** მაგრამ მანამდე მას სხვა ქმარი ჰყავდა, რომელიც დაჭერილი იყო. ერთ-ერთ შეხვედრაზე **ლიუბოვ ორლოვამ** სტალინს შეჰბედა და პირდაპირ უთხრა — **იქნებ შეღავათი გაუწიოთ და ჩემი ყოფილი ქმარი გაათავისუფლოთო!** სტალინს ეს საშინლად არ ესიამოვნა და ლიუბოვ ორლოვას მკაცრად უთხრა — **მე შემიძლია, შენს ქმარს სამუდამოდ შეგახვედროო!** ამით ბელადმა ორლოვას მიანიშნა, რომ, თუ ჭკუით არ იქნებოდა, ყოფილი ქმრის გზას გაუყენებდა... ორლოვას ენა ჩაუვარდა... გავიდა ცოტა ხანი და ორლოვას ყოფილი ქმარი საღსალამათი და ყველა ბრალდებისგან თავისუფალი ციხიდან გამოუშვეს, ანუ სტალინმა **ლიუბოვ ორლოვას** თხოვნა შეიწყნარა, რადგან, როგორც ხელოვანს, უდიდეს პატივს სცემდა...

1941 წლის 15-16 ოქტომბერს, როცა მოსკოვში პანიკა იყო და ხალხი ქალაქიდან გარბოდა, სტალინმა მოსკოვში სწორედ **ლიუბოვ ორლოვას** კონცერტი დანიშნა და ამით რუსულ იმპერიულ ელიტას — თავადაზნაურობას კოჭი გაუგორა, რომ სამშობლოსთვის უმძიმეს წუთებში სცენაზე იდგა არა ვიღაც სულელი კოლმეურნე ან კომკავშირელი, არამედ რუსული ელიტის მშვენება, დიდებულ ორლოვთა პირდაპირი შთამომავალი, ულამაზესი **ლიუბოვ ორლოვა.**

სტალინს ძალიან უყვარდა კინო... არსებობს სულელური მონაჭორი იმის შესახებ, რომ თითქოს სტალინს გემოვნება არ ჰქონდა და მხოლოდ ვასილ ჩაპაევზე გადაღებულ ფილმებს უყურებდა. სტალინი გახლდათ ჩარლი ჩაპლინისა და ჰოლივუდის უდიდესი პოპულარიზატორი. მას დავალებული ჰქონდა გორჩაკოვისთვის და ჰოლივუდის კინოსიახლეებს დეტალურად ეცნობოდა. ამერიკული და ევროპული ფილმები, რომლებიც სტალინის დროს საბჭოთა კავშირში შემოვიდა, გამოირჩევა უდიდესი მხატვრული ღირებულებით და დიდად განსხვავდება იმ ნაგვისგან, რომელმაც ამ ბოლო დროს მთელი მსოფლიო წალეკა.

**— ალექსეი ტოლსტოი სტალინის ახლო მეგობარი კი იყო, მაგრამ, მგონი, ბელადს ტოლსტოის გარკვეული ქცევები არ მოსწონდა!**

— გრაფი ტოლსტოები წარმოშობით შვედები არიან, რომლებიც რუსეთის კარზე მოგვიანებით დაწინაურდნენ. გრაფი **ალექსეი ტოლსტოი** ანტიკვარიატის მოყვარული იყო და საბჭოთა კავშირში ანტიკვარიატის მაღაზია არ ჰქონდა დატოვებული, სადაც რაიმე ძველი ნივთი არ ჰქონდა ნაყიდი. უფრო მეტიც, ტოლსტოი ადგილობრივ ხელისუფალთ ავალებდა, მოეძებნათ ძველი, ძვირფასი ნივთები, რაშიც თავის აურაცხელ ჰონორარებსა და პრემიებს უშურველად ხარჯავდა. ეს ამბავი სტალინის ყურამდეც მივიდა, **ალექსეი ტოლსტოი** პირადად დაიბარა და უთხრა — **ეჰ, გრაფ, გრაფ, სირცხვილია!** ტოლსტოი ამის შემდეგ ანტიკვარული ნივთების ყიდვას ცოტა ფრთხილობდა, მაგრამ ჩვეულება მაინც არ მოიშალა და ანტიკვარიატით სახლის გამოტენა გააგრძელა. სხვათაშორის, ალექსეი ტოლსტოი სტალინის სიცოცხლეში გარდაიცვალა და ბოლო წუთამდე ანტიკვარების შეძენაზე ხელი არ აუღია... აღარაფერს ვამბობთ ცნობილ რეჟისორ **სერგეი ეიზენშტაინზე,** რომლის წარმოშობის შესახებაც სხვადასხვა ვერსია არსებობს, მაგრამ ფაქტია, რომ ის ნებისმიერ შემთხვევაში იყო გაქრისტიანებული, რადგან მამამისი მეფის დროს ბალტიისპირეთში ძალიან მაღალი თანამდებობის პირი გახლდათ. ეს იყო არისტოკრატული ოჯახი... ეიზენშტაინის „ივანე მრისხანეს" მეორე სერია, რომელიც აშკარად ანტისაბჭოთა ფილმი გამოვიდა, მართალია, თაროზე შემოდეს, მაგრამ რეჟისორი ამისთვის არავის დაუსჯია.

**— მართალია, რომ სტალინი ნიკიტა ხრუშჩოვს ამცირებდა, თავში ჩიბუხს აფერფლებდა და აბუჩად იგდებდა?**

— ეს ყველაფერი ტყუილი და ხალხის გამოგონილია მას შემდეგ, რაც ხრუშჩოვმა მე-20 ყრილობაზე სტალინი მიწასთან გაასწორა, ხოლო 1961 წელს მისი ცხედარი მავზოლეუმიდან გამოიტანა! თავიდანვე შევთანხმდეთ იმაზე, რომ სტალინი არ იყო ის კაცი, რომელიც ვინმეს თავში ჩიბუხს ჩააფერფლებდა და მერე ასეთ არარაობას პოლიტბიუროში გააჩერებდა. ბელადი ამას არც საკუთარ თავს და არც სახელმწიფოს არ აკადრებდა! ისე, უნდა ვაღიაროთ, რომ **ნიკიტა ხრუშჩოვი** ნამდვილად გახლდათ სტალინის საბედისწერო შეცდომა. ბელადმა ხრუშჩოვი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ არ მოიშორა, რომ ეს გარეწარი და სულელი, რომელმაც საბჭოთა კავშირი დაანგრია, სტალინს თავისმა ცოლმა **ნადეჟდა ალილუევამ** გააცნო. მოგეხსენებათ, ალილუევა და ხრუშჩოვი ერთად სწავლობდნენ. მოკლედ, სტალინი თავისი მეორე ცოლის ნადეჟდა ალილუევას ხსოვნისა და გულწრფელი სიყვარულის გამო იტანდა და ითმენდა ხრუშჩოვს, რაც, როგორც აღმოჩნდა, შეცდომა იყო.

სიმართლე უნდა ითქვას — უცხოელებმა სტალინის უახლოესი გარემოცვა დაყვეს ორ კატეგორიად — „ლომებად" და „კურდღლებად"... გაგიკვირდებათ და, „ლომების" კატეგორიაში **ლავრენტი ბერიასთან** ერთად გაიყვანეს **ნიკიტა ხრუშჩოვი,** რომელიც არ იყო მშიშარა და შეეძლო ექსტრემალურ სიტუაციაში რაღაც გაწყვეტილება, თუნდაც სულელური და იდიოტური, მაინც მიეღო! ხოლო **მალენკოვი, მიქოიანი** და სხვები წარმოადგენდნენ „კურდღლებს", რომლებსაც არავითარი გადაწყვეტილების მიღების უნარი არ ჰქონდათ და იყვნენ მხოლოდ შემსრულებლები.





ფედერიკო ფელინი, ვიტორიო დე სიკა, მიქელანჯელო ანტონიონი



ბენიტო მუსოლინი

**„მსოფლიო კინემატოგრაფიის ისეთი ლეგენდები, როგორებიც არიან ფედერიკო ფელინი, ვიტორიო დე სიკა და მიქელანჯელო ანტონიონი, ბენიტო მუსოლინის აღმოჩენაა!"**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## ბარბაროსებმა თბილისში ალექსანდრეს ბაღში ლადო კეცხოველის შესანიშნავი ძეგლი ჩამოაგდეს და მის კვარცხლბეკზე მეორე ლადოს – გუდიაშვილის ძეგლი აღმართეს. რა თქმა უნდა, დიდი ქართველი მხატვარი ძეგლის ღირსია, მაგრამ რა დააშავა კეცხოველმა, რომელსაც თავად სტალინი „რევოლუციის რაინდს“ უწოდებდა? გთხოვთ, გვიამბოთ ამ შესანიშნავ ადამიანზე.


იოსებ სტალინი და ლადო კეცხოველი

**სტალინი** მართლაც უწოდებდა **ლადო კეცხოველს „რევოლუციის რაინდს“**, თავის მეგობარს და ერთ-ერთ მთავარ პარტიულ მოძღვარს. და ამ სიტყვებში გადაჭარბებული არაფერია, **ლადო კეცხოველი** (1876-1903) მართლაც უშიშარი რაინდი, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მამაცი შვილი იყო. მან ხანმოკლე, მაგრამ სავსე სიცოცხლე განვლო, **26 წლისა** კი ციხეში მოკლეს. **კეცხოველი** ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის სოფელ ტყვიავში დაიბადა. სწავლობდა გორის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ კი ტფილისის სასულიერო სემინარიაში (იოსებ ჯუღაშვილზე სამი წლით ადრე). სემინარიიდან მარქსიზმის პროპაგანდისთვის გარიცხეს. **1894 წელს** ქართველ მარქსისტთა შორის ის უკვე აღიარებული ლიდერი იყო. **1897 წელს „მესამე დასში“** შევიდა და მაშინვე მის ბოლშევიკურ ფრთას ჩაუდგა სათავეში. სწორედ **კეცხოველმა** გადაიბირა ერთი წლის შემდეგ ამ ორგანიზაციაში შესული **იოსებ ჯუღაშვილი** ბოლშევიკთა მხარეს. **კეცხოველი** იყო **რსდმპ**-ს ბაქოს კომიტეტის, მრავალი იატაკქვეშა არალეგალური ტიპოგრაფიის, მათ შორის, განთქმული **„ნინას“** ორგანიზატორი, გაზეთ **„ბრძოლას“** (სტალინთან ერთად) და სხვა ბოლშევიკური გამოცემების ერთ-ერთი რედაქტორი. **1902 წელს** ის **ბაქოში** დააპატიმრეს და ეტაპით ჩამოიყვანეს **ტფილისის მეტეხის ციხეში,** სადაც გაურკვეველ გარემოებებში მოკლეს. იმსახურებდა თუ არა ასეთი ადამიანი ძეგლს, მკითხველმა განსაჯოს. რაც შეეხება ბარბაროსობას, რომელზეც თქვენ საუბრობთ, კეცხოველის ძეგლის ჩამოგდება მხოლოდ გაგრძელებაა იმ ვანდალიზმისა, რომელსაც **ნიკიტა ხრუშჩოვის** დროიდან უკვე შევეჩვიეთ და რომელიც დღესაც გრძელდება.

## მსმენია, რომ ეჟოვი ბერიას დაპატიმრებას აპირებდა, პირიქით კი გამოვიდა – ბერიამ დაასწრო. რა მოტივით, რომელი ბრალდებით დააპატიმრეს ეჟოვი?



ვერსია, ან, შესაძლოა, ლეგენდა შინაგან საქმეთა სახკომის **ეჟოვის** განზრახვის შესახებ, **საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მაშინდელი პირველი მდივანი ბერია დაეპატიმრებინა, მართლაც არსებობს.** ის დაახლოებით **1938 წლის ზაფხულით** თარიღდება, როდესაც გახურებული **„ეჟოვშჩინის“** დროს რკინის სახკომის განწესით ბევრი ადგილობრივი პარტიული ხელმძღვანელი იქნა რეპრესირებული. თუმცა, ამ ვერსიას არავითარი დოკუმენტური დადასტურება არ გააჩნია და ძირითადად იმ დროის ჩეკისტების, უპირველესად კი, შინაგან საქმეთა სახკომის ყოფილი მოადგილის სტეპანოვის მოგონებებს ეყრდნობა. მათი მონათხრობის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა მაშინდელი **სახალხო კომისრის გოგლიძის** სახელზე მოსკოვიდან **ეჟოვის** ხელმოწერილი შიფროგრამა მოვიდა ცკ-ის პირველი მდივნის დაკავების განკარგულებით (ასეთი პრაქტიკა მაშინ არსებობდა). მაგრამ **გოგლიძემ,** რომელიც **ბერიას** ახლო მეგობარი იყო, სიცოცხლის რისკის ფასად შეატყობინა ეს ამბავი პირველ მდივანს. მან კი მოსკოვში **„დაუჯდომელი“** გადაფრენა მოაწყო და **სტალინთან** პირად შეხვედრას მიაღწია. რაზე ისაუბრა ორმა ქართველმა ბელადის კაბინეტში, უცნობია. სავსებით შესაძლებელია, რომ ამ შეხვედრის შედეგად დაინიშნა სსრკ შინსახკომის საქმიანობის შემმოწმებელი სამთავრობო კომისია, რომლის შემადგენლობაში, **სტალინის** წინადადებით, **ბერიაც** შეიყვანეს. კომისიის მუშაობის მსვლელობისას **კაგანოვიჩმა,** რომელიც იმ დროს პარტიაში, ფაქტობრივად, მეორე კაცი იყო, წინადადება შეიტანა, მეტი მოსახერხებლობისათვის **ბერია** შინაგან საქმეთა სახკომის მოადგილედ დაენიშნათ, რაც გაკეთდა კიდეც. კომისიამ შინსახკომის საქმიანობაში აღმაშფოთებელი დარღვევები გამოავლინა — უკანონო დაპატიმრება, დაკავებულთა წამება, სრული განუკითხაობა აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანთა მიმართ. შედეგად **1938 წლის დეკემბრის** დასაწყისში **ეჟოვი** შინაგან საქმეთა სახკომის პოსტიდან გაათავისუფლეს (მეორე — წყლის ტრანსპორტის სახკომის პოსტი დროებით შეინარჩუნა), ცოტა ხანში კი დააპატიმრეს. მისი დაპატიმრების ორდერს ხელი ახალმა სახკომმა **ბერიამ** მოაწერა.

რაში დაადანაშაულეს **ეჟოვი?** ჯერ ერთი, სოციალისტური კანონიერების აღმაშფოთებელ დარღვევაში; მეორე — მორალურ და საყოფაცხოვრებო გახრწნაში, სისტემატურ ლოთობასა და მამათმავლობაშიც კი. ბოლო პუნქტი საბრალდებო დასკვნაში, როგორც ჩანს, ოდესღაც ყოვლისშემძლე სახკომის დასამცირებლად შეიტანეს. ბრალდებაში იმ წლების სავალდებულო შტამპსაც იხილავდით — უცხოეთის დაზვერვების სასარგებლოდ მუშაობა.

**ეჟოვი** დახვრიტეს. ამის შემდეგ დაიწყო ცენტრსა და ადგილებზე შინსახკომის **„ავგიას თავლის“** წმენდა, **ბერიამ** მთელი **ეჟოვისდროინდელი პერსონალი შეცვალა,** ათასობით ჩეკისტი რეპრესირებული იქნა. ამავე დროს გადაისინჯა უდანაშაულოდ მისჯილთა საქმეები და ათიათასობით უსამართლოდ რეპრესირებული ციხეებიდან და ბანაკებიდან გაათავისუფლეს.



## სადღაც წამიკითხავს, რომ სემინარიაში ყოფნისას სტალინი, პრაქტიკულად, არ სწავლობდა ლათინურ ენას, მაგრამ გამოცდისთვის ერთ ღამეში მოემზადა და საგანი ბრწყინვალედ ჩააბარა. მართალია თუ არა ეს? საერთოდ, როგორ სწავლობდა ის სემინარიაში?

შეკითხვაში მცირე უზუსტობაა. ლათინური ენა ტფილისის სასულიერო მართლმადიდებლური სემინარიის პროგრამაში არ შედიოდა. აქ მკვდარი ენებიდან მხოლოდ ძველ ბერძნულს სწავლობდნენ. დანარჩენი კი ყველაფერი მართალია. მთელი წლის განმავლობაში იოსებ ჯუღაშვილს ეს საგანი არ უსწავლია და მხოლოდ გამოცდის ღამეს ჩაუჯდა სახელმძღვანელოებს (არსებული ვერსიით, მომზადებაში მას მომავალი აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე დაეხმარა). შედეგად ჯუღაშვილმა შეფასება „ძალიან კარგი“ მიიღო, ხოლო მისმა მასწავლებელმა, ამ საგანში საუკეთესო მოსწავლემ, ერთი ქულით ნაკლები — „კარგი“.

იმაზე, თუ როგორ სწავლობდა მომავალი გენერალისიმუსი სემინარიიდან გარიცხვის დროს (სწავლის ქირის გადახდისუუნარობის გამო), მასზე გაცემული ატესტატი მეტყველებს. მასში ნათქვამია, რომ **„სემინარიის აღსაზრდელმა იოსებ ჯუღაშვილმა, გლეხი ბესარიონის ძემ, რომელიც 1894 წლის სექტემბრის თვეში შემოვიდა და 1899 წლის მაისის თვემდე სწავლობდა, სანიმუშო ყოფაქცევის მქონემ, შემდეგ წარმატებას მიაღწია:**

**საღვთო წერილისა და ბიბლიის ისტორიის განმარტება — ძალიან კარგი;**
**ეკლესიის ისტორია, ღვთისმეტყველება, ჰომილეტიკა — კარგი;**
**ლიტურგიკა, რუსული სიტყვიერება, რუსული ლიტერატურის ისტორია, მსოფლიო ისტორია, ალგებრა, გეომეტრია, ფიზიკა — ძალიან კარგი;**
**ლოგიკა — ფრიადი;**
**ფსიქოლოგია, საეკლესიო-ქართული საგნები — ძალიან კარგი;**
**ენები: ბერძნული — ძალიან კარგი, ლათინური — არ უსწავლებიათ;**
**საეკლესიო სიმღერა: სლავური — ფრიადი, ქართული — ძალიან კარგი“.**


СВИДѢТЕЛЬСТВО

Воспитанникъ Горійскаго духовнаго училища Джугашвили Іосифъ Тифлисской губерніи г. Гори ... сынъ родившійся въ шестой день мѣсяца декабря тысяча восемьсотъ семьдесятъ восьмого года, поступилъ въ сентябрѣ 1890 года въ первый классъ училища и при отличномъ поведеніи (5) оказалъ успѣхи:

По Священной исторіи Ветхаго Завѣта (5)
— — — Новаго Завѣта (5)
— Православному катихизису (5)
— Изъясненію Богослуженія съ церковнымъ уставомъ (5)
Языкамъ: русскому съ церковно-славянскимъ (5), греческому (4) очень хорошо, грузинскому (5) отлично
— Ариөметикѣ (4) очень хорошо
— Географіи (5)
— Чистописанію (5)
— Церковному пѣнію русскому (5) и грузинскому (5)

По окончаніи полнаго курса ученія въ духовномъ училищѣ въ іюнѣ 1894 г. причисленъ училищнымъ правленіемъ къ первому разряду училищныхъ воспитанниковъ съ преимуществами присвоенными окончившимъ полный курсъ ученія въ духовномъ училищѣ (§ 124 ВЫСОЧАЙШЕ утв. 22 Августа 1884 г. устав. дух. учил.)

По отправленію воинской повинности онъ пользуется льготами, предоставленными воспитанникамъ учебныхъ заведеній 3 разряда (ВЫСОЧАЙШЕ утв. 20-го Мая 1876 г. списокъ учебныхъ заведеній)

Въ удостовѣреніе чего и дано ему, Джугашвили свидѣтельство отъ Правленія Горійскаго духовнаго училища за надлежащимъ подписаніемъ и приложеніемъ печати правленія. Городъ Гори. 1894 года іюня ... дня


იოსებ ჯუღაშვილი. 1894 წელი




Предсѣдатель училищнаго Правленія
Смотритель училища
Помощникъ Смотрителя
Члены Правленія, учитель
Члены Правленія, Священникъ
Члены Правленія, Священникъ

გენერალისიმუსი
2023 წლის 16 ოქტომბერი, №59 (227)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

*დასაწყისი იხ. „ა-დ". 2023 წლის №11-44*

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობის პერიპეტიებს იხსენებს და იმ საიდუმლო შეხვედრაზე აპელირებს, რომელიც 1992 წლის თებერვალში ჯეიმს ბეიკერსა და თენგიზ სიგუას შორის მოსკოვში შედგა:***



# იგორ კვესელავა:

# ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობა და საქართველოში სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა უფრო მეტად ამერიკის კისერზეა, ვიდრე რუსეთის!

— ე.წ. ელიტური ქართველი ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლის სიძულვილი ზვიად გამსახურდიას მიმართ ზოოლოგიურ ხასიათს ატარებდა. ასე, მაგალითად, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **დალი ბერეკაშვილი** 1993 წლის 31 დეკემბრის „საქართველოს რესპუბლიკაში" წერდა, რომ **„ზვიად გამსახურდია შავი მაგიის წარმომადგენელი იყო"!** ხოლო ზოგიერთი ე.წ. ქართველი ექსპერტი და „მოაზროვნე" იქამდეც კი მივიდა, რომ თქვა — **„ამირანი იყო თავნება ქართველი, ხოლო მჭედლები, რომლებიც მის ჯაჭვს გამუდმებით ჭედდნენ და ამრთელებდნენ — ბრძენი შევარდნაძე, რომელმაც მას არ მისცა თვითნებობის უფლება!"** იმავე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" ვინმე **კეტმარ აბაიშვილი** წერილში — „ზვიადიზმი თუ პროვინციული ფაშიზმი" — ზვიად გამსახურდიას ჰიტლერს ადარებდა, ხოლო გიგა ბოკერია, რომელიც ეროვნულ ხელისუფლებას ავტომატით ებრძოდა, 1994 წელს უსინდისოდ „ამტკიცებდა" — ზვიად გამსახურდიას კუბოში ფეხსაცმელი არ ეცვა, რადგან მუსლიმანად იყო მონათლულიო!

**— ეს ხალხი, ეს ე.წ. ელიტური ინტელიგენცია, მაინც რატომ დაემონა შევარდნაძეს და რატომ უგანა სამშობლოს?**

— ჩვენ ერთხელ უკვე ვთქვით, რომ 1991 წელს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებამ შეამოწმა კინოსტუდია და აღმოჩნდა, რომ 2 მილიონ 170 ათასი მანეთი გაფლანგული იყო! ეს მაშინ უზარმაზარი ფული გახლდათ... პირდაპირ გამოიკვეთნენ ამ თანხის მიმთვისებელ-მიმტაცებელი დამნაშავეები — **რეზო ჩხეიძე, გიგა ლორთქიფანიძე, ელდარ და გიორგი შენგელაიები, ლანა ღოღობერიძე, მიხეილ თუმანიშვილი** და სხვ. ეს ხალხი აღმოჩნდა მხილებული ქურდობასა და კორუფციაში, რაც მათ სახელსა და დიდებას კარგს არაფერს უქადდა. შევარდნაძეს ესენი მიშვებული ჰყავდა ე.წ საძოვარზე, სამაგიეროდ, დაჭერილი ჰყავდა ყურებით და რაც უნდოდა, იმას აკეთებინებდა. მაგრამ **ზვიად გამსახურდიამ** ეს ე.წ. ელიტარები თავის ნებაზე არ მიუშვა და კონფლიქტი სწორედ აქედან დაიწყო. ფულის გამო მოხდა ყველაფერი...

სიმბოლურია ამ ყველაფერზე **ლანა ღოღობერიძის** ე.წ. გვიანი „აღსარება" —

> *„ჩვენი მხრიდან ყველაფერი სწორი იყო. პრეზიდენტს ჰქონდა არასწორი დამოკიდებულება ხელოვნებისა და პიროვნებების მიმართ და მოხდა განხეთქილება, რომელიც დემოკრატიულად უნდა დასრულებულიყო... ყველაფერი არჩევნებით უნდა მომხდარიყო!"*

პირდაპირ ვაცხადებ: **ესენი იყვნენ მექრთამეები, ხოლო ზვიად გამსახურდიასთვის მთავარი იყო სამშობლო და არა ფული!**

ვინც ზემოთ ჩამოვთვალე, შევარდნაძემ სწორედ ამ ხალხისგან შექმნა ნამდვილი დისიდენტების საპირწონე, ე.წ. **„სახელისუფლებო დისიდენტური მოძრაობა"**, რომელსაც ასევე წარმოადგენდნენ **ძიტა ბუაჩიძე, რეზო თაბუკაშვილი, რევაზ ჯაფარიძე, გურამ მამულია, თენგიზ აბულაძე** და სხვები. ესენი ჩამოყალიბდნენ ე.წ. „კონსტრუქციულ ოპოზიციად", რომელიც ყველა ხელისუფლებას უნდა გამოსდგომოდა. ერთადერთი, ვინც ესენი არ გაიკარა, სწორედ ზვიადი იყო, რადგან

**გამსახურდიამ იცოდა, რომ ეს ხალხი მხოლოდ ფულსა და ქონებაზე იყო დაგეშილი, თორემ ამ ჯგუფის წარმომადგენლები მიშასთანაც მშვენივრად გრძნობდნენ თავს, ბიძინასთანაც, ახლაც კარგად არიან და ხვალ მიშა რომ მობრუნდეს, იმასაც დაუწვებიან, ოღონდაც სარგებელი ნახონ.**

კარგად მახსოვს, ზვიადი სვანური ქუდით სულ მარტოდმარტო რომ დადიოდა და არცერთი ეს პიროვნება ახლოს არ ეკარებოდა და გამარჯობას არ ეუბნებოდა. ზვიად გამსახურდია მარტოკაცი იყო!

**— ამაზე ზოგიერთ მათგანს პასუხი გამზადებული აქვს — ზვიადს იმიტომ არ ვესალმებოდით, რომ მოინანიაო!**

— ესენი არც **მერაბ კოსტავას** ეკარებოდნენ და ესალმებოდნენ, მაგრამ მერაბმაც მოინანია?! ხელისუფლების დავალებით მოქმედებდნენ და იმიტომაც არ ესალმებოდნენ არც ზვიადს და არც მერაბს!

**მათი უმრავლესობა „დავერბოვკებული" და გამოჭერილი იყო უშიშროების მიერ, რაც არავისთვის დასამალი არ არის...** 1924 წლის აჯანყების წინ, ვიდრე 28 აგვისტოს ჭიათურაში გამოსვლა დაიწყებოდა, **ფილიპე მახარაძემ** გურიაში თავისი აგენტები გაგზავნა და საიდუმლოდ ყველა გააფრთხილა — აჯანყება გაყიდულია, „ჩეკამ" ყველაფერი იცის და არ გამოხვიდეთ, თორემ ვერ გიშველითო! მოსალოდნელი აჯანყების შესახებ ასევე იცოდნენ **საშა გეგეჭკორმაც და ლევან ღოღობერიძემაც,** მაგრამ არც სამეგრელოში და არც იმერეთში ხალხი არ გაუფრთხილებიათ. ამას მოჰყვა პატრიოტების მასობრივი ჟუჟვა და შორაპნის ტრაგედია...

პაპაჩემი — **მიხაკო კეკელია,** რომელიც ფედერალისტი გახლდათ და ემიგრაციაში აპირებდა წასვლას, ბოლშევიკებმა დაიჭირეს და ცოცხლად დამარხეს! დედამისმა ორჯერ მოიპარა გვამი და შვილი ბანძის სასაფლაოზე დაკრძალა, მაგრამ ბოლშევიკებმა ორივეჯერ უკან მიატანინეს ცხედარი ურმით და მკაცრად გააფრთხილეს — თუ მესამეჯერაც იმავეს გააკეთებ, დაგხვრეტთო! საბოლოოდ მე და ჩემმა ბიძაშვილმა მოვახერხეთ და პაპაჩემი სოფელ ბანძის საგვარეულო სასაფლაოზე ბებია-

*გაგრძელება მე-20 გვერდზე*



ზვიად გამსახურდია და ლეონ ტერ-პეტროსიანი



ლევან ღოღობერიძე



ლანა ღოღობერიძე



სოფიკო ჭიაურელი

**„ლანა ღოღობერიძე და სოფიკო ჭიაურელი, რომლებიც მთელ სომხურ ინტელიგენციას ძალიან ახლოს და კარგად იცნობდნენ, პირადი კავშირებით ცდილობდნენ პრეზიდენტ ტერ-პეტროსიანზე ზეწოლას, რათა სომხებს დაეპატიმრებინათ დევნილი ზვიად გამსახურდია და ხუნტისთვის გადმოეცათ!"**

**„აი, სწორედ ასეთი სიმხეცეების ჩამდენი არაკაცის - ლევან ღოღობერიძის ქალიშვილი გახლავთ ლანა ღოღობერიძე, რომელიც ხალხს დღესაც „უმტკიცებს" - მამაჩემიც რეპრესირებული იყოო!"**



# იგორ კვესელავა: ქეთი დოლიძის «თეთრი მანდილი» ისევე, როგორც «მხედრიონი», სინამდვილეში შევარდნაძემ შექმნა!




დასაწყისი მე-19 გვერდზე

ჩემის გვერდით დავასაფლავეთ! აი, სწორედ ასეთი სიმხეცეების ჩამდენი არაკაცის — ლევან ღოღობერიძის ქალიშვილი გახლავთ ლანა ღოღობერიძე, რომელიც ხალხს დღესაც „უმტკიცებს“ — მამაჩემიც რეპრესირებული იყოო! ვიმეორებ: ეს ადამიანები შევარდნაძის დროს ჩართული იყვნენ სახელისუფლებო კორუფციულ სისტემაში და სწორედ ფულსა და პრივილეგიებს გადააყოლეს ქვეყანა... მოგეხსენებათ, კომუნისტების დროს არსებობდა ასეთი შეტყობინება — **„მოდიხარ თუ მოვიდე?“**

**— ეს რას ნიშნავდა?**

— ეს ნიშნავდა იმას, რომ, თუ ფულს არ მიუტანდნენ, მაშინდელ ტელევიზიას ან გაზეთს შეეძლო, რომელიმე საწარმოზე ან დაწესებულებაზე მოემზადებინა მამხილებელი რეპორტაჟი და მასალა, რაც დაღუპვის ტოლფასი იყო. ეს რომ არ მომხდარიყო, ფაბრიკა-ქარხნებისა და საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელები დიდძალ თანხებს იხდიდნენ. ცხადია, ეს ყველაფერი შევარდნაძემ იცოდა... **საერთოდ, საკითხს რაც უფრო ვულრმავდები, ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობაში, რომლის ავანგარდშიც სწორედ ეს ხალხი იდგა, ამერიკის შეერთებულ შტატებს უფრო ვადანაშაულებ, ვიდრე ელცინის რუსეთს!**

**— ამას რის საფუძველზე აცხადებთ?**

— **თენგიზ სიგუა** ჩემ მეზობლად ცხოვრობდა და ზუსტად ვიცი, რომ შევარდნაძის საქართველოში ჩამოყვანა ცოცხალი თავით არ უნდოდა! შევარდნაძის ჩამოსაყვანად იბრძოდნენ ე.წ. ინტელიგენციის წარმომადგენლები და **ჯაბა იოსელიანი,** რომელიც სწორედ შევარდნაძის ცნობილი ხელისბიჭისა და „მოლარის“ **გურამ მგელაძის** ინსტრუქციებით მოქმედებდა. ზვიადის დამხობის შემდეგ შევარდნაძის თბილისში ჩამოსვლის პროცესი რომ გაიწელა და გაჯანჯლდა, ეს სწორედ სიგუას პოზიციის გამო მოხდა. ერთადერთი, რაზეც **თენგიზ სიგუა** თანხმდებოდა, შევარდნაძის საგარეო უწყების ხელმძღვანელად დანიშვნა გახლდათ. სწორედ ამის გამო იყო, რომ 1992 წლის თებერვალში მოსკოვში საიდუმლო ვითარებაში ჩამოვიდა ამერიკის სახელმწიფო მდივანი **ჯეიმს ბეიკერი.** გაჯიუტებული **სიგუა** სასწრაფოდ ჩაიყვანეს მოსკოვში, შეახვედრეს ბეიკერს და უთხრეს, რომ საქართველოში სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალება სიგუას კი არა, შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსაყვანად მოხდა!

**თენგიზ სიგუას** ბეიკერმა მიანიშნა, რომ, თუ ის წინააღმდეგობას გაწევდა და საქართველოში შევარდნაძის პირველკაცობაზე უარს იტყოდა, მაშინ ამერიკის შეერთებული შტატები არ ცნობდა სისხლიან ხუნტას, ყოველგვარ კავშირს გაწყვეტდა მასთან და ვითარება კიდევ უფრო კატასტროფულად დამძიმდებოდა. შეშინებულმა სიგუამ ყველაფერზე თანხმობა განაცხადა... ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ **ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობა და საქართველოში სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა უფრო მეტად შეერთებული შტატების კისერზეა, ვიდრე რუსეთის!**

**— 1992 წლის 2 თებერვლის მიტინგის დახვრეტა ამ ყველაფერთან კავშირშია?**

— უშუალოდ კავშირშია! 1992 წლის 1 თებერვალს მოსკოვში მყოფი შევარდნაძის მითითებით, თბილისში, სპორტის სასახლეში, **ლანა ღოღობერიძისა და ოთარ მეღვინეთუხუცესის** მეთაურობით შეიკრიბა შევარდნაძის ინტელიგენცია, რომელმაც მიიღო „დადგენილება“ — ზვიადისტები **„კალაპოტში უნდა მოექცნენ“ და „დედაქალაქში წესრიგი უნდა დამყარდეს“!** ეს იყო მწვანე შუქი ხუნტისათვის, რათა მოეწყოთ 1992 წლის 2 თებერვლის სასაკლაო, როცა უამრავი ახალგაზრდა დემონსტრაციაზე დახოცეს და დაჭრეს. მათ შორის იყო 18 წლის მედროშე **მამუკა ტერიშვილი,** რომელსაც პირველი ტყვია მოხვდა და ადგილზე მოკლა. **2 თებერვალს დახვრეტილთა შორის იყვნენ: ზურაბ ჯავახიშვილი, ზურაბ დიდებაშვილი, ივიდა ჭანტურიძე, ალექსანდრე დავარაშვილი, გურამ ლიპარტელიანი, ტრისტან ცერაძე, იური ტალახაძე, ლადო და სულხან სარიები, ტარიელ ხერკელაძე, მიხეილ ფოლოდაშვილი...** აღარაფერს ვამბობ უამრავ დაჭრილსა და დაშავებულზე.



ედუარდ შევარდნაძე სიტყვით გამოდის ორგანიზაცია „თეთრი მანდილის“ ღონისძიებაზე

როგორც კი ზვიად გამსახურდია დაამხეს, ხუნტის ხელისუფლებამ მაშინვე აკრძალა მრავალსერიიანი ფილმის გადაღება დავით აღმაშენებელზე, რომელიც **ალექსანდრე ჟღენტს მაია არჩვაძის სცენარით** უნდა დაედგა. უფრო მეტიც, 2008 წელს კინოცენტრის ხელმძღვანელებმა „ზვიად გამსახურდიას პიროვნებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამო“, **ზურაბ მაღლაკელიძისა და გაგა ჩხეიძის** ინიციატივით, დაბლოკეს იმავე **ალექსანდრე ჟღენტის** ფილმი **„გაუმარჯოს პრეზიდენტს!“,** სადაც უნიკალური ისტორიული კადრებია გამოყენებული. სამაგიეროდ, კინოცენტრმა დააფინანსა და გადაიღო არაერთი ლესბოსური და ჰომოსექსუალური ფილმი.

**— მაინც როდის შედგა სიგუასა და ბეიკერს შორის შეხვედრა მოსკოვში?**

— ვფიქრობ, ეს შეხვედრა უნდა გამართულიყო 1992 წლის 1 თებერვალს, რადგან 1992 წლის 2 თებერვალს ხუნტამ თბილისში ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერთა უზარმაზარი დემონსტრაცია დაარბია და ათეულობით მშვიდობიანი მომიტინგე დახვრიტა. ამერიკისგან სანქ-

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი ლორთქიფანიძე**



აუცილებლად **უნდა ალდგეს სამშობლოს ღალატის მუხლი,** რაც თავის დროზე **სააკაშვილმა** გააუქმა.

„საერთო გაზეთი“

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



ვის რაში დაჭკარგვია ეს სტატუსი! **კიკუ ვაშაძის** თამადობით, **ნაცმოძრაობამ, რესპუბლიკელებმა, „გირჩმა“, „ლელომ“, „მოქალაქე“ ელისაშვილმა კარგად გაახვიონ ეს კანდიდატის სტატუსი და იციან, სად გაიკეთონ.** დღეს გონიერ საქართველოსთან ყველას სჭირდება თანამშრომლობა, თანაც, ძალიან! ამიტომ **სტატუსსაც მოგვცემენ, კიდეც გაგვილიმებენ და კინტოურსაც დაუვლიან.**

„საერთო გაზეთი“

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



დღეს ქართულ სახელმწიფოში **რევოლუციური სცენარით** არც ხელისუფლება შეიცვლება და ვერცერთი სხვა ძალა ვერ მოვა ქვეყნის სათავეში.

„რეზონანსი“

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*



პრეზიდენტის იმპიჩმენტი **პუტინის** დასანახავად წამოწყებული თამაშია. **ივანიშვილს ყოველთვის ძალიან ეშინოდა პუტინის.** თავად ვიყავი მის გუნდში და კარგად მახსოვს, როგორი წარმოდგენები ჰქონდა მასზე: **ავი, ბოროტი და საშიში** — ასეთი იყო **პუტინი** მის წარმოსახვაში.

„კვირის პალიტრა“

**გიორგი მშვენიერაძე**
*საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი*



ხელისუფლება **პრორუსული კი არ არის,** არამედ იმდენად სუსტია, რუსეთთან მცირე დაპირისპირებაც კი აშინებს.

„კვირის პალიტრა“

ცია რომ არ ჰქონოდა, ხუნტა 2 თებერვალს ხალხის დახვრეტას ვერ გაბედავდა!

1991 წლის ივლის-აგვისტოში შევარდნაძემ მოსკოვში ჩამოაყალიბა **„მოძრაობა დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოსთვის“.** საქართველოში ამ პარტიის პირველი აქტივისტები იყვნენ **ვალერი კვარაცხელია, ავთანდილ მარგიანი, ელდარ შენგელაია, თამაზ დუმბაძე, ჯაბა იოსელიანი, ავთანდილ იმნაძე, დავით ბერძენიშვილი და ლანა ღოღობერიძე.** 1991 წლის 21 დეკემბერს ტელევიზიის წინ მიტინგზე გამოსული **გიორგი ბარამიძე** [...] იმოძღვრებოდა —

*„კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, გამოიჩინოთ უფრო მეტი პოლიტიკური აქტიურობა, განსაკუთრებით აი, ამ მძიმე ჟამს, როდესაც პოლიტიკური პარტიები რჩებიან პირისპირ გამსახურდიას დიქტატურასთან! ჩვენ გავიმარჯვებთ! გაუმარჯოს დემოკრატიულ საქართველოს!“*

**ეს ის გია ბარამიძეა, რომელიც გოკა გაბაშვილთან, გიგა ბოკერიასთან, თედო ისაკაძესთან, მამუკა კაციტაძესთან, ფიქრია ჩიხრაძესთან, დათო ტურაშვილთან და ანდრია ურუშაძესთან ერთად წარმოადგენდა „მხედრიონის“ მიერ შექმნილ „სტუდენტი ახალგაზრდობის მოძრაობას“, რომელიც სისხლიანი გადატრიალების ავანგარდში იდგა.**

მაგალითად, 1991 წლის 19 დეკემბერს გიგა ბოკერია, რომელსაც ხელში ავტომატი ეჭირა, „კინოს სახლის“ წინ გაიძახოდა — **გამსახურდიას დღეები დათვლილიაო!** იმავე „კინოს სახლთან“, გადატრიალების წინ **იზა ორჯონიკიძე, ირაკლი მელაშვილი, ელდარ და გიორგი შენგელაიები, ავთანდილ იმნაძე, ლევან შარაშენიძე, ლანა ღოღობერიძე, სოსო ცისკარიშვილი და გიორგი ხოშტარია** კრიმინალებს იარაღს ურიგებდნენ და გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებდნენ, ხოლო, როცა ზვიადი იჯევანში იყო, **ლანა ღოღობერიძე და სოფიკო ჭიაურელი,** რომლებიც მთელ სომხურ ინტელიგენციას ძალი-



ლანა ღოღობერიძე



ოთარ მელვინეთუხუცესი

**„1992 წლის 1 თებერვალს მოსკოვში მყოფი შევარდნაძის მითითებით, თბილისში, სპორტის სასახლეში, ლანა ღოღობერიძისა და ოთარ მელვინეთუხუცესის მეთაურობით შეიკრიბა შევარდნაძის ინტელიგენცია, რომელმაც მიიღო „დადგენილება“ – ზვიადისტები „კალაპოტში უნდა მოექცნენ“ და „დედაქალაქში წესრიგი უნდა დამყარდეს!“**



**„გიგა ბოკერია, რომელიცეროვნულ ხელისუფლებას ავტომატით ებრძოდა, 1994 წელს უსინდისოდ „ამტკიცებდა“ — ზვიად გამსახურდიას კუბოში ფეხსაცმელი არ ეცვა, რადგან მუსლიმანად იყო მონათლულიო!“**



**ზვიად გამსახურდიას დაკრძალვა გროზნოში – გიორგი გამსახურდია მოასვენებს მამის კუბოს**

ან ახლოს და კარგად იცნობდნენ, პირადი კავშირებით ცდილობდნენ პრეზიდენტ ტერ-პეტროსიანზე ზეწოლას, რათა სომხებს დაეპატიმრებინათ დევნილი ზვიად გამსახურდია და ხუნტისთვის გადმოეცათ! **სოფიკო ჭიაურელი და ლანა ღოღობერიძე** სომეხ ინტელიგენტებს პირდაპირ წერდნენ — **ჩვენ, ქართველები და სომხები, სამართლიანობისთვის ბრძოლაში ყოველთვის ერთად ვიყავით და ეს უნდა გავაკეთოთო!**

**— საინტერესოა, რას წარმოადგენდა ცნობილი კინორეჟისორის ქეთი დოლიძის „თეთრი მანდილი“, რომელიც, მოგეხსენებათ, აფხაზეთის ომის დროს მატარებლით გაემგზავრა კონფლიქტის ზონაში?**

— **ქეთი დოლიძის „თეთრი მანდილი“** ისევე, როგორც „მხედრიონი“, სინამდვილეში შევარდნაძემ შექმნა! როგორც ვიცი, შევარდნაძის მეუღლემ **ნანული ცაგარეიშვილმა** თავისთან იხმო **ქეთი დოლიძე** და სწორედ მისი მითითებით შეიქმნა ორგანიზაცია „თეთრი მანდილი“, რომელშიც გაწევრიანდნენ **მზექალა შანიძე, სოფიკო ჭიაურელი, გურანდა გაბუნია, ლანა ღოღობერიძე, იზა ორჯონიკიძე და მანანა გიგინეიშვილი.** უნდოდათ თუ არ უნდოდათ, ამ ორგანიზაციამ აფხაზეთის ჩამბარებელ შევარდნაძეს მაშინ პოზიციები გაუმაგრა. **გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „თეთრი მანდილი“ ზვიად გამსახურდიას მომხრე ქალბატონების საპირწონედ შეიქმნა!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები

**იაგო ხვიჩია**

*„გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი*



**თამარ ჩერგოლეიშვილსა და გიგა ბოკერიას** არაერთხელ უთქვამთ, რომ „ქართული ოცნების“ პირობებში **სტატუსი არ უნდა მივიღოთ,** ოპოზიციის სხვა წევრები ამაზე ხმამაღლა საუბარს ვერ ბედავენ.

**ნაცმოძრაობის დაშლას დიდი ხანია, ვგულშემატკივრობ.**

„პირველი არხი“

**მიხეილ დაუშვილი**

*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*



„ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას **ფარული მოლაპარაკება აქვთ პრეზიდენტის იმპიჩმენტის თაობაზე** და ერთობლივად ცდილობენ ჩვენი გუნდის ჩათრევას ამ პოლიტიკურ თაღლითობაში. ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ **ნაცმოძრაობა მმართველი გუნდის მაშველი რგოლია.**

„კვირის პალიტრა“

**ლევან ხაბეიშვილი**

*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



**სალომე ზურაბიშვილი და ირაკლი კობახიძე ბიძინა ივანიშვილის** ორი სათამაშოა ერთ ხელში.

„ახალი თაობა“

**ვახტანგ ძაბირაძე**

*პოლიტოლოგი*



**სალომე ზურაბიშვილი** აუცილებლად გახდება **აქტიური პოლიტიკური ლიდერი.** ხელისუფლება პოლიტიკურად ძალიან წამგებიან პოზიციაზეა.

„ახალი თაობა“

**ეკა ბესელია**

*პოლიტიკოსი*



**სალომე ზურაბიშვილი** ქუდს არ დაიხურავს და პარიზში არ გაფრინდება. რაც შეეხება მმართველ პარტიას, **მათი დასასრული ახლოვდება!**

„ახალი თაობა“

# მო გელა ნდებით!

## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



# როცა მისალებიც მიუღებელია!



ერთი **მისალები** ხომ ჰქონდა „ვივამედში“, სადაც ბავშვებიც დააცხო, ახლა კი მეორე **მისალებსაც** ხსნის თბილისში. როგორც ჩანს, სქემა იქნება ამნაირი: ზემო თაროზე დაჯდება **სააკაშვილის** საშინაო და საგარეო წარმომადგენელი **სოფილორენ მეორე.** იგი ჩაიბარებს გარიყულ ნაცთა აღსარებებს, დარდებს, ვაებებსა და გოდებებს. შემდეგ იგივე **სოფილორენი,** ოღონდ **სოფოკლეს** რანგში, თეზისებად ჩამოწერილ ამ დარდებს, ვაებებსა და გოდებებს „ვივამედში“ წამოკოტრიალებულ ოდესღაც მომაკვდავ პაციენტს შეუტანს. დასხდებიან, იმსჯელებენ, ჰაზრებსაც გაცვლიან, გადაკოტრიალდებიან, გადმოკოტრიალდებიან, გამარჯვების ფორმულას შეადგენენ, ბეჭდის ნაცვლად თითის ანაბეჭდს დაარტყამენ და ქვეყანაც აშენდება!

☺

ჰო, ჰო, „ქინძი ვიყოს“ მეორე **მისალებზე** მოგახსენებთ, თქვენ კი ამბობთ, **მიუღებელიაო.**

# პოეტურ-იურიდიული ბოზკინტელობა



რუსეთიდან დაფინანსებულ **ჰელენ ხოშტარიას** და **ბირჩ ბასიევს,** მგოსან **კოტე ყუბანეიშვილის,** „იურისტ“ **ნაზი ჯანეზაშვილისა** და მათნაირების მხარდაჭერით, საიტი გაუკეთებიათ... თურმე, პუტინის მონები უნდა ამხილონ. ავი ენები ამბობენ, ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგია გამოიყენესო... ჰოდა, ამ ხელოვნურ ინტელექტს არც აცია, არც აცხელა, პირველ ნომრად ჰელენის მამა **ბოგი ხოშტარია** ამოაგდო-ვო. თურმე, ჰელენმა მხრები აიჩეჩა და საიტი ეგრევე გათიშა.

ხელოვნურ ინტელექტს ჩაულაპარაკნია — **მაცალეთ, ბარემ კობა ნაყოფია, ბიული ალასანია, თემურ ალასანია, მიხა სააკაშვილი, შენი ოჯახის წევრები და სხვებიც ამოვყარო-ვო.**

**ჰელენმა** — არა, რას ამბობ, დიდი მადლობა, ესეც საკმარისია, შენ რაღაც ჩიპი გქონდეს დაზიანებული, მამაჩემისა რა ბრალიაო?

**ხელოვნურმა ინტელექტმა** — ჩიპი მე კი არა, შენ და მამაშენს გაქვთ დაზიანებულიო... აღარაფერს ვამბობ გასიევსა და მავნებზე, ეხლა ყველა არ დამასახელებინო-ვო!

**ჰელენმა** — მე რომ მამაჩემის ცხოვრებას ვუყურებ, რუსეთთან ბრძოლაში არ დავიღლებიო!

**ხელოვნურმა ინტელექტმა** — ჰა, ჰა, ჰა-ო!

☺

მოკლედ, **ბოგიევიჩმა** და **ბასიევმა** გადაწყვიტეს, ისევ მამაპაპური წესებით იმუშაონ და ისე ამხილონ პუტინის მონები... როგორც ამბობენ, თანამედროვე ტექნოლოგიები ბოლომდე სანდო მაინც არ არი. სწორედ ამიტომაც სჭირდებათ **კოტე ყუბანეიშვილისა** და **ნაზი ჯანეზაშვილის** დახმარება, მაგათ ყველაზე კარგად იციან, როგორ უნდა ამოიცნონ პუტინის მონები პოეტურ-იურიდიული ბოზკინტელობით.

# თავდაცურების მინისტრი!



არ ვიცი — გუშინ... არ ვიცი — გუშინწინ, რომელიღაც ტელესტუდიაში თავდაცვის ყოფილი მინისტრი თინა ხიდაშელი მიუწვევიათ და ულაპარაკებიათ. ხოდა, მოხსნა მაგანაც პირი **ორბანის** მისამართით: **იმ ფონზე, როცა მაია სანდუ მოლდოვაში საოცარ განცხადებებს აკეთებს, შენთან სადღეგრძელოს სათქმელად და 3 დღე გაუჩერებელი ვახშმისთვის ჩამოდიოდეს ევროპის ერთადერთი ავტორიტარული სახელმწიფოს ლიდერი, მძიმე საყურებელიაო.**

☺

**ეს იყო ჩვენი ქვეყნის თავდაცვის მინისტრი?**

ფაქტია, იყო!

**მერე, რომ იყო, რათ იყო და რანაირად იყო?**

ახლა არ მითხრათ, ბიძინა ივანიშვილის ბრალიაო... **როგორ შეიძლება, ყველაფერი ბიძინა ივანიშვილის ბრალი იყოს? როგორც ვიცი და ეს თქვენც იცით, აშშ-ელებმა დანიშნეს.**

მე პირადად დამოუკიდებელი საქართველოს ყველა თავდაცვის მინისტრი მახსოვს და თამამად შემიძლია გითხრათ, რომ **ამნაირი სამარცხვინო არცერთი არ ყოფილა!**

☺

ესე იგი... **ამისი დავთრების მიხედვით, ევროკავშირისა და ნატოს წევრი უნგრეთი დღეს არის ავტორიტარული სახელმწიფო.**

კი მაგრამ, როგორ შეიძლება, დემოკრატიულ ევროკავშირში ტოტალიტარული სახელმწიფო არსებობდეს? თუ ასეა, ჩვენ რატომღა მივილტვით მაგათკენ?

თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავთრების მეორე პუნქტის მესამე ქვეთავის თანახმად, **ვიქტორ ორბანი** არის ტოტალიტარული უნგრეთის ლიდერი.

ამას რომ ეთქვა, **ორბანს** დიქტატორული მონაცემები აქვსო, კიდევ გასაგები იქნებოდა, მაგრამ არა — ეს პირდაპირ შეურაცხყოფს სახელმწიფოს. როგორც ჩანს, **დღემდე ვერ გადახარშა, 2012-ში ირაკლი ღარიბაშვილმა სრულიად სამართლიანად რომ აგინა... რაც მაგან ბიძინას ფულები გაზიდა ვითომ ოკეანის გაღმა ლობისტების მოსაძებნად, საგინებელი კი არა, დასაპატიმრებელი იყო!**

ეგ არი... ვინც 2012 წლის შემდეგ „ქართული ოცნების“ წყალობით თავი დაიბანა და დღეს ამ ხელისუფლების მისამართით იფურთხება, ყველას რაღაცა აქვს მიქარული!

**ასეა, როცა თავდაცურებულებს ქვეყნის დავდაცვას მიანდობენ!**

# კრუასანებზე მოკრუსუნე



**„ბიძინა რომ ჭორვილაში დახეული რეიტუზით ორღობეში დადიოდა და ხმელა პურს მიირთმევდა, მაშინ სალომე პარიზის ქუჩებში დადიოდა და კრუასანს ჭამდაო“** — ბრძანა პარლამენტარად წოდებულმა **გია ხუროშვილმა.**

☺

არა, ახლა ხომ ხვდებით, რას გადაგვარჩინა **ხმელა პურზე გაზრდილმა ბიძინამ** 2012-ში?

ეს ტიპი კი **მიხა სააკაშვილს** ხან რა თანამდებობაზე ჰყავდა გამწესებული, ხან — რაზე... თუ არ ვცდები, **ხან გამგებელი იყო, ხან — საპარლამენტო მდივანი.** ერთ ხანობას პროკურატურაშიც იბარებდნენ დაკითხვებზე, შემდეგ, მგონი, აშშ-ში „გაქცუნდა“.

☺

ისე კი, რატო არ გაიზრდებოდა სალომე **კრუასანებზე** — რა, მამამისი ტყუილად მუშაობდა რომელიღაცა საეჭვო დაწესებულებაში? **ავი ენები ამბობენ, ეგ დაწესებულება ჰიტლერელებთან თანამშრომლობდაო. ან კი ტყუილად გაიქცნენ სალომეს მამა-პაპანი საქართველოდან? დიახაც, იმიტომ გაიქცნენ, რომ სალომეს პარიზის ქუჩებში ესეირნა და თან კრუასანებზე გაზრდილიყო!**

☺

ამას წინებზე ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში **ერთმა ყვრანტმა ქალბატონმა** დაიკვეხა — მე ბიძინა ივანიშვილის წარსულის შესახებ ყველაფერი ვიციო.

**კი მაგრამ, ისეთი რა იცი, ჩვენ რომ არ ვიცითო?** — ჰკითხა წამყვანმა.

ბიძინას დედა ბაზარში იდგა და ყველს ჰყიდდაო.

გაიგონეთ? ბიძინას დედა ბაზარში იდგაო.

ახლა ამ ვინმე **ხუროშვილსაც** იმ ყვრანტი ქალივით მოსდის — **მე მარტო ბიძინას შესახებ კი არ ვიცი რაღაცები, არამედ სალომეს შესახებაცო.**

ისე კი, როდის აქეთ გახდა სამარცხვინო სოფლის ორღობეში რეიტუზით სირბილი, თუნდაც დახეულით? ან ხმელა პურის ჭამა?

მაგალითად, **მეც დაახლოებით ეგრე ვარ გაზრდილი... ძაან გაჭირვებული ბავშვობა არ მქონია, მაგრამ სოფლის ორღობეებში რეიტუზითაც მირბენია და „ტრუსიკითაც“, მე ის სოფლის ორღობე მირჩევნია პარიზის გაჩახჩახებულ ქუჩებს, ხმელა პური კიდე — კრუასანებს!**

**ბიძინას მშობლები ბაზარში იდგნენ, რათა შვილები გაეზარდათ და გზაზე დაეყენებინათ, საკუთარი ქვეყნიდან არსად გაქცეულან.** ბოლო-ბოლო, იმ ხმელა პურზე გაზრდილის ხათრით წამოჯდა პრეზიდენტად **კრუასანებზე გაზრდილი** სალომე და **რომ არა „რეიტუზიანი“ ბიძინა, ვინ მიასუნინებდა მაგას ორბელიანების სასახლეში?!**

**მამა გიორგი (პავლოვი):**

# წინ დიდი განსაცდელი გველოდება და ნურავინ იტყვის მერე – რად დაუშვა ასე ღმერთმაო?

***აპოკალიფსური მოვლენები მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოში, კალეიდოსკოპური სისწრაფით ვითარდება. „ასავალ-დასავალის“ მკითხველი რახანია, იცნობს საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში მოღვაწე ბერ გიორგი პავლოვს, რომელიც უფალმა მომავლის განჭვრეტის უნარით დააჯილდოვა და პერიოდულ ხილვებში კინოკადრებივით ხედავს მოსალოდნელ მოვლენებს:***

— ახალგაზრდობაშიც რამდენჯერმე მქონდა გამოცხადება, მაგრამ ყურადღებას ნაკლებად ვაქცევდი. როცა 1993 წელს სასულიერო სემინარიაში ვაბარებდი, **ასეთი ხილვა მქონდა:**

*ზამთარი დგას. დიდი თოვლია. ლტოლვილების კოლონა მიდის და წინ ტანკი მიუძღვის, ოღონდ ტანკს ლულა მოჭრილი აქვს. ეტყობა, ტანკი ლტოლვილოს ღრმა თოვლიან გზას უტკეპნის, რომ სიარული გაუადვილდეს. კოლონა ძალიან დიდია, თავი და ბოლო არ უჩანს. როცა გაოცებული შევცქერი ამ მსვლელობას, ანაზდად ხმა ისმის —* ***ესენი სომხები არიან!***

მას მერე 4 წელი გავიდა. უკვე 1997 წელია. ფონიჭალაში ვცხოვრობ და ჩემი აივნიდან კარგად ჩანს რუსთავი-თბილისის გზატკეცილი. **ხილვაში** ვხედავ:

*ისევ ზამთარია. ოდნავ დაბნელებული დღე დგას, გაუთავებლად თოვს. ეტყობა, ძლიერად ყინავს კიდეც. ვიდეოს კადრებივით ისეთივე სურათს ვხედავ — რუსთავიდან თბილისის მიმართულებით მოემართება უზარმაზარი კოლონა. ხალხი აჩქარებულად მოძრაობს, ფაქტობრივად, მორბიან. შუა კოლონაში პერიოდულად ავტობუსებს ვხედავ — ეტყობა, იქ ბავშვები და ქალები სხედან. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ კოლონაში ყველა ადამიანს ზურგჩანთა აქვს აკიდებული, რომლის მაღლაც ზოგიერთს სატელიტური ანტენა აქვს მიმაგრებული. მაქვს შეგრძნება, რომ სასტიკ ყინვაში ეს ხალხი დიდ საფრთხეს გაურბის. ჩემს პირველ ხილვაში ხალხი ჩრდილოეთისკენ მიდიოდა, შეიძლება ვივარაუდო, რომ რუსეთისკენ. ამჯერად კი თბილისისკენ მოემართებიან...*

**3 წლის განმავლობაში დიდუბის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიაში დიაკვნად ვმსახურობდი, 1997 წელს იქ მქონდა ასეთი ხილვა:** *დავინახე იერუსალიმი, რომლის გარშემო ომი მიმდინარეობს — ცეცხლი, კვამლი, სროლის ხმები. როდესაც ამას ვხედავდი, ჩამესმა უფლის ხმა:* ***„გადასახლებულ იქნება ისრაელი!“***

ბიბლიაში ებრაელების გადასახლების ამსახველი არაერთი აღწერა გვხვდება. მერე მე ამ საკითხით დავინტერესდი და ისრაელი ხალხის ამ უკანასკნელ გადასახლებაზე განმარტება ბიბლიაში, წმინდა წერილში ვიპოვე — ეს არის **იეზეკიელ წინასწარმეტყველის 39-ე თავი.** მასთან კავშირშია იოანე მოციქულის გამოცხადება (აპოკალიფსი), სადაც მოციქული ისრაელის 12 ტომიდან 144 ათას ცხონებულ ადამიანზე (12 ათასი თითოეული ტომიდან) მიანიშნებს. გასაგებია, რომ **იოანეს გამოცხადებაში** ის ებრაელებიც იგულისხმებიან, რომლებიც ბოლო ჟამს ქრისტიანები გახდებიან. ეს ახლა იმიტომ გამახსენდა, რომ, როცა დიდი განსაცდელი მოაწევს **(გოგში და მაგოგში მუსულმანური ქვეყნები იგულისხმებიან, რომელთაც მთელი ისტორიის განმავლობაში ებრაელებთან ომი აქვთ),** ეს განსაცდელი უფლისგან იქნება დაშვებული.

**2001 წელს ასეთი ხილვა მქონდა:**

*მზიანი დღე იდგა, ჩრდილოეთით ვიმზირებოდი. ვხედავდი მანათობელ მზეს და ცაზე ღრუბლებს. ანაზდად შევამჩნიე, რომ დასავლეთიდან უზარმაზარი, თეთრი ფერის საბრძოლო რაკეტა მოფრინავს, რომელიც ჩემი მზერის მიმართულებით, ჩრდილოეთის შორეულ მთებზე უნდა დაეცეს. აი, რაკეტა მთების მწვერვალებს უახლოვდება. როცა შეშინებული ვკითხულობ — ვისია იგი? — ჩემს კითხვაზე რაღაც ძალა მაჩვენებს რაკეტის უკანა ნაწილზე დიდი ასოებით გამოსახულ წარწერას — „Made in USA“! უკვე შემიძლია, ვივარაუდო, რა მოხდება საქართველოდან ჩრდილოეთ მიმართულებით...*

ისევ იქ დავბრუნდები, სადაც ხილვაში თბილისი-რუსთავის გზატკეცილზე ლტოლვილთა ნაკადი ვნახე და მახსენდება მაცხოვრის სიტყვები **მათეს სახარების 24-ე თავიდან: „...ილოცეთ, რომ არ მოგიხდეთ გაქცევა ზამთარში ან შაბათ დღეს, რადგან იქნება მაშინ დიდი გასაჭირი, რომლის მსგავსი არ ყოფილა წუთისოფლის დასაბამიდან დღემდე და არც არასოდეს იქნება. ის დღეები რომ არ შემოკლებულიყო, ვერა ხორციელი ვერ გადარჩებოდა. მაგრამ რჩეულთა გულისთვის შემოკლდება ის დღეები...“.**

მე ღმერთმა დამანახა მე-20 საუკუნის უკანასკნელი ანტიქრისტე. ეს იყო გაეროში ამერიკის ყოფილი ელჩი **რიჩარდ ჰოლბრუკი. მქონდა ხილვა:** *ცხოველების ჯოგი მიდის, ცხოველთა შორის არიან ბეჰემოთები, ჟირაფები, ხარები და მსუქანი ცხვრები. ეს, ალბათ, განასახიერებდა ამპარტავან და გარყვნილ ადამიანებს, რომლებიც მხოლოდ ამქვეყნიურ ნეტარებასა და გარყვნილებაზე ფიქრობენ... ამ ჯოგიდან გამოდის* ***რიჩარდ ჰოლბრუკი*** *— განრისხებული და ხელაწეული მოიწევდა ჩემკენ, მაგრამ, როგორც კი მომიახლოვდება, ჩემდა გასაკვირად, უსულოდ ეცემა. უფრო მეტად განვცვიფრდი, როცა გარდაცვლილი გაცოცხლდა და წამოდგა.* რეალურად, ჰოლბრუკი 2010 წელს გარდაიცვალა. უფალმა გვიხსნა მისი გამეფებისგან და დაღუპვისგან. ***მე ღმერთმა დამანახა, რომ ეს კაცი იყო ანტიქრისტე, თუმცა, არა უკანასკნელი!*** *თბილისში მისი სახელობის ქუჩაც არსებობს. ქარიშხალი მძვინვარებდა, როცა თბილისში ჩამოვიდა. სტიქია მისი გამგზავრებისთანავე დაწყნარდა. აღშფოთდა მაშინდელი ქართული პოლიტიკური ელიტა — როგორ გაბედა ამ მღვდელმა და იმ პატიოსან კაცს ანტიქრისტე უწოდაო. დიახ, დავასახელე და ყველამ იცოდეს —* ***უკანასკნელი, მთავარი ანტიქრისტეც საქართველოდან იქნება მხილებული!***

•

რთული დრო მოდის. მესამე მსოფლიო ომი უკვე დაწყებულია და თანდათან მთავარ ფაზაში შევა. **საბოლოოდ ყველაფერი რუსეთ-თურქეთის ომში გადაიზრდება, როგორც ეს წმინდა მამებმაც იწინასწარმეტყველეს. ამ ომის შედეგად თურქეთი მსოფლიოს რუკიდან გაქრება და მართლმადიდებელი სამყარო გაიმარჯვებს, ხოლო საქართველო თავის დაკარგულ, ძირძველ მიწებს, მათ შორის, ტაო-კლარჯეთსაც დაიბრუნებს!** საქართველოშიც და რუსეთშიც მონარქიული მმართველობა აღდგება.

არაერთხელ ხილვაში მაქვს ნანახი, რომ **მსოფლიოს ომი მოედება და საომარი მობილიზაცია საქართველოშიც გამოცხადდება. ბევრი სასულიერო პირიც კი საომრად წავა. რამდენიმე წლის წინ ხილვაში ვნახე:** *ზეციდან ჩამოდის უზარმაზარი, ჯვრიანი ბეჭედი, იმგვარი, როგორიც სეფისკვერზე არის ხოლმე გამოსახული. მე ხელში იგივე ფორმის, ოღონდ მცირე ზომის ორი ბეჭედი მიჭირავს და იმ დიდ ბეჭედს ვეხები... მერე კი ამ ბეჭდებით ძველი ეკლესიების კედლებს ვბეჭდავ. ამ დროს ისმის ხმა —* ***„ცხუმ-აფხაზეთი!“*** *ასე რომ, წინ ბრძოლა გველის, ოღონდ მისი შედეგი — ქართველების გამარჯვება — წინასწარ ვიცით!* ***აუცილებლად ჩვენი სამღვდელოებაც შევა აფხაზეთში, საქართველო თავისი ძველი საზღვრებით აღდგება!***

**საზღვართან დაკავშირებით ასეთი ხილვაც მქონდა:** *შემოვდივარ ეკლესიაში და მარჯვენა კედელზე ვხედავ საქართველოს რუკას. რუკის საზღვრები მთლიანად ცეცხლმოდებულია. როცა მეკითხებიან — ვისთან გვექნება ომი? — ვპასუხობ შემაგებებელი კითხვით — თქვენ როგორ ფიქრობთ, ვისთან ექნებათ ომი რუსებს, ბერძნებსა და ქართველებს? — დიახ, მათთან, ვისთანაც საუკუნეების განმავლობაში გვიომია, მაგრამ ეს ომი არამხოლოდ ქართველთა, მთელი მსოფლიოს მართლმადიდებელი სამყაროს დიდი გამარჯვებით და გაბრწყინებით დასრულდება!*

ქადაგებებში ხშირად ვამბობ, რომ ადამიანის ირგვლივ შემთხვევით არაფერი ხდება. ყველაფერი ღვთის განგებითაა და უფალს უნდა მივენდოთ, მთავარია, სინანული გვქონდეს და ვლოცულობდეთ, თორემ მალე კოშმარები დაიწყება მსოფლიოში და არცერთი ერი არ დარჩება დაუსჯელი. **ნურც ჩვენ გვექნება იმედი, რომ დაუსჯელები დავრჩებით.**

გაგახსენებთ მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის გამოცხადებას. ღვთისმშობელი ბრძანებს — **მესამე მსოფლიო ომის ტალღა საქართველოსაც გადაუვლის და გადმოუვლის! წინ დიდი განსაცდელი გველოდება და ნურავინ იტყვის მერე — რად დაუშვა ასე ღმერთმა?**

გეტყვით, რის გამოც ვისჯებით და უფრო მეტადაც დავისჯებით მომავალში — ამაზრზენი გარყვნილება, სექტანტურ-იეღოველური მოძრაობა, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში მამათმავლობის პროპაგანდა, „მეგობრობა“ თურქებთან და სხვა ზნედაცემულ, მტრულ ქვეყნებთან... **დიახ, ჩვენ უნდა ვისწავლოთ დინების საწინააღმდეგოდ ცურვა! დასასჯელს ღმერთი აუცილებლად დასჯის...**

ხილვაში ნანახი მაქვს დიდი უსიამოვნება ჩვენს ეკლესიაში. მაქვს ნანახი ხალხმრავალი და სამწუხარო სურათი საქართველოს საპატრიარქოში, რაზეც დაწვრილებით საუბარი არ მსურს. მოვლენამდე ერთი თვით ადრე, ვიდეოფირის მსგავსად, ხილვაში ვნახე 2007 წლის 7 ნოემბრის ამბები. ამის შესახებ ჩვენი ეპარქიის მღვდელმთავარს ვაუწყე და მრევლსაც ვაფრთხილებდი. მეუფემ მაშინ მიპასუხა — **ამათგან (სააკაშვილის რეჟიმისგან) ყველაფერია მოსალოდნელიო.**

ჩემი ხილვების უმეტესი ნაწილი ცუდ მოვლენებს და მოსალოდნელ განსაცდელს ასახავს, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რის გამო ვართ დასასჯელები. წმინდა წერილში ნათქვამია, რომ ღმერთი შვილებს სჯის, რადგან ისინი უყვარს და სურს, გამოსწორების გზაზე დააყენოს!

**ხილვაში წინასწარ ვნახე** 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი ამერიკაში. დავინახე ცათამბჯენი, რომლის შესასვლელთან მარცხნივ და მარჯვნივ მუსულმანი სასულიერო პირები იდგნენ და თავიანთ რიტუალს ასრულებდნენ. მაღლიდან გავიგონე შეჯახების მძლავრი ხმა, ამიტომაც ყურებზე ხელები დავიფარე. რის გამო მოხდა ეს ტერაქტი? გავიხსენოთ ახალი აღთქმა — **როცა მაცხოვარს უთხრეს, რომ სილოამის გოდოლი დაეცა და 18 კაცი იმსხვერპლა, მან უპასუხა — იქნებ გგონიათ, რომ ის თვრამეტი კაცი, რომლებსაც დაეცათ სილოამის გოდოლი, უფრო მეტად ბრალეული იყო, ვიდრე იერუსალიმის თითოეული მკვიდრი?** არა, მაგრამ იცოდეთ — თუ არ მოინანიებთ, ყველანი მათსავით დაიღუპებით!

**ეს ამბავი, სიმბოლურად, ამერიკის დასასრულის დასაწყისია!**

**გავიხსენოთ გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვები: უმჯობესია ომი, ვიდრე მშვიდობა, რომელიც ღმერთისგან გვაშორებს!** საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა ძალიან მოჰგავს 3 ათასი წლის წინანდელი ისრაელის მდგომარეობას: დაშლილი ქვეყანა, დაფანტული ერი, ომები და კრიზისი ეკლესიაში. უფალი ამბობს — **სადაც ცოდვა გამრავლდება, იქ ღვთის მადლიც გაძლიერდებაო.** ჰოდა, სწორედ იმ ჟამს აკურთხა სამუელმა ისრაელის მეფედ დავითი! საქართველოსა და რუსეთშიც ანალოგიურად მოხდება! ვიღაცის წარდგინებით კი არა, წინასწარმეტყველის მითითებით ეკურთხება მეფე!

**ღმერთმა დაგლოცოთ. ყველაფერი კარგად იქნება!**

*მოამზადა*

**ზაზა დავითაია**





## „ჩემი ხილვების უმეტესი ნაწილი ცუდ მოვლენებს და მოსალოდნელ განსაცდელს ასახავს, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რის გამო ვართ დასასჯელები!“

„ამასწინათ გერმანიაში სამუშაო ვიზიტით ვიმყოფებოდი და მასპინძელმა ხის მასალით აგებულ, ***ენერგოეფექტურ სასტუმროში*** გამათევინა ღამე. დილით გაღვიძებისას ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სექტემბრის თბილ ამინდში სუფთა ჰაერზე ტყეში მეძინა... დიახ, ადამიანი თავს საუკეთესოდ გრძნობს ადრეულ შემოდგომაზე ბუნებაში სუფთა ჰაერზე, როდესაც ტემპერატურა 24-25 გრადუსია.

# ისხოვრეთ კომფორტულად!
# ისუნთქეთ ჯანსაღად!
# გადაიხადეთ ნაკლები!



## ზურაბ დოლენჯაშვილი:

# „ეკობინა“ ენერგო-ეფექტურობის დაგეგმვასა და კომუნალური ხარჯების განულებაში დაგეხმარებათ!





კარგ განწყობასთან ერთად ასეთი პირობები ჯანმრთელობის საფუძველიც გახლავთ. თანამედროვე ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა, მსგავსი მიკროკლიმატი ბინაში ან რომელიმე დახურულ სივრცეში არამხოლოდ ადრეულ შემოდგომაზე, არამედ მთელი წლის განმავლობაშიც სტაბილურად შენარჩუნდეს. ამისთვის აუცილებელია, საინჟინრო ქსელები სწორად იყოს დაპროექტებული!“ — ***ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი არქიტექტორმა, შპს „ეკობინას“ დამფუძნებელმა ზურაბ დოლენჯაშვილმა:***

— ბინა ზაფხულში უნდა იყოს გრილი, ხოლო ზამთარში — თბილი. ბუნებრივი ვენტილაცია, ანუ **ტრადიციულად ღია ფანჯრებით ბინის განიავება საკითხს ართულებს, რადგან ჰაერთან ერთად ღია ფანჯრიდან ბინაში სიცივე ან სიცხე შემოდის, შემდეგ კი დამატებითი ენერგია სჭირდება სასურველ ტემპერატურულ ნიშნულამდე ბინის ხელახლა გათბობას ან გაგრილებას.** უკვე 7 წელია, კომპანია „ეკობინა“ ენერგოეფექტურობის და საინჟინრო ქსელების განვითარების მიმართულე-

**„ჩვენი კომპანია 2-წლიან გარანტიას აძლევს კლიენტს, რომ აგრეგატები ნამდვილად გამართულად იმუშავებენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ 2 წლის შემდეგ რამე დაემართებათ. სამაგიეროდ, ჩვენი პროექტის ხარისხთან დაკავშირებით 100-პროცენტიან გარანტიას ვიძლევით!“**

ბით მუშაობს. ენერგოეფექტურობა ნიშნავს გარემოსგან იზოლირებული ბინის ინტერიერში სასურველი მიკროკლიმატის შექმნას და სტაბილურად მის შენარჩუნებას. საინჟინრო ქსელები კი გათბობის, გაგრილების, წყალმომარაგების, კანალიზაციის, ვენტილაციის, რეკუპერაციის ის სისტემებია, რომლებიც შენობაში მაქსიმალურ კომფორტს უზრუნველყოფს. ამას ემატება ელექტროგაყვანილობა, ინტერნეტის კაბელები, სახანძრო უსაფრთხოების სისტემა, რაც თანამედროვე შენობებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ყველა ეს სისტემა, რა თქმა უნდა, შეიძლება შენობაში ცალ-ცალკე დამონტაჟდეს, თუმცა, გარდა იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში გაცილებით მეტი ჯდება, ინტერიერში ძალზე არაესთეტიკურად გამოიყურება. **ამ პრობლემის გადაჭრის შესანიშნავი გზა არსებობს — ყველა თანამედროვე, დისტანციურად და ტელეფონით მართვადი სისტემა კომპლექსურად დაპროექტდეს, რასაც კომპანია „ეკობინა“ უმოკლეს დროში და შეღავათიან ტარიფებით ასრულებს.**

**— ამ სამუშაოებს მშენებარე შენობებში ასრულებთ? თუ უკვე აშენებულში ამონტაჟებთ აღნიშნულ სისტემებს?**

— ორივე შემთხვევაში შესაძლებელია, თუმცა, უმჯობესია, შავი კარკასით დავიწყოთ საქმე და ყველა სისტემა ერთი და იგივე ჯგუფმა დააპროექტოს, რათა ეს სისტემები განლაგების ან ესთეტიკურობის თვალსაზრისით ერთმანეთთან სრულ თანხვედრაში იყოს. **საბოლოოდ ეს სისტემები ინტერიერში იმგვარად განლაგდება, რომ სრულიად არ გამოჩნდება, შესაბამისად, ადამიანს არც ვიზუალურ და არც სმენით დისკომფორტს არ შეუქმნის.**

## ვაპროექტებთ სახანძრო სისტემებსაც, რომელიც ხანძრის შემთხვევაში სახანძრო ვენტილაციის ამოქმედებას და ინტერიერში ხანძრის საქრობი საინგლერების მონტაჟს გულისხმობს.

ამ აპარატურის უკან დგას აუზები, სატუმბი სისტემები, სხვადასხვა მექანიზმები, რაც, ასევე თვალისთვის დამალულია.

ჩვენს ჯგუფს „ეკობინას“ მსგავსი საკმაოდ რთული სისტემები იდეალურად დაუმონტაჟებია გრიგოლეთში მშენებარე 60-ნომრიან სასტუმროში. დაგვიპროექტებია საავადმყოფო, ასევე უამრავი საცხოვრებელი კორპუსი. **გვყავს გამოცდილი სპეციალისტები და ვასრულებთ ისეთ პროექტებს, რომელიც ნებისმიერ ექსპერტიზას წარმატებით დაძლევს.** ეს ყველაფერი დიდ შენობებში კეთდება, თუმცა, პატარა შენობასაც სჭირდება ყველა ანალოგიური სისტემა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მასშტაბი მცირდება და, შესაბამისად, პროექტი ნაკლებად მძლავრ აგრეგატებს ითვალისწინებს. **ამჟამად „ეკობინა“ ბოლნისის საავადმყოფოს დაპროექტებას ასრულებს, რომელიც საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მრავალფუნქციური და საუკეთესო იქნება!**

**— სისტემების ოპტიმალურად დამონტაჟება შენობის კომუნალურ ხარჯებზე თუ ახდენს ზეგავლენას?**

— ყველა შენობა მოიხმარს ენერგიას, რომელიც გარკვეული თანხა ჯდება. თუ შენობაში არასწორად არის დაპროექტებული და დამონტაჟებული გათბობის, გაგრილების, ვენტილაციის სისტემები, ობიექტის პატრონს შემდგომში კომუნალური გადასახადები სამმაგად ძვირი უჯდება. **ასე, მაგალითად, შეიძლება კომუნალურ გადასახადს მოქალაქე იხდის თვეში 1500 ლარს, მაგრამ სწორად რომ დაეპროექტებინა სისტემები, მოუწევდა 500 ლარი!** „ეკობინა“ ენერგოეფექტურობის დაგეგმვასა და კომუნალური ხარჯების განულებაში დაგეხმარებათ! **დღეისთვის უკვე ამოქმედებულია კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ, ამიტომ ყველა დაინტერესებულია, ენერგიის დანაკარგი** (ფანჯრებიდან, სახურავიდან, კედლებიდან და ა.შ.) **იყოს მინიმალური.** როცა ეს პრინციპი გათვალისწინებულია, მომხმარებელიც მოგებული რჩება. შესაძლოა, ენერგოეფექტური შენობის აშენება ცოტათი ძვირი ჯდება, მაგრამ წლების განმავლობაში გადახდილი კომუნალური გადასახადების რაოდენობის მიხედვით მოქალაქე მაინც დიდ მოგებაში რჩება! ამასთან, ენერგიის გარდა ასეთი შენობით ეკოლოგიაც იზოგება, რადგან ბუნებრივი აირის ნაკლები ნარჩენი გამოიფრქვევა გარეთ. **შეგვიძლია, შენობა განახლებადი ენერგიის წყაროებითაც აღვჭურვოთ, მაგალითად, მზის ბატარეებით, რაც კიდევ უფრო მეტად ამცირებს კომუნალური გადასახადების რაოდენობას.** უცხოეთში ასეთი შენობები იღებენ ენერგოეფექტურობის ხარისხის მიმანიშნებელ სერტიფიკატს, რაც აგრეგატების მიერ მოხმარებულ ენერგიაზეა დამოკიდებული. რაც ნაკლებ ენერგიას მოიხმარს შენობა, მით უფრო მაღალი კლასის სერტიფიკატი ენიჭება.

**— რომელი ქვეყნების პროდუქცია შემოგაქვთ?**

— მომხმარებელს ფართო არჩევანს ვთავაზობთ. **გვაქვს საკმაოდ ხარისხიანი თურქული აგრეგატები, რომელთა დამონტაჟება სწრაფად არის შესაძლებელი და ფასითაც იაფია.** თუ მომხმარებელს უფრო მაღალ ხარისხზე ექნება მოთხოვნილება, შევთავაზებთ უფრო ძვირადღირებულ ევროპულ აგრეგატებს. **მთავარია, პროექტი, აგრეგატების სიმძლავრეები იყოს სწორად შერჩეული და ნაკლებად მნიშვნელოვანია, სადაურ აგრეგატს დაამონტაჟებთ.** ჩვენი კომპანია 2-წლიან გარანტიას აძლევს კლიენტს, რომ აგრეგატები ნამდვილად გამართულად იმუშავებენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ 2 წლის შემდეგ რამე დაემართებათ. სამაგიეროდ, ჩვენი პროექტის ხარისხთან დაკავშირებით 100-პროცენტიან გარანტიას ვიძლევით.

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***



# „შეიძლება კომუნალურ გადასახადს მოქალაქე იხდის თვეში 1500 ლარს, მაგრამ სწორად რომ დაეპროექტებინა სისტემები, მოუწევდა 500 ლარი!“


WWW.ECOBINA.GE

599-58-58-17

თბილისი, ვეძისი, ბერიტაშვილის 1 ჩიხი, №3/10.











ლეგენდარული
დიმიტრი ალავიძე
ლეგენდარული
ვასილ მჟავანაძის
სტუმრობიდან
57-ე წელია,

მცხეთის სალობიეში
გეპატიჟებათ!

რეპორტაჟი ქართული პოლიტიკის ხუხულიდან

# რა ღირს კულისებს მიღმა გაყიდული საქართველო?!

დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №18-44

**„ასავალ-დასავალი“ ასრულებს პოლიტოლოგ გია ხუხაშვილის მემუარული ჟანრის წიგნის — „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“ განხილვას. ეს მოგონებები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ავტორი, როგორც ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილისა და ბოლოს, ბიძინა ივანიშვილის უახლოესი გარემოცვის წევრი, პირადად მონაწილეობდა საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან და ფართო მასებისთვის დაფარულ მოვლენებში.**






**გია ხუხაშვილი** თავისი მემუარების დასასრულს აშკარად ცდილობს, რომ ლამაზ ფერებში დახატოს მისი „რუხი კარდინალობის“ პერიოდი, ანუ ეტაპი, როდესაც **ბიძინა ივანიშვილის პრემიერობისას** უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო გადაწყვეტილებებში იღებდა მონაწილეობას, თან არანაირი ოფიციალური სტატუსი არ ჰქონდა.

**ხუხაშვილი** თვითონაც არ მალავს, რომ გადამწყვეტი როლი ითამაშა ტელეკომპანია „იმედის“ ბადრი პატარკაციშვილის ოჯახისთვის დაბრუნების საკითხში:

***„ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ერთ-ერთი პირველი თემა, რომლითაც დავინტერესდი, იყო სწორედ რომ ამ ტელეკომპანიის კანონიერი მეპატრონისთვის — ბადრის ოჯახისთვის დაბრუნების საკითხი. უნდა ითქვას, რომ უკვე ყოფილ ხელისუფლებას, რომელიც ტელეკომპანიის 90%-ს აკონტროლებდა, არ შეუქმნია ამ მხრივ სერიოზული პრობლემები და წილი უმტკივნეულოდ გადმოფორმდა. მალე ჯოზეფ ქეის, დარჩენილი 10%-ის მფლობელის, ადვოკატიც გამოჩნდა ჩემთან და მითხრა, რომ მისი რწმუნებული მზად იყო, დაებრუნებინა წილი. მკითხა, ვისზე უნდა გადაფორმებულიყო შესაბამისი აქტივი...***

***ბუნებრივია, ვუთხარი, რომ ტელევიზიის კანონიერი მფლობელი იყო პატარკაციშვილების ოჯახი და, შესაბამისად, ეს წილი მათ უნდა დაბრუნებოდათ“*** *(გ. ხუხაშვილი, „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“, გვ. 266).*

ანუ **ხუხაშვილმა** ტელეკომპანია „იმედი“ უპრობლემოდ დაუბრუნა **ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს,** რომელიც მართლაც იყო ამ ბიზნესის კანონიერი მფლობელი, მაგრამ ფაქტია, რომ **ხუხაშვილს იგივე შემართება არ გამოუჩენია იმ ათასობით ბიზნესზე თუ ქონებაზე, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმმა წაართვა მათ კანონიერ მფლობელებს...**

ისიც ფაქტია, ბედის ირონიითა თუ ბედის განგებით, **ხუხაშვილი** ბიძინა ივანიშვილის უახლოეს გარემოცვაში მოხვდა, მისი დიდი ნდობის კვალობაზე, მართლაც **„რუხ კარდინალად“** ჩამოყალიბდა და, ის კი არა, არც მეტი, არც ნაკლები, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჯერ **გიორგი მარგველაშვილის** გაპრეზიდენტებაში, შემდეგ კი **გიორგი კვირიკაშვილისა და გიორგი გახარიას** გაპრემიერებაში!

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ხუხაშვილს კიდევ ერთი პრემიერ-მინისტრის „ნათლიამამობაც“ შეიძლება მიეწეროს — **მამუკა ბახტაძისა!**

ხუხაშვილი თავად ჰყვება, მისი ხელდასხმით როგორ ჩაეყარა საფუძველი **ბახტაძის კარიერულ აღმასვლას,** როდესაც ეს უკანასკნელი საქართველოს რკინიგზის მმართველად მიავლინეს:

***„იმ კანდიდატებს შორის, ვისაც გავესაუბრეთ, ყველაზე კარგად მამუკა ბახტაძე გამოიყურებოდა. თუმცა, გარკვეული კითხვები არსებობდა იმ კომპანიასთან მიმართებაში, სადაც ის მანამდე მუშაობდა. ამიტომ გადავწყვიტეთ, ფრთხილად გვემოქმედა და ის ვითარებაში გარკვევამდე გამოსაცდელი ვადით რკინიგზის გენერალური დირექტორის მრჩევლის პოზიციაზე გაგვემწესებინა. როგორც მოგეხსენებათ, შემდგომში მამუკა გახდა კიდევაც გენერალური დირექტორი. შემიძლია გითხრათ, საკმაოდ ჭკვიანი და კომპეტენტური ადამიანია. მასთან თანამშრომლობა საკმაოდ კომფორტული იყო...“*** *(იქვე, გვ. 285).*

და ამ ყველაფრის მიუხედავად, მემუარისტი ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ ის არავითარი „რუხი კარდინალი“ არ ყოფილა:

***„მიუხედავად იმისა, რომ ამის უდიდესი საშუალებები მქონდა, არასოდეს ჩავრეულვარ საკადრო პოლიტიკაში, რადგან ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ვინმესთვის თუნდაც რეკომენდაციის გაწევა უდიდესი პასუხისმგებლობაა...***

***ყველა მკაცრად მყავდა გაფრთხილებული, რომ ამ საკითხებზე ჩემთვის არ მოემართათ. ამის გამო საშინელ დღეში იყო ჩავარდნილი ჩემი მეუღლე, რომელმაც აღარ იცოდა, როგორ გაეძლო მუდმივი შემოტევებისთვის. ორ ცეცხლს შუა მოექცა — ერთი მხრიდან ყველა აწუხებდა, მეორე მხრიდან კი მე ვებუზღუნებოდი...“*** *(იქვე, გვ. 291).*

არადა, მემუარისტი აქამდე თავად გვიყვებოდა დაწვრილებით, როგორ დააკავშირა იგივე **გახარია** ივანიშვილს და როგორ ლობირებდა იგივე **გიორგი კვირიკაშვილის** რეაბილიტაციას, ივანიშვილს „მოღალატედ“ რომ ჰყავდა შერაცხილი „ქართუ ბანკში“ ჯერ კიდევ სააკაშვილის რეჟიმის მოღვაწეობისას...

ასეა თუ ისე, როგორც თვითონ ამბობს, ერთ მშვენიერ დღეს, **ხუხაშვილმა** პრემიერ ივანიშვილს უთხრა, უნდა წავიდეო:

***„დიდი ხნის მომზადების შემდეგ, გამოვუცხადე ბიძინას, რომ მოვიდა დრო, წავსულიყავი. მოტივად მოვუყვანე ორი მთავარი მიზეზი.***

***პირველი ის იყო, რომ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში აბსოლუტურად დაუმსახურებლად მივიღე სერიოზული რეპუტაციული ზიანი, რომ რეპუტაცია იყო ერთადერთი კაპიტალი, რომელსაც ვაგროვებდი მთელი ცხოვრების განმავლობაში და, შესაბამისად, ეს ძალიან მტკივნეულია...***

*ჩემს მიერ დასახელებული მეორე მიზეზი უფრო პრაგმატული იყო და ბიძინას უმტკივნეულოდ დათანხმებას ისახავდა მიზნად.*

***მე მას ვუთხარი, რომ თვალყურს ვადევნებ, როგორ აშენებს მმართველობით სისტემას. ბევრ რამეს არ ვეთანხმები, არ მომწონს და ჩემდაუნებურად ვეწინააღმდეგები, ანუ ის რაღაცას აშენებს, მე კი ვუნგრევ. ამიტომ მისთვისაც კომფორტული იქნება, თუ გავეცლები და წყნარად მუშაობის საშუალებას მივცემ“*** *(იქვე, გვ. 292).*

როგორც **ხუხაშვილი** ამბობს, ბიძინას არ უკამათია, უბრალოდ, თქვა, რომ ეს წასვლის პროცესი მტკივნეული იქნებოდა მისთვის, ხოლო გარკვეული ხნის შემდეგ შეკვეთილში მიიპატიჟა და სცადა, დაეტოვებინა სისტემაში:

***„ბიძინამ მითხრა, რომ ის თემები, რომლებზეც მე მუდმივად ვამახვილებდი მის ყურადღებას, ისევ აქტუალურია და თუ გადავწყვეტდი დარჩენას, კარგი იქნებოდა, თუ ამ საკითხებზე გავაგრძელებდი მუშაობას. ამისთვის შემომთავაზა ჩემი რეალური საქმიანობის ფორმალიზება აუდიტის სამსახურში მუშაობის გზით. მე ვუპასუხე, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული მაქვს და უკან დაბრუნებას არანაირი ფორმით აღარ განვიხილავ“*** *(იქვე, გვ. 298).*

და იქვე მემუარისტი თავად ეკითხება საკუთარ თავს, ხომ არ ჯობდა, კონტროლის პალატაში გადავსულიყავი და დავრჩენილიყავი სისტემაშიო:

***„იმ დღის შემდეგ ბევრჯერ მიფიქრია — ხომ არ დავუშვი მაშინ შეცდომა, რომელიც შესაძლოა, არამხოლოდ მე, არამედ ქვეყანასაც საკმაოდ ძვირი დაუჯდა?!***

***იმ მომენტში გვქონდა ყველა რესურსი იმისათვის, რომ ეს სამსახური ნამდვილ, ეფექტიან ინსტიტუტად გვექცია, მისთვის ანტიკორუფციული მიმართულების გადაცემის და ოპერატიული ფუნქციის აღჭურვის პირობებში. ამით შესაძლოა, სხვადასხვა ინტერესჯგუფების არაფორმალურ გავლენებთან დაკავშირებული ბევრი პრობლემა აგვეცილებინა თავიდან. არ ვიცი, მოვახერხებდი თუ არა მათთან გამკლავებას, მაგრამ შესაძლოა, ღირდა გაბრძოლება...“*** *(იქვე, გვ. 298).*

## „რუხი კარდინალის“ ეპოქის დასასრული,

## ანუ როგორ მოხდა გია ხუხაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის განშორება!




მოკლედ, ასეა თუ ისე, ასე დასრულდა ეს ამბავი. **ამბავი „რუხი კარდინალისა“,** რომელიც ბიძინა ივანიშვილის კარზე ყველაზე გავლენიან პირად მიიჩნეოდა და ქვეყნის პრეზიდენტის და პრემიერების შერჩევაშიც კი მონაწილეობდა.

***გიორგი გიგაური***

***დასასრული***

# ვახტანგ მაისაია:
# ოფიციალური ინფორმაციით, ისრაელს ატომური ბომბი არა აქვს!



***ექსპერტი საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში, პოლიტიკის დოქტორი ვახტანგ მაისაია ახლო აღმოსავლეთში ახალი ძალით აფეთქებული საშინელი სამხედრო დაპირისპირების ფონზე ბირთვული კლუბის წევრი ქვეყნების შესახებ საუბრობს და აცხადებს, რომ ომი, რომელშიც ისრაელი ჩაება, თავისი ხასიათით ჰიბრიდულია და მიუხედავად შესანიშნავი შეიარაღებისა და დიდი გამოცდილებისა, ისრაელის არმია ასეთი ბრძოლისთვის მზად მაინც არ არის:***

— **ბირთვულ კლუბში** გაწევრიანებულია გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი ქვეყანა — **ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი.** ამათ ემატებათ **პაკისტანი და ინდოეთი...** ბირთვული კლუბის წევრია **ჩრდილოეთ კორეაც,** რომელსაც 30 თუ 40 ერთეული სრულფასოვანი ბირთვული ქობინი აქვს. ჩრდილოეთ კორეას ასევე გააჩნია მასობრივი განადგურების იარაღის გადასატანი საშუალებებიც... რაც შეეხება **ისრაელს,** ოფიციალური ინფორმაციით, ატომური ბომბი არა აქვს, მაგრამ ქვეყანა ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებს! თუმცა, როგორც გვეუბნებიან, 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ისრაელი 300-400 ბირთვულ ქობინს ფლობს. არსებობს საპირისპირო აზრიც. ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ატომური ბომბის შესაქმნელად ისრაელს მხოლოდ სამუშაოთა 60 პროცენტი აქვს შესრულებული. სამაგიეროდ, დანამდვილებით არის ცნობილი, რომ გააჩნია 150 ერთეული არასრული ბირთვული ქობინა, ე.წ. „ბინძური ბომბი“. ისრაელი ბირთვული ბომბისთვის საჭირო ტექნოლოგიებს აწარმოებს დიჲონის ბირთვული განვითარების ცენტრში, რომელიც მეგივის უდაბნოში, ისრაელის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს.

**— რა დონეზეა მისული ირანის ბირთვული პროგრამა?**

— ოფიციალური ინფორმაციით, ირანს ბირთვული ბომბის დამზადების საქმეში სამუშაოს 80 პროცენტი უკვე შესრულებული აქვს. თუმცა, ეს მხოლოდ ოფიციალური ინფორმაციაა, რომელსაც შესაძლოა, რეალობასთან კავშირი არ ჰქონდეს! ისრაელს გააჩნია ბირთვული ბომბის გადასატანი საშუალებები — „ფ-15“-ები, ასევე ჰყავს უძლიერესი წყალქვეშა ნავები, რომლებიც გერმანიისგან შეიძინა.

## ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ატომური ბომბი დამოუკიდებლად შექმნა და მერე ექვსივე ბირთვული ქობინა თავისი ნებით გაანადგურა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაა!

1968 წლის ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ სწორედ „ახალგაზრდა“ ბირთვულმა ქვეყნებმა — **ისრაელმა, ინდოეთმა, პაკისტანმა და ჩრდილოეთ კორეამ** არ მოაწერეს ხელი, რაც ადასტურებს, რომ ისრაელი ნამდვილად ბირთვული სახელმწიფოა!

**— როგორ წარმოგიდგენიათ, რომ ატომური ბომბი არ ჰქონდეს ისრაელს, როცა, ვინც კი მის შექმნაზე მუშაობდა, თითქმის ყველა მეცნიერი ებრაელი იყო?**

— ეს რიტორიკული შეკითხვაა, რომელიც თავის თავში პასუხსაც მოიცავს, მაგრამ ჩვენ უნდა დავეყრდნოთ ოფიციალურ ინფორმაციას... ოფიციალურად კი ისრაელი არც ატომური სახელმწიფოა და არც ბირთვული კლუბის წევრი. **სხვათაშორის, არსებობს ეჭვი, რომ ბირთვული იარაღი აქვს იაპონიასაც, თუმცა, ბირთვული კლუბის წევრი არ არის!**

**— რა ფუნქცია აქვს ბირთვულ კლუბს?**

— ბირთვული კლუბის უმთავრესი ფუნქციაა მასობრივი განადგურების იარაღი არ მოხვდეს რომელიმე სახელმწიფოს ხელში!

**— როგორ წარმოგიდგენიათ ისრაელ-პალესტინის ომის განვითარება, დაიკავებს თუ არა ისრაელი ღაზის სექტორს და თუ გაუჭირდა, გაისვრის თუ არა იმ „ბინძურ ბომბს“ მაინც?**

— ისრაელს ღაზის სექტორი არაერთხელ დაუკავებია, მაგრამ მერე იქიდან გამოსულა. რა მოხდება ახლა, ძნელი სათქმელია, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ე.წ. „ბინძური ბომბის“ გასროლა ისრაელს არ დასჭირდება, რადგან მისი არმია მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. მართალია, პოლიტიკურმა დაპირისპირებამ ისრაელის არმიაშიც შეაღწია, არმია მოეშვა და მოხდა ის, რაც მთელმა მსოფლიომ ნახა, მაგრამ ისრაელში უკვე გამოფხიზლდნენ და არმიაში სასწრაფოდ დააბრუნეს ყველა ის ძვირფასი კადრი, რომელიც პოლიტიკური მოსაზრებების გამო მოკვეთეს. იმ საშინელი ტერორის უკან, რომელიც ამ დღეებში ისრაელში განხორციელდა, სამი სახელმწიფო დგას — **ირანი, სირია და რუსეთი!**



## „იმ საშინელი ტერორის უკან, რომელიც ამ დღეებში ისრაელში განხორციელდა, სამი სახელმწიფო დგას – ირანი, სირია და რუსეთი!“

**— რუსეთს ხომ ნეთანიაჰუსთან კარგი ურთიერთობა აქვს და ამ უბედურებაში გარევა რაში დასჭირდა?**

— **რუსეთმა ამ სადამსჯელო აქციაში მონაწილეობით, ფაქტობრივად, ხარკი გადაუხადა ირანს, რომელიც უკრაინის ომში კრემლს სერიოზულ მხარდაჭერას უცხადებს და სამხედრო დრონებს უგზავნის.** გარდა ამისა, ამ აქციაში მონაწილეობით, რუსეთმა მსოფლიოს ბაზარზე გაზარდა ნავთობის ფასი და მოახდინა სპეცოპერაციის ტესტირება, რომლის დაგეგმვასაც უკრაინაში სწორედ პლანერების საშუალებით აპირებს.

მომხდარი ტერაქტით „ჰამასმა“, ირანმა და რუსეთმა ასევე შეიტყვეს ისრაელის იმ ახალი ტიპის ტანკების — „მაკავა-4“-ების მახასიათებლების შესახებ, რომლებიც ოფიციალურმა იერუსალიმმა ამერიკული „აბრამსების“ ბაზაზე შექმნა. რამდენიმე ასეთი ტანკი ტერორისტებმა ხელთ იგდეს და მისი ჯავშნის შესახებ სინჯებიც აიღეს...

ცნობისათვის, ისრაელსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ჯერ კიდევ 1952 წელს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც, ამერიკა ვალდებულია, დაეხმაროს ისრაელს. ეს ეხება ბირთვულ მუქარასაც... კერძოდ, თუ ისრაელი აღმოჩნდება ბირთვული დარტყმის საფრთხის წინაშე, მაშინ ამერიკის შეერთებული შტატები იტოვებს უფლებას, ბირთვული დარტყმა მიაყენოს ისრაელის განადგურების მოსურნეს!

**— ვინ გაიმარჯვებს ისრაელ-პალესტინის ომში?**

— ძნელი სათქმელია! მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის არმია ძალიან კარგად არის მომზადებული და თან ამერიკელებმა ებრაელებს ახალი შეიარაღება და ტექნიკა მიაწოდეს, ეს იქნება ჰიბრიდული ომი და თანაც ქალაქებში, სადაც ბრძოლა ყოველთვის ურთულესია.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***









## კვირგვინოსნები

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ვისაც ქვეყანაში **უკრაინა, ყარაბაღი თუ ისრაელი უნდა** — ასაკის, სქესის, კონფესიური, ეთნიკური თუ პარტიული კუთვნილების განურჩევლად, **ყველანი უნდა მოვაქციოთ სრულ სამოქალაქო იზოლირებაში!**

„იმედინიუსი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



**პრემიერი** როდესაც ჩადის ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში, **იქიდან მოდის პოზიტიური სიგნალები** ევროინტეგრაციასა და კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით, ხოლო, სადაც **პრეზიდენტი** მიდის, **მოდის ნეგატიური სიგნალები.**

„იმედინიუსი“

**დავით უსუფაშვილი**
*„ლელოს“ წევრი*



**გივი მიქანაძე** მოადგილე იყო **ადეიშვილის** და იუსტიციის მინისტრების **სააკაშვილის** დროს. **კობახიძისთვის** იუსტიციის მინისტრის მოადგილე **მიქანაძე** მისაღებია და **კოპალეიშვილი,** რომელიც **სააკაშვილის** დროს დაინიშნა სადღაც, ეს მიუღებელია, ესაა კრიტერიუმი და სტანდარტი?!

„ახალი თაობა“

**რომან გოცირიძე**
*„ევროპელი სოციალისტების“ დეპუტატი*



სადაა ჯანდაცვის სამინისტრო, რომ **გააფრთხილოს ხალხი,** განსაკუთრებით მოხუცები და რისკის ქვეშ მყოფი ადამიანები, შეახსენოს მათ, რომ **სასურველია პირბადის გამოყენება თუნდაც ტრანსპორტში, რომ კორონა არსად გამქრალა** და ისევ იღუპებიან ადამიანები.

„აიპრესი“

დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2023 წლის №41-44

# «შაქრიანი დიაბეტით



## კახა საბახტარიშვილი:

# ვისაც შაქრიანი დიაბეტი აქვს, თეთრი წინდები ჩაიცვას!

*ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი შაქრიანი დიაბეტით გამოწვეულ საშიშ გართულებებზე საუბრობს და გვაფრთხილებს, რომ ამ ვერაგი სენის ყველაზე საგანგაშო შედეგი მაინც დიაბეტური ანგიოპათიაა, რომელიც უყურადღებობის შემთხვევაში განგრენით სრულდება:*

— ათასობით ადამიანი, რომელიც მაღალი შაქრის დასაწევად ქიმიურ პრეპარატებს ღებულობს, ფიქრობს, რომ მედიკამენტოზური მკურნალობის შედეგად პრობლემა მოხსნილი და შაქარი დარეგულირებული აქვს. ბუნებრივად დაისმის კითხვა — თუ პრობლემა მოხსნილია, მაშ, სად მიდის ის ჭარბი გლუკოზა, რომელიც სისხლშია? ის ხომ ვერანაირად ვერ აორთქლდება და გაქრება? ცხადია, **ზედმეტი შაქარი მიდის, პირველ რიგში, ღვიძლში, სადაც ის ცხიმად გარდაიქმნება და მის გაცხიმოვნებას იწვევს.** გამოდის, რომ ერთ პრობლემას თითქოსდა ვაგვარებთ და შაქარს დაბლა ვწევთ, მაგრამ ამ დროს ღვიძლს სერიოზულ პრობლემებს ვუქმნით. თუ რა პრობლემები ექმნება ღვიძლს გაცხიმოვნებით, ამის შესახებ წინა ინტერვიუებში დეტალურად ვისაუბრეთ და ვთქვით, რომ **ღვიძლის გაცხიმოვნება** არის უმოკლესი გზა ციროზისა და ღვიძლის კიბოსაკენ! ხშირად ყურადღებას ამახვილებენ სისხლში გლუკოზის ჭარბ რაოდენობაზე. **გვახსოვდეს, რომ შაქრის გამზომ აპარატს, რომელსაც გლუკომეტრი ჰქვია, არ შეუძლია სისხლში ინსულინის დონის განსაზღვრა. არადა, მაღალი ინსულინი შაქრიანი დიაბეტის დროს უპირველესი პრობლემაა, რომელსაც უზომოზე, ფაქტობრივად, არავინ იზომავს და ყურადღებას არ აქცევს.** სისხლში ინსულინის დონე შესაძლოა, კანის მდგომარეობითაც კი ვაკონტროლოთ. არის შემთხვევები, როცა ადამიანს წყურვილი არ კლავს, ხშირი შარდვა არ აწუხებს და ჰგონია, რომ შაქრიანი დიაბეტი არ ემუქრება, არადა, ამ დროს სპეციალისტი მის კანს თუ დააკვირდება, ადვილად შენიშნავს დიაბეტის ფარულ ნიშნებს!

**— მაინც რა ფარული ნიშნები აქვს შაქრიან დიაბეტს ისეთი, რომელიც კანზე გამოისახება?**

— შაქრიანი დიაბეტის დროს კანზე შესაძლოა, გაჩნდეს შემდეგი ნიშნები:

**1.** შავი აკანტოზი;

**2.** კანზე პაპილომების ჭარბი ზრდა;

**3.** კანის სკლეროზული ცვლილებები;

**4.** სახეზე გამონაყარი, ანუ აკმე;

**5.** თვალების გაწითლება, შეშუპება და შესივება;

**6.** ტერფების ფერის შეცვლა;

აუცილებელი არ არის, სახეზე იყოს ყველა ეს სიმპტომი. თუ ზემოჩამოთვლილ ნიშანთაგან ერთი მაინც ფიქსირდება, პირველ რიგში, სწორედ დიაბეტზე უნდა მივიტანოთ ეჭვი.

**— რას ნიშნავს შავი აკანტოზი?**

— **შავი აკანტოზის დროს კანის ნაწილი, განსაკუთრებით კი კისრის ნაწილი, ასევე იღლიის მიდამო და იდაყვის არე მუქდება და მზით დამწვარს ჰგავს.** ამის მიზეზი სწორედ მაღალი ინსულინია, რომლის დროსაც კანის უჯრედები — მელანოციტები აქტიურად მუშაობენ და კანის გარკვეულ ნაწილებს მუქ შეფერილობას აძლევენ. რაც შეეხება პაპილომებს, მათი გაჩენა ისევ და ისევ ჭარბ ინსულინს უკავშირდება, რომელიც ანაბოლური ჰორმონია. **სწორედ ანაბოლური ჰორმონის ჭარბი დონე განაპირობებს პაპილომების გამრავლებას და ზრდას.**

კანის სკლეროზული ცვლილებების დროს კანი უხეში, სქელი და მშრალი ხდება და ადვილად იქერცლება. ამის მიზეზი კანის უჯრედების — **კერატოციტების** გამრავლებაა, რომელიც კანს აუხეშებს და მის აქერცვლას იწვევს. მიზეზი აქაც მაღალი ინსულინია... ჩემს სამედიცინო პრაქტიკაში დავაკვირდი, რომ, ვისაც ფეხზე ხშირად უჩნდება ე.წ. „მაზოლები“, ანუ კოჟრები, დიდი ალბათობით, დიაბეტი აქვს! **ქალებში ხშირია სახეზე გამონაყარი, ანუ აკმე, რომელსაც პოლიკისტოზი იწვევს.** ამ პათოლოგიის დროს ქალის ორგანიზმში მამაკაცთა სასქესო ჰორმონების — **ანდროგენების** რაოდენობა მომატებულია. ანდროგენი კი სწორედ ინსულინის დონის ზრდისას მატულობს.

დიაბეტიანებში ხშირია თვალების გაწითლება, შეშუპება და შესივება. ამის მიზეზი ის არის, რომ მაღალი შაქარი, პირველ რიგში, თირკმლებს აზიანებს. ამ დროს ორგანიზმში სითხის შეკავება ხდება და თვალის შეშუპება და შესივება სწორედ ამის შედეგია. თუ დროულად არ იქნა ზომები მიღებული, ეს მდგომარეობა აუცილებლად მიგვიყვანს **დიაბეტურ ნეფროპათიამდე,** რომლის ფინალიც **თირკმლის უკმარისობა** იქნება. გვახსოვდეს, რომ თირკმელი ყველაზე მუშა ორგანოა და დიაბეტური ნეფროპათიის დროს ტკივილი არ ახასიათებს. ამიტომ **ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანი თვალების შეშუპებას ყურადღებას არ აქცევს და მხოლოდ შემთხვევითი გამოკვლევის დროს იგებს, რომ თირკმლის უკმარისობის წინაშე დგას.**

ყველაზე უფრო საგანგაშო მაინც **დიაბეტური ანგიოპათიაა,** რომელიც უყურადღებობის შემთხვევაში **განგრენით** სრულდება. ასეთ დროს ადამიანის გადასარჩენად ერთადერთი გზა ქვედა კიდურების ამპუტაციაა. თუმცა, არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა ამპუტაციაც დაგვიანებულია და ლეტალური შედეგის აცილება ვერ ხერხდება.

**— რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ადამიანმა, რომელსაც დიაბეტური ანგიოპათია აქვს, განგრენისგან თავი დაიცვას?**

— პირველ რიგში, დროულად უნდა აღმოვაჩინოთ **დიაბეტური ანგიოპათიის** საწყისი ნიშნები და ყოველდღიურად დავათვალიეროთ ტერფისა და წვივის მიდამოს კანი.

**დიაბეტური ანგიოპათიის საწყის ეტაპზე, ტერფისა და წვივის მიდამოში, პირველ რიგში, ჩნდება პატარა ზომის წითელი სისხლჩაქცევები, რომელსაც პეტექია ეწოდება. უყურადღებობის შემთხვევაში ის დიდდება, რომელსაც უკვე პურპურა ჰქვია.**



**— რა არის პეტექიისა და პურპურას გაჩენის მიზეზი?**

— როდესაც სისხლში გლუკოზა ჭარბია, ის ტერფის უწვრილესი კაპილარების კედლებს აზიანებს, სისხლს ჟანგავს, კაპილარების კედლებს არღვევს და სისხლის ნაწილი კაპილარების გარშემო მდებარე კანის ქსოვილებში გროვდება. სწორედ ეს არის წერტილოვანი სისხლჩაქცევა, ანუ **პეტექია,** რომელიც ხშირად უფრო დიდი ზომის **პურპურაში** გადაიზრდება ხოლმე. საერთოდ, ტერფის მიდამოში ყურადღება უნდა მივაქციოთ კანის ფერსაც. **განგრენის** საფრთხის დროს ის ჯერ მოყვითალო, შემდეგ მოწითალო შეფერილობას იღებს და თანდათანობით გადადის სიშავეში. **ჩვენი რჩევაა, ყველამ, ვისაც შაქრიანი დიაბეტი აქვს, თეთრი წინდები ჩაიცვას!**

**— თეთრი წინდები შაქრიან დიაბეტთან რა შუაშია?**

— საქმე ის გახლავთ, რომ შაქრიანი დიაბეტის დროს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ვითარდება ძალზე საშიში პათოლოგია — **დიაბეტური ანგიოპათია,** რომლის დროსაც ქუსლებზე ჩნდება ნახეთქები. ყოველი ნახეთქი თუ ჭრილობა, როგორც წესი, მტკივნეულია, მაგრამ დიაბეტის დროს **დიაბეტური ნეიროპათიაც** ვითარდება, რა დროსაც ნერვული უჯრედები კვდება და ადამიანი დაზიანებულ ფეხზე ტკივილის შეგრძნებას კარგავს. **დიაბეტური ტერფის დროს, ნახეთქებიდან შესაძლოა, სისხლიც წამოვიდეს, მაგრამ ავადმყოფი ამას ვერ გრძნობს, რაც ჭრილობაში ინფექციის შეჭრას და საბოლოოდ განგრენის საფრთხეს იწვევს.** ამ საფრთხის დროულად დასაფიქსირებლად თეთრი წინდები სწორედ რომ მისწრებაა, რადგან სისხლი და ნებისმიერი სისხლნაჟღენთი მასზე ადვილად აღიბეჭდება.

**— განგრენა, რომელსაც ხშირად სწორედ დიაბეტი იწვევს, ხალხური საშუალებითაც არ იკურნება?**

— ფაქტია, რომ თანამედროვე მედიცინა განგრენას ვერ შველის და ადამიანის გადასარჩენად ტერფის ან კიდურის ამპუტაციას მიმართავს. მწერალ **რეზო ჯაფარიძეს** თავის წერილში ერთგან მოხსენიებული ჰყავს **სამტრედიელი მემანქანე, ვინმე კალაძე,** რომელიც სწორედ განგრენიან ხალხს კურნავდა იმ ძველისძველი ხალხური მალამოთი, რომლის დამზადების საიდუმლოც მისმა ოჯახმა წინაპრებისგან მემკვიდრეობით მიიღო. **სამწუხაროდ და საუბედუროდ, მოხდა ისე, რომ კალაძეს ომი გამოუცხადა ერთმა ცნობილმა ქართველმა აკადემიკოსმა, რომლის გვარსაც შეგნებულად არ ვასახელებთ.** სწორედ მისი გავლენითა და ჩარევით, **მკურნალი კალაძე** გამოაცხადეს თაღლითად, შარლატანად, მჩხიბავად და ძალიან უცნაურ ვითარებაში გარდაიცვალა. შესაბამისად, მისი მალამოს რეცეპტურაც დაიკარგა. არადა, **მკურნალ კალაძეს** იდეალური შედეგები ჰქონდა და განგრენიანი პაციენტების აბსოლუტურ უმრავლესობას არათუ სიცოცხლეს, არამედ კიდურებსა და ტერფებს უნარჩუნებდა. შურმა და მტრობამ სწორედ ასე გააქრო იმ სასწაულმოქმედი წამლის რეცეპტურა.

გვახსოვდეს, რომ განგრენის დროს მკვდარი ქსოვილები, დაწყლულებული უბნები და საღი ქსოვილები ერთმანეთშია არეული და სწორედ ეს არის იმის მთავარი მიზეზი, რომ განგრენის მკურნალობა ურთულესია. საერთოდ, **შეუხორცებელი წყლულები შაქრიანი დიაბეტის თანმდევი პათოლოგიაა.** მიუხედავად სირთულისა, არსებობს ერთი ძალზე უცნაური მეთოდი, რომელმაც დიაბეტური ანგიოპათიის მკურნალობისას საოცარი ეფექტი მოახდინა. ამ მეთოდს ძველი მკურნალები საუკუნეების წინ იყენებდნენ. როგორც ცნობილია, პირველად ამ ხერხს მაიას ტომებმა და ავსტრალიელმა აბორიგენებმა მიმართეს, ხოლო ევ-




**„ვისაც ფეხზე ხშირად უჩნდება ე.წ. „მაზოლები“, დიდი ალბათობით, დიაბეტი აქვს!“**

# დაავადებულებმა ბევრი კოწახური უნდა ჭამონ!»



როპაში მკურნალობის ამ მეთოდის დანერგვა ნაპოლეონის მთავარი ქირურგის **ბარონ დომენიკ ლარეის** სახელს უკავშირდება. ნაპოლეონის ეგვიპტური კამპანიის დროს **ბარონმა ლარეიმ** შეამჩნია, რომ იმ ფრანგ ჯარისკაცებს, რომლებიც ბრძოლის ველიდან რამდენიმე დღის შემდეგ კიდურების საშინელი დაბინძურებული ჭრილობებით გამოიყვანეს, ჭრილობებში ბუზების ჭუპრები ჰყავდათ... გასაოცარი ის არის, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ ფრანგ ჯარისკაცებს არც სიცხე ჰქონდათ და არც არავითარი ინფექცია. ცხადია, განგრენაც არ განუვითარდათ. **ალმოჩნდა, რომ ბუზის ჭუპრები, თურმე, მკვდარი, ნეკროზული ქსოვილებით იკვებებიან და საღ ქსოვილს აბსოლუტურად არ ეხებიან, ანუ, ფაქტობრივად, ბუზის ჭუპრებმა ფრანგ ჯარისკაცებს ორი დიდი საქმე გაუკეთეს — მკვდარი უჯრედებიც მოაშორეს და დეზინფექციაც ჩაუტარეს!**

შემდგომი მეცნიერული კვლევებით დადგინდა, რომ ბუზის ჭუპრი გამოყოფს სპეციალურ ნივთიერებას, რომელიც ჭრილობაში მოხვედრილი პათოლოგიური ბაქტერიებით იკვებება. უფრო მეტიც, ის ისეთ ბაქტერიებსაც კი ანადგურებს, როგორიც **ოქროსფერი სტაფილოკოკი და ეშერიხია კოლი** არიან. მოგეხსენებათ, მათზე ანტიბიოტიკებიც კი ძნელად მოქმედებენ. ამ მეთოდმა ისეთი დადებითი შედეგები აჩვენა, რომ 2020 წელს ამერიკის საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების ხარისხის ზედამხედველობის სამსახურმა დაამტკიცა, რომ ბუზის ჭუპრები ეფექტურია კანისა და რბილი ქსოვილების შეუხორცებელი, ნეკროზული ჭრილობების, ვენოზური წყლულებისა და დიაბეტური ნეიროპათიის სამკურნალოდ.



**— ამერიკელები ამ მეთოდს იყენებენ?**

— 2013 წლის მონაცემებით, ამერიკელი სამხედრო ექიმების 10 პროცენტი ამ მეთოდს იყენებს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ **ამ საქმისთვის ყველანაირი ბუზი არ გამოდგება და ის აუცილებლად უნდა იყოს სტერილური და ლაბორატორიულ პირობებში გაზრდილი.**

**— მაინც როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან შაქრიანი დიაბეტი?**

**– შაქრიანი დიაბეტის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, ნაკლებად დავტვირთოთ პანკრეასის ჯირკვალი. ეს იმას ნიშნავს, რომ პანკრეასმა ინსულინი ნაკლებად უნდა გადაისროლოს სისხლში, რაც მიიღწევა ნახშირწყლებსა და შაქარზე უარის თქმით და წინა ინტერვიუებში აღწერილი ე.წ. კეტო-დიეტით!**

**„ევროპაში მკურნალობის ამ მეთოდის დანერგვა ნაპოლეონის მთავარი ქირურგის ბარონ დომენიკ ლარეის სახელს უკავშირდება!“**

სისხლში შაქრის დონის დასაწევად მიმართავენ იმ ქიმიურ პრეპარატებს, რომლის ძირითად შემადგენელ ნაწილს **მეტფორმინი** შეადგენს. ასეთი პრეპარატებია **„სიოფორი“ და „გლუკოფაჟი“,** მაგრამ არსებობს ერთი მცენარეული წარმოშობის ნივთიერება, რომელსაც **ბერბერინი** ეწოდება. ის ზუსტად ქიმიური **მეტფორმინის** ანალოგია. კერძოდ, უზმოზე დაბლა სწევს შაქარსა და ინსულინს და მეტფორმინისაგან განსხვავებით, ღვიძლის ლიპიდების ცვლას აუმჯობესებს. **ბერბერინი კოწახურის ძირითადი შემადგენელი ნაწილია და ჰომეოპათიური პრეპარატის „ბერბერისვულგარის“ სახით სამასი წელია, ჰომეოპათიაში გამოიყენება.** ამდენად, შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებმა რაც შეიძლება ბევრი კოწახური ჭამონ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

ვაზის მეტყველება

# მწარედ ნათქვამი სიმართლე სჯობს ტყუილს ნათქვამს ტკბილადა

***მკითხველისათვის ცნობილია, რომ 850 წლის რუსთაველს მივუძღვენი ერგასი (50) წლის მანძილზე საგარეჯოში, თბილისში, სოხუმში, ჩიტაში (ჯარში), მოსკოვში, კიევში, ლვოვში, ჩიკაგოში, სან-ფრანცისკოში, ვაშინგტონში, თელავში, თელ-ავივში, ანკარაში, ლონდონში, ოქსფორდში და სხვა ქალაქებში დაწერილი ფრაზები, ჯამში 850-სტრიქონიანი პოემა. იხილეთ „ვაზისა და 850 წლის რუსთაველის საუბარი“ და „წუთისოფლის წიგნი“ („ბიბლუსის“ მაღაზიებში). ამჟამად გთავაზობთ ახალი პოემის დასაწყისს, მთლიანად კი ეტაპობრივად გამოვაქვეყნებ 525-ვე ვაზის ჯიშების ხსენებით, ადგილმდებარეობით და ვაზის ამეტყველებით, სათაურით „ვითა ძმა შოთა ვაზისა“.***

ჯიში მწვანე მაქვს ვაზისა, მანავი კიდევ მხარეო,
გადავიარე ქვეყნები, მსოფლიოც მოვიარეო,
დავდივარ, დავალ, სიცოცხლის ჯერ დილა გავიარეო,
მანაველებო, ნაღვაწი სალხინოდ მაიხმარეო.

**ხიხვი ვარ თელავს ნახარი, უფლისგან მირონცხებული,**
**მოწითლო კუმშა მტევნებით, კახეთით გავრცელებული,**
**საამო ღვინის მომძღვნელი, თამარ მეფისგან ქებული,**
**ჯანანურითა ვყოფილვარ ოქროს ხანს დაღვინებული.**

ვაზს ვეკითხები, მიამბე, რატომ, რისთვისა სტირიხარ,
მოამაგე ხარ ხალხისა, შენთან მოსვლითა გულს ვიხარ,
ფოთლით რომ ნიახურს გავხარ, ბუდეშურივით წინ დგახარ,
მწადის რომ ვაზმა წარმოთქვას: ღვინოვ ქართულო, ძვირი ხარ.

**ბევრი ვიფიქრე, რუსთველო, სიკეთით, არა ჯავრითა,**
**უკვდავად როგორ იქეცი სახელოვანი გვარითა?**
**ვხსენი და ვენახს ამოვხსენ რიგებში ვაზთა ჯარითა,**
**დალოცვილი ხარ ღვთისაგან ნინოს ვაზისა ჯვარითა!**

კვალსა გონებით გავყევი, მადლობელი ვარ თავისა,
ვარსკვლავ მაგვარი ძმაც ვპოვე შენი და არა სხვაისა,
თან გამოვნახე ამინდი საუკეთესო თესვისა,
ძმადნაფიცი ხარ ვაზისა, გაუხმობელი ფესვისა.

**რქაწითელი ჯიშით ლაღობს, შემიდგი გვერდში სარიო,**
**შემოვეხვევი შვილივით, ველარ გადამტეხს ქარიო,**
**გამიფხვიერეთ ფესვები, ავაღორძინო ზვარიო,**
**რომ აღტაცებით ვატარო სამშობლოს დროშის ტარიო.**

წუთისოფელმა მასწავლა გზა მთისა, ბარის, ველისა,
ამბებიც ბევრი მიამბო ჩვენ მიწა-წყლისა ძველისა,
თურმე წესადაც გვქონია მტრობა კაცისა ქველისა,
გარეწრის თვალის მოკვრასა მიჯობს დანახვა გველისა.

**ვერ შეგვაშინებს ვერასდროს ვერცა ნაკბენი გველისა,**
**ვერცა ზრახვები ავისა, უვიცისა და მწველისა,**
**გულს მუდამ აგვიკანკალებს სიტყვები არაგველისა**
**კრწანისის ველზე ნათქვამი, დღევანდელ დღისაც მშველისა.**

შემოვუაროთ სამშობლოს, შევიგრძნოთ შიში შველისა
და არა მტრისა უბირის, ოხრისა, დამაწყევლისა,
მოწადინებით გავწიოთ უღელი ერის მწევლისა,
წახალისდება მოწაფეც ნაღვაწის დამნახველისა.

**კვლავ მოგახსენებთ არაკსა, ამბავსა ენაწყლიანსა,**
**აზრსა და ფიქრსა შაირით ნაწყვეტსა, არ მთლიანსა,**
**ვგმობ ღვინოს გაწყალებულსა, მოყვარეს ორგულიანსა,**
**მეც გიდასტურებთ ამბავსა ცნობილსა, ათასწლიანსა.**

ერთხელ ვენახს მიმავალმა გველი ვნახე შხამიანი,
გულმა მითხრა, ნუ მოჰკლავო, ეგეცაა საქმიანი,
სხვა რამ ქენი, სხვა იღონე, თუნდაც გერგოს სამიანი,
ნიჭი სდომია, მიუხვდე, ვინაა ადამიანი.

**ვაზო ნაზო, მოკაზმულო, ზიარებით ნაზიარო,**
**მიტომ გფურჩნი, გეფერები, ღვინო მქონდეს საზიარო,**
**სტუმარს, უცხოს, შინაურსა, ძმასაც ტკბილად ვაზიარო,**
**შენი მარცვლები, მტევნები ხალხს ხარბად გავუზიარო.**

ვაზო ლამაზო, მე შენთან მოვდივარ ფიქრის მსახავად,
ტკბილი მტევნების საცქერად, ნაცრის არ მოსანახავად,
საშაიროდა კიდევაც და არა სავაგლახავად,
ვენახში შრომა კაცისა ლხინია დასანახავად.

**სიმწრით ვაჟღერებ სატკივარს, ქვეყნის წყლულს ჩვენსა წილადა,**
**სოფელს მივხედოთ, იცლება, გავითავისოთ ვალადა,**
**სიცოცხლის ფესვი სამშობლოს გავუფხვიეროთ ფრთხილადა,**
**მწარე სიმართლე ბევრად სჯობს ტყუილს ნათქვამსა ტკბილადა.**

მწარედ მიტომ წაგიკითხეთ, გზები ერთად გამოვნახოთ,
დღესვე, სწრაფად, დიდკაცურად მას საშველი მოვუნახოთ,
ერთი-ორი თქვენც მითხარით, სად წავიდეთ, ვინა ვნახოთ,
რომ ეს ჭირი სატკივარი შვილს არასდროს შევუნახოთ.

**არას ვიტყვი საკვეხელსა, დავძენ მხოლოდ საქებელსა,**
**შევხარ შაირს დაშაქრულსა, ღამის ტკბილ გამთენებელსა,**
**კაცსა ერთგულსა, ალალსა, მეცნიერსა და მცნებელსა,**
**ხამს გაუმარჯოს ღვინოსა, სუფრისა მამშვენებელსა.**

მაღალო ღმერთო, გვიბოძე ხვავი, ბარაქა, ქონება,
კიდევ და კიდევ იდეა, მრავალი გამოგონება,
თუნდაც რომ ერთმა იჭექოს და მოჰყვეს აღფრთოვანება
იმდაგვარად, რომ სიცოცხლეს დავუგვირგვინოთ გონება.

**„ყმა ფრიდონს ეტყვის: ისწრაფვი, ვიცი, ამბისა თხრობასა,**
**გიამბო, ვინ ვარ, სით მოვალ, ვინათგან ჰლამი ცნობასა,**
**ანუ სით ვიცნობ ტარიელს, ანუ რად ვიტყვი ძმობასა,**
**იგი ძმად მიხმობს, ძმა ხარო, თუცა ძლივ ღირს ვარ ყმობასა.“**

შენ რო თავმდაბლად აცხადებ „თუცა ძლივ ღირს ვარ ყმობასა“,
მაშინ საბოძვარს მოგიძღვნით და აღარც გავწელ თხრობასა,
ერი და ბერი გილოცავთ შენსა და ვაზის ძმობასა,
უცხონიც მას იძახიან, მიგვიხვდნენ აზრთა წრთობასა.

**ღმერთო, ღმერთო, სახიერო, ძლიერო და მძლეო მძლავრო,**
**შენი მადლით, წყალობითა მსურს მკითხველი გავაბევრო,**
**დატანჯული გეაჯები, არვინ მინდა გავაჯავრო,**
**შოთას ძღვნილი შაირები ფონს გვირგვინით დავამთავრო.**

სადაც კომლები იცლება, ესაა უბედურობა,
ამის მიზეზი ერთია — მძლავრობდა უკეთურობა,
ჭირსა არ ვმალავ, ვაჟღერებ, არაა აქა ხუმრობა,
მჯერა, სატკივარს გააქრობს ქართველი ხალხის ერთობა.

**გაგინუგეშებთ შაირებს, ვიცით რომ კარგიც შენდება,**
**მეტყვის ბრძენი გონიერი, ქებად იღე, რაც მშვენდება,**
**ხოდა ვიღებ ხოტბად მეცა, საქებარი რომ გვიჩდება,**
**აი ესაა ნაღვაწი, დღე რო იმედით თენდება.**

დღევანდელი სჯობს გუშინდელს, მტრის თვალითაცა დგინდება,
სახელი საქართველოსი რადგან ამგვარად ბრწყინდება,
გავიმეოროთ გმირობა, ერს რომ არაკად აჩნდება,
ოქროს ხანისა დადგომა კვლავაც რომ დაგვირგვინდება!

**სამშობლო ჩვენი უებრო წინ მხრებით გასაწევია!**
**ერთად და ერთი მიზნისთვის მიღწევებს დასაწევია!**
**ვინაც აზრს გამიზიარებს, ზეიმზე მოსაწვევია,**
**ტკბილი დედ-მამა ხელებით ხვევნითა ასაწევია.**

მჯერა ამინდი გამოვა, პოლიტიკურად იდარებს,
დაგვიმშვენებენ შაირებს, არვინ არაფერს გვიშარებს,
ჩამოვიშორებთ გარეწრებს, მექრთამეებსა, სახედრებს,
და ამის შემდეგ სამშობლო ოქროს ხანითა იხარებს,

**სამშობლოც გაკაშკაშდება ცისქვეშეთს ხვალვე მთლიანად,**
**თუ დავაწესებთ ყველასთვის კანონს და წესებს ფხიანად,**
**უსამართლობის მოსპობას, ქცევას კი ლაზათიანად,**
**ნატვრას ვნატრულობ მე გლეხი ქვლივიძე ომახიანად.**

ვფიქრობ, ფიქრები გახდება ხვალისა მანათობელი,
რადგანცა ვარ ბუნებით ახლისა ამომცნობელი,
ისიც კი ვიცი, დასჭექავთ, ჭირია დასადნობელი,
და მოღალატე ყოველი არაა დასანდობელი!

***თამაზ ქვლივიძე***

**599-10-43-18**



# მიხეილ ცაგარელი:

# პლუტონის ზემოქმედება ამა თუ იმ ნიშნით დაბადებულზე მერწყულში მოძრაობის პერიოდში

*— პლანეტა პლუტონის მერწყულის ზოდიაქოში ხანგრძლივი ყოფნის პერიოდში რა იქნება მერწყულის ნიშნით დაბადებულთა ძირითადი მამოძრავებელი? რა და რა შესაძლებლობა მიეცემათ ანდა რას უნდა მოერიდონ? ამ პერიოდში თევზების ნიშნით დაბადებულებს რისი დაკონკრეტება მართებთ? პლუტონი მათ რისგან გაათავისუფლებს, რა შეიძლება გაუცხრილოს ანდა რა გახდება უფრო მნიშვნელოვანი, ან რაზე უნდა განაცხადონ უარი? ყველა ზოდიაქოს ნიშნის წარმომადგენელს 2024 წლის 19 ნოემბრამდე რისი უნიკალური შანსი მიეცემათ; მზის დაბნელების დღეებში რა რჩევები უნდა გავითვალისწინოთ? რას უნდა მივაქციოთ მეტი ყურადღება, რა გავაკონტროლოთ? ამგვარ დღეებში რა იკრძალება ანდა რისთვის არის სასიკეთო პერიოდი? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი იმ ცვლილებების, სიახლეების და რეკომენდაციების შესახებ, რაც, ზოგადად, ელის და რაც უნდა გაითვალისწინოს ზოდიაქოს ამა თუ იმ ნიშნის წარმომადგენელმა 2024 წლიდან პლანეტა პლუტონის ხანგრძლივი დროით (2043 წლამდე) მერწყულში გადანაცვლების პერიოდში. როგორც აღნიშნეთ, მერწყულის ნიშნით დაბადებულებს ახალი ცხოვრებისეული ციკლი დაეწყებათ, მიმდინარე მოვლენების მთავარი მოთამაშენი გახდებიან, რაც მათ დიდ წარმატებას უქადის...**

— 11. **დიახ, ამავდროულად, არავის და არაფრის გამო არ უნდა თქვან უარი იმ შესაძლებლობებზე, რომელსაც პლუტონი უბოძებს. მერწყულის ნიშნით დაბადებულის ძირითადი მამოძრავებელი უნდა გახდეს გააზრებული ამბიციურობა, პირდაპირობა, ბრძოლისუნარიანობა, ჟინიანობა და შეუპოვრობა. ამ დროს შესაძლებელი იქნება არაჩვეულებრივი ინოვაციური იდეების განხორციელება, სურვილების ასრულება, დიდი თანამდებობის დაკავება, საკუთარი საქმის წამოწყება, რაიმე დაჯგუფების ლიდერობა, პირადი ბრენდის სოციალურ ქსელში „გაპიარება“, საცხოვრებელი ადგილის და პირადი ცხოვრების მოწყობა და სხვანი.** მოიმატებს მათი შემოქმედებითი პოტენციალი, ქმედითუნარიანობა, ნაყოფიერება, რომანტიკულობა, თვითრეალიზაცია, ბიზნესისა და სამეწარმეო ნიჭი, გამჭრიახობა. **ნიშანდობლივია ისიც, რომ მერწყულს საკმარისზე მეტი ენერგია ექნება. ერთადერთი, იგი უნდა ერიდოს გარშემო მყოფებისთვის საკუთარი აზრისა და ნების ზედმეტად დაჟინებულ თავს მოხვევას,** წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალი იქნება კონფლიქტები.

12. **თევზების ნიშნით დაბადებულს კი ელოდება ღრმა შინაგანი ტრანსფორმაცია, რომელიც მის ცნობიერებას შეცვლის და ყოველივე იმას დააკონკრეტებს, რაც აქამდე მხოლოდ იდეის დონეზე ჰქონდა.** ამ ნიშნით დაბადებული, უპირველეს ყოვლისა, ქვეცნობიერი შიშებისგან გათავისუფლდებიან და უფრო თავდაჯერებულნი გახდებიან. ამგვარად, აქამდე ზედმეტად მიამიტი, იდეალისტი და მიმნდობი **თევზები** სულ მოკლე ხანში ისე შეიცვლება, რომ მის მოტყუებას ვერავინ ველარ შეძლებს. **შესაძლოა, მისი გარემოცვაც გაიცხრილოს.** უახლოეს წლებში მიღებული ცოდნა კი შემოქმედებითი და კარიერული ზრდის საწინდარი გახდება. ასევე **2025 წლიდან მეტ მნიშვნელობას შეიძენს ფინანსებთან და პირად ურთიერთობებთან დაკავშირებული თემები.** შესაძლებელი გახდება მომგებიანი ბიზნესის დაწყება ანდა დამამძიმებელი პირადი ურთიერთობებისგან გათავისუფლება. ამასთან, **თევზების** ნიშნით დაბადებულისთვის უმთავრესია, ყველაფერი წინასწარ თავად განსაზღვროს, დაგეგმოს და მხოლოდ ამის შემდეგ იმოქმედოს. რაც შეეხება არასტაბილურ და გაურკვეველ სიტუაციებს, ჯობს, ამაზე დროულად თქვას უარი. დაბოლოს შევახსენოთ ჩვენს მკითხველს ერთი საინტერესო დეტალი — **პლანეტა პლუტონმა პირველ ჯერზე მერწყულში გადაინაცვლა 2023 წლის 23 მარტს, თუმცა, დაწყებული 1 მაისიდან, იგი რამდენჯერმე გახდება რეტროგრადული და ასევე რამდენჯერმე დაბრუნდება თხის რქის ზოდიაქოში. საბოლოოდ კი მერწყულში გადაინაცვლებს 2024 წლის 19 ნოემბერს. შესაბამისად, ამ დრომდე ყველას უნიკალური შანსი ეძლევა, შეცდომები გამოასწოროს, საქმეები დაასრულოს, ძველ პროექტებს დაუბრუნდეს და ორმაგი მოგებაც მიიღოს. ამგვარად, პლუტონის ზეგავლენა უფრო დადებითი გახდება და მომავალში მეტ სიკეთეს მოუტანს.**

## 16 – 22 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ხელი შეეწყობა სწავლასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. გაზრდილი ინტელექტი კი კარიერულ აღმასვლას განაპირობებს. კოლეგებთან ჰარმონიული ურთიერთობა წარმატებას გაამყარებს. ნუ გარისკავთ. ეცადეთ, ხარჯები აკონტროლოთ და ფული ტყუილუბრალოდ არ გაფლანგოთ. მეტი ყურადღება დაუთმეთ მშობლებსა და საყვარელ ადამიანს, რათა თავი უფრო დაცულად, უსაფრთხოდ იგრძნოთ. კარგი პერიოდია მოგზაურობისთვის.

**კურო** (21.04-20.05)
ფიზიკური აქტიურობით ოჯახის არაერთ პრობლემას მოაგვარებთ. კარგი იქნება, თუ დაპირისპირებას აიცილებთ და სწრაფად გათავისუფლდებით უნაყოფო კავშირებისა და უსარგებლო ნივთებისგან. შესაძლოა, ახალი საინტერესო პერსპექტივა წარმოჩნდეს, რასაც მცირეოდენი გარისკვა დასჭირდება. ენერგიულობა და უცხოელ კოლეგებთან კონტაქტი პროფესიულ ზრდაში დაგეხმარებათ, მოგზაურობა დადებითად ჩაივლის. პირად ცხოვრებაში კი ცვლილებები არ არის მოსალოდნელი.

**ტყუპი** (21.05-22.06)
პროფესიულ საქმიანობაში გაუგებრობანი ახალი სამსახურის მოძიებისა და დამოუკიდებელი ბიზნესის დაწყებისკენ გიბიძგებთ. ძველ საქმეებს იოლად დაასრულებთ და შესაძლოა, კარგი გასამრჯელოც მიიღოთ. ამ პერიოდში სასარგებლო იქნება სპორტული ვარჯიშები, დინამიკური თამაშები და მეგობრებთან მხიარული გართობა. პირად ცხოვრებაში კი ეცადეთ, ურთიერთობა არ დაძაბოთ და არ იკამათოთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ფსიქოსომატური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ, ლოგიკურობა გაგიძლიერდებათ, რაც პრობლემების იოლად გადალახვაში დაგეხმარებათ. ასევე შეძლებთ პერიოდულად განმარტოებას და სამომავლო გეგმების გაანალიზებას. სასიყვარულო სფეროში მოსალოდნელია სერიოზული ნაბიჯების გადადგმის მცდელობა, რაც, ზოგ შემთხვევაში, ქორწინებით შესაძლოა, დასრულდეს. კარგი პერიოდია მოგზაურობისთვის.

**ლომი** (23.07-23.08)
აქტიურობა მოგემატებათ და მოისურვებთ მეგობრებთან შეხვედრასა და ძველი პირადი კავშირების განახლებას. გაზრდილი შრომისუნარიანობა და ამტანობა შემოქმედებით და შედეგიან მუშაობაში დაგეხმარებათ. ხელსაყრელი პერიოდია კარიერული აღმასვლისთვისაც. ჩანაფიქრი თამამად განახორციელეთ, რათა მომავალში მშვიდად იყოთ. მეუღლე და ოჯახის წევრები ყოველმხრივ დაგეხმარებიან. უცხოელებთან კავშირი და ინფორმაციის მიღება კი შესაძლოა, გაგიჭირდეთ.

**ქალწული** (24.08-23.09)
თქვენი იღბლიანობა ფინანსურ ოპერაციებთან მიმართებით გაიზრდება. კარგია ახალი ნივთების შეძენაც, შესაძლოა, მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხის მოგვარება მოგიწიოთ. გადაადგილებების რაოდენობა ჯობს, შეამციროთ, რათა არ დაშავდეთ. ოჯახში ეცადეთ, სიმშვიდე შეინარჩუნოთ, რათა ჯანმრთელობას არ ავნოთ. საყვარელი ადამიანი კი სულიერი წონასწორობის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ.

## 16 – 22 ოქტომბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
ადრინდელი საქმეების დასრულება ფინანსურ მდგომარეობას გაგიუმჯობესებთ. საქმეში წარმატებისთვის არაორდინარული გზები გამოიყენეთ. უფრო ამტანი და კომუნიკაბელური გახდებით. თავდაჯერება დაგეხმარებათ ახალი კავშირების დამყარებაში და სასიყვარულო ურთიერთობის სასიამოვნოდ წარმართვაში. კარგი პერიოდია იმიჯის შესაცვლელად, სახლის მოსაწესრიგებლად და დიეტის დასაწყებად.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ცნობისმოყვარეობითა და პრაქტიკულობით ბევრ საქმეს თავს გაართმევთ. ფიზიკური და შემოქმედებითი აქტიურობის კვირაა, როდესაც უნდა დაამყაროთ პარტნიორული ურთიერთობები და განახორციელოთ ჩანაფიქრი. ოჯახის წევრები სითბოსა და სიყვარულს არ დაინანებენ. ფინანსური მდგომარეობაც გამოსწორებას დაიწყებს, შემოსავლები მოიმატებს. შესაძლოა, საცხოვრებელი ადგილი შეიცვალოთ ან დასასვენებლად გაემგზავროთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
უფრო გონებამახვილი, მხიარული გახდებით, რაც თქვენ მიმართ დაინტერესებას გაზრდის. ახალი იდეების განხორციელებაში ბევრი ადამიანი დაგეხმარებათ. ადრე დაწყებული საქმეებიც ლოგიკურ შედეგს მოიტანს. შესაძლოა, სტუმრების მიღება მოგიხდეთ, თუმცა, თქვენც გაქვთ სადმე გამგზავრების კარგი პერსპექტივაც. პირადი ცხოვრებისა და სახლის საქმეებისთვის დრო არ დაგრჩებათ, რაც ახლობლების უკმაყოფილებას გამოიწვევს.

**თხის რქა** (22.12-19.01)
კონტაქტებსა და გადაადგილებების რაოდენობა გაიზრდება. ინტუიცია გაგიძლიერდებათ და განწყობაც გაგიუმჯობესდებათ. საქმეში კონკურენტულ ბრძოლას იოლად მოიგებთ, მაგრამ ეცადეთ, ფული ყაირათიანად დახარჯოთ და არ იცრუოთ. ეს ხელსაყრელი პერიოდია ინვესტიციებისთვის და კონტრაქტის გასაფორმებლად. ამ კვირაში დაწყებული რომანი ხანგრძლივი არ იქნება. სამაგიეროდ, შესაძლოა, ინფორმაცია მიიღოთ ძველი პარტნიორის შესახებ.

**მერწყული** (20.01-18.02)
ნათესავებთან ურთიერთობა თქვენს მომავალ ცხოვრებაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს. საკუთარ სახლში თავს ყველაზე მშვიდად იგრძნობთ. ეცადეთ, გააზრებულად და შედეგიანად იმოქმედოთ. შეყვარებულთან ფინანსების ანდა ნივთების გამო ნუ იკამათებთ. პირადი საუბარ-განხილვების რაოდენობა მოიმატებს. კარგი იქნება, თუ გარკვეულ დროს დაუთმოთ ჯანმრთელობას, გარეგნობასა და დასვენებას. ხელსაყრელი პერიოდია დიეტის დასაწყებად.

**თევზები** (19.02-20.03)
ახლობელთა შემოთავაზებებს ყურადღება მიაქციეთ. არსებული ვითარება გამოიყენეთ და თამამად გაიუმჯობესეთ მატერიალური მდგომარეობა. კარგი პერიოდია უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეებისთვის, რემონტისთვის ან ინტერიერის შეცვლისთვის. გამოცდილი ადამიანები დაგეხმარებიან გადაწყვეტილების მიღებასა და მიზნის მიღწევაში. გზაში ან მოგზაურობისას დამყარებული ნაცნობობა შესაძლოა, დიდ სიყვარულში გადაიზარდოს.

# რა უნდა გვახსოვდეს მზისა და მთვარის დაბნელების დღეებში

**— მოგეხსენებათ, 14 ოქტომბერს, ახალმთვარეობას, იყო მზის დაბნელება, ხოლო 29 ოქტომბერს სავსემთვარეობასთან ერთად მოსალოდნელია მთვარის დაბნელება. რას გვირჩევთ, ამგვარი დაბნელებების დღეებში რა უნდა გავითვალისწინოთ?**

— **ჩვენს ცხოვრებაზე მზის დაბნელების პერიოდი დადებითად რომ აისახოს, აუცილებელია, გვახსოვდეს შემდეგი:** ამგვარ დღეებში არ არის რეკომენდებული ახალი საქმის დაწყება. განსაკუთრებით, იმ იდეის განხორციელება, რომელიც უეცრად, მოულოდნელი ემოციებით იქნება გამოწვეული; მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ჯანმრთელობასაც, არ გადავიღალოთ და უარყოფითი თუ პესიმისტური აზრები გავაკონტროლოთ; სერიოზული ანდა გეგმით გათვალისწინებული სამედიცინო პროცედურები უკეთესი დროისათვის უნდა გადავდოთ, რადგან დიდი ალბათობაა იმისა, რომ გარკვეული პროცესი უარყოფითად წარიმართოს. ასევე არ არის რეკომენდებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება მაშინაც კი, თუ უეცრად გააცნობიერებთ, რომ დროა, რადიკალურად შეცვალოთ სიტუაცია. გარდა ამისა, **მზის დაბნელების პერიოდში** იკრძალება ალკოჰოლური სასმელების, ფსიქიკაზე ძლიერ მოქმედი მედიკამენტების მიღება. სასურველია, ასევე სხვათა ნამოქმედარი ან ნათქვამი გულთან ახლოს არ მიიტანოთ. შეეცადეთ, არსებული ვითარება არ გაამუქოთ, რათა სიტუაცია არ დაიძაბოს; გზებზე გადაადგილებისას და საჭის მართვისას განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ, შორეული მოგზაურობა კი გადადეთ. ამავდროულად, **მზის დაბნელების დღეები საუკეთესო პერიოდია, რათა გააცნობიეროთ თქვენი ხასიათის ნაკლოვანებანი ან ნიუანსები, რომელთა გამოსწორება ანდა გარდაქმნა გინდათ.** ამგვარ დღეებში სასიკეთოა წყლის პროცედურები, ლოცვითა და მედიტაციით აურისა და ენერგიის წმენდა და შინაგანი წონასწორობის დაბალანსება. სასიკეთოა, აგრეთვე, სანთლის, არომათერაპიისა და მინერალების გამოყენება. **მზის დაბნელების** პერიოდში საკმაოდ ძლიერდება ინტუიცია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ წინათგრძნობას. ეცადეთ, სიზმრები დაიმახსოვროთ და გააანალიზოთ.

*რუბრიკას უძღვება* **მარინა მერკვილაძე**

**მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 16, 18, 21 და 22 ოქტომბერი**

**29 ოქტომბერი – სავსემთვარეობა, პიკი – 00.24 საათზე, მთვარის დაბნელება, პიკი – 00.25 საათზე.**



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 16 ოქტომბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 07.14 საათზე, ჩადის 18.19 საათზე. **მთვარე** ღრიანკალშია. ამოდის 08.49 საათზე, ჩადის 19.01 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 10.08 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მეტი კეთილშობილება გამოავლინეთ. ამბიციურობამ და აგრესიამ შესაძლოა, კონფლიქტი წარმოშვას. ურთიერთობისას სიტყვები აკონტროლეთ. კარგი დღეა თვითშემეცნებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, მავნე ჩვევისგან გასათავისუფლებლად, ავტომობილის ყიდვა-გაყიდვისთვის, ცხოველების შესაძენად, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის. ეფექტური იქნება ყელ-ყურ-ცხვირისა და ენდოკრინული სისტემის მკურნალობა. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, რენტგენი და სხივური თერაპია, მგზავრობა, ბინის შეცვლა, სესხის აღება, ინტიმური კონტაქტები, გინეკოლოგიური გამოკვლევა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ონიქსი, იასპი, ზურმუხტი, ოქსიდიანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 17 ოქტომბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 07.15 საათზე, ჩადის 18.17 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.34) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 09.58 საათზე, ჩადის 19.30 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 11.36 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.43 საათიდან 23.36 საათამდე. **ტენდენციები:** იმატებს სასიცოცხლო ენერგია, შემოქმედებითობა. წარმატების გჯეროდეთ და ყველაფერი გამოგივათ. ურთიერთობისას ნუ გამოავლენთ აგრესიას, სარკაზმს, ეჭვიანობას. ეფექტური იქნება ყელ-ყურ-ცხვირისა და ენდოკრინული სისტემის მკურნალობა. კარგი დღეა პედაგოგიური და მეცნიერული მოღვაწეობისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, თვითშემეცნებისთვის, გეგმების დასახვისთვის, რემონტისა და რეცხვისთვის, გამოძიებისთვის, მასაჟისა და კოსმეტიკური პროცედურებისთვის. არ არის სასურველი მგზავრობა, სხივური თერაპია, ინტიმური კონტაქტები, ნოტარიუსთან საბუთების გაფორმება, ბინის შეცვლა, სესხის აღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა, ღვიძლი. **ქვები:** ოპალი, ოქსიდიანი, ქრიზოპრაზი, იასპი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

## 18 ოქტომბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 07.17 საათზე, ჩადის 18.14 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 12.18 საათზე, ჩადის 20.53 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 13.07 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს და ხვალ ნუ გამოავლენთ ეგოიზმს, ზედმეტ პატივმოყვარეობას, უკონტროლო ემოციას, მიღებული ინფორმაცია შეამოწმეთ. პროვოკაციას არ აჰყვეთ. არ არის სასურველი ალკოჰოლის მიღება, სისხლის გადასხმა, მშენებლობა. კარგი დღეა სუნთქვითი ვარჯიშებისთვის, წყლის პროცედურებისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, მგზავრობისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, უცხოელებთან კონტაქტებისთვის. ეფექტური იქნება ფილტვების, ბრონქების, ხელების, მეტყველების მკურნალობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული. **ქვები:** ფირუზი, ნეფრიტი, ლაზურიტი, საფირონი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 19 ოქტომბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 07.18 საათზე, ჩადის 18.13 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 13.22 საათზე, ჩადის 21.51 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 14.33 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.01 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს დააზუსტეთ თქვენი მიზანი და განხორციელება დაიწყეთ. აქტიურად იმოქმედეთ. ბავშვებს ქუჩაში გადაადგილებისას ყურადღება მიაქციეთ. ეფექტური იქნება სუნთქვითი ვარჯიშები და წყლის პროცედურები, ფილტვების, ხელების, მეტყველების მკურნალობა, მასაჟი. კარგი დღეა მგზავრობისთვის, იურიდიული საქმეებისა და სასამართლო პროცესებისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, ტურისტული ლაშქრობებისთვის, სამეცნიერო კვლევებისთვის, უცხოელებთან კონტაქტისა და უცხოეთში კაპიტალდაბანდებისთვის, ხელშეკრულების დასადებად, ცხოველების შესაძენად. არ არის სასურველი მშენებლობა, სისხლის გადასხმა, ყურის გახვრეტა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, საფირონი, ლაზურიტი, ქარვა, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 20 ოქტომბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 07.18 საათზე, ჩადის 18.13 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (05.47) თხის რქაში. ამოდის 13.22 საათზე, ჩადის 21.51 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 15.42 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 05.47 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს მეტი ყურადღება გამოავლინეთ. საჭის მართვისას აზარტს მოერიდეთ. არ არის სასურველი ხალხის მასაში ყოფნა, სიმძიმის აწევა, მკვეთრი მოძრაობები, ფინანსური ოპერაციები, ხელმძღვანელთან ურთიერთობა, სტომატოლოგიური პროცედურები. კარგი დღეა ავეჯის, სარემონტო მასალის, საათის შესაძენად, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, მშენებლობისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, ეპილაციისთვის, ეფექტური იქნება კუჭ-ნაწლავის მკურნალობა. შესაძლოა, სულიერი აღმაფრენა დაგეუფლოთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 21 ოქტომბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 07.19 საათზე, ჩადის 18.11 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 14.17 საათზე, ჩადის 23.00 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 16.28 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენცები:** დღეს მეტი დრო სახლსა და ყოფით საკითხებს დაუთმეთ. მოერიდეთ ხალხის მასაში ყოფნას, კონფლიქტებს. მაღალია ენერგოდაბინძურების ალბათობა. დროსა და ენერგიას ფუჭად ნუ დახარჯავთ. ურთიერთობისას სიტყვაძუნწი და ცივი ნუ იქნებით. ეფექტური იქნება კუჭ-ნაწლავისა და მკერდის მკურნალობა. კარგი დღეა მავნე ჩვევისაგან გათავისუფლებისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, საოფისე ავეჯისა და საათების შესაძენად, ექიმთან კონსულტაციისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, მშენებლობისთვის, კოლექციის შესაგროვებლად. არ არის სასურველი სიმძიმის აწევა, მკვეთრი მოძრაობები, ალერგიის გამომწვევი პროდუქტის მიღება, სტომატოლოგიური პროცედურები, ფინანსური ოპერაციები, ქორწინება, ხელმძღვანელთან ურთიერთობა, ვაჭრობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მარჯანი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

## 22 ოქტომბერი, კვირა

**მზე** იმყოფება სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 07.21 საათზე, ჩადის 18.10 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (10.01) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 15.02 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 16.54 საათზე. მე-2 ფაზა იწყება 07.30 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან გონებისა და ინტელექტის მმართველი პლანეტა მერკური გადაინაცვლებს ღრიანკალის ზოდიაქოში (10 ნოემბრამდე), რაც გააძლიერებს ინტუიციას, კოსმოსური საიდუმლოებებით დაინტერესებას, ორგანიზებულობას, დისციპლინას, შეუპოვრობას, ბრძოლისუნარიანობას და ასევე სარკასტულობას, ეჭვიანობას, აგრესიულობასაც. დღეს შეეცადეთ, აუცილებელი გადაწყვეტილება სწრაფად მიიღოთ. შესაძლებელია ძველი ვალდებულებებისგან თავის დაღწევა. ურთიერთობისას იმატებს ნევროზულობა. ზედმეტ ლაპარაკს და ხალხის მასაში ყოფნას მოერიდეთ. კარგი დღეა საზოგადოებრივი საქმიანობისთვის, ბინის შესაცვლელად, სესხის ასაღებად, სამღებრო-სარემონტო სამუშაოებისთვის, განცხადება-რეკლამირებისთვის, მასაჟისთვის. არ არის სასურველი საიდუმლოს გამხელა, ფორიაქი. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, მხედველობა, ვენები, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ძოწი, ლაბრადორიტი, ცირკონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## საეკლესიო კალენდარი



✝ **16 ოქტომბერი. ორშაბათი.** მღვდელმოწამეთა: დიონისე არეოპაგელისა, ათენელი ეპისკოპოსისა, რუსტიკე ხუცისა და ელევთერ დიაკონისა; ღირსისა იოანე ქოზიბელისა, კესარიელი ეპისკოპოსისა; ნეტარისა ისიხი ქორებელისა.

**17 ოქტომბერი. სამშაბათი. მღვდელმოწამისა ევდემოზ I-ისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა;** მღვდელმოწამისა იეროთესისა, ათენელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა: გაიოზისა, ფავსტოსისა, ევსევისა და ქერიმონისა; მღვდელმოწამისა პეტრე კაპეტოლიელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა: დომნინასი და ორთა ასულთა მისთა ვირინეასი და პროსკუდიასი; ღირსისა ამონისა; ღირსისა პავლე უბრალოსი; მოწამეთა დავიკტისა და ასულისა მისისა კალისთენიასი; წმიდისა სტეფანე შილიანოვიჩისა.

✝ **18 ოქტომბერი. ოთხშაბათი. ღირსისა გრიგოლ ხანძთელისა, კლარჯეთის სავანეთა აღმაშენებელისა და არქიმანდრიტისა;** ტაო-კლარჯეთის უდაბნოთა ღირსთა მამათა და დედათა: კათალიკოსთა: ნერსესი, იშხნის პირველად აღმაშენებელისა და ნეტარისა ილარიონისა, წყაროსთავის მამისა და აღმაშენებელისა; მღვდელმთავართა: სტეფანე მტბევარისა, ზაქარია ანჩელისა, მაკარი ანჩელისა, ეზრა ანჩელისა, საბა იშხნელისა...

✝ **19 ოქტომბერი. ხუთშაბათი. წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა თომასი.**

✝ **20 ოქტომბერი. პარასკევი. ღირსისა იოსებ ხუცისა, მოხევისა, სასწაულმოქმედისა;** მოწამეთა: სერგისა და ბაქოსი; მოწამეთა იულიანე ხუცისა და კესარი დიაკონისა; მოწამისა პელაგია ტარსიელისა; მოწამისა პოლიქრონი ხუცისა.

✝ **21 ოქტომბერი. შაბათი.** ღირსისა პელაგია ელეონელისა; ღირსისა ტაისიასი; წმიდისა პელაგია ქალწულისა.

✝ **22 ოქტომბერი. კვირა. მოციქულისა იაკობ ალფესისა;** ღირსთა ანდრონიკესი და ცოლისა მისისა ათანასიასი; მართლისა აბრაჰამ მამამთავრისა და ძმისწულისა მისისა ლოთისა; მოწამეთა ებენტი და მაქსიმე მხედართა; წმიდისა პოპლია აღმსარებელისა, ანტიოქიელი დედათდიაკონისა; ღირსისა პეტრე გალატიელისა.


თამარისი Tamarisi

დაინახე:




ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38

571 19 93 93 598 79 40 00

www.facebook.com/tamarisioptics



მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადაგარ-დაუდის“ დირექტორი, მკურნალი-პარაფსიქოლოგი

ნინო ბათუმიდან: — მყავს 30 წლის ვაჟი. მოულოდნელად **მიეძალა ალკოჰოლს, დაუმეგობრდა ცუდ ბიჭებს და ჩაება აზარტულ თამაშებში.** ქალბატონმა **ნანამ** მის ფოტოზე იმუშავა, მე მცირედი დავალება მომცა. **სრულიად გამოჯანმრთელდა შვილი, ბიზნესშიც ჩაერთო.**

**მალვინა, თბილისიდან: —** სამშვილიანი, მოსიყვარულე ოჯახი მქონდა. მეუღლის ხმამაღალი სიტყვა არ გვსმენია. თანდათან **თავის თავში ჩაიკეტა, არ ლაპარაკობდა, ჩვენი დანახვაც არ უნდოდა, ზოგჯერ აგრესიული ხდებოდა, თავის მოკვლაც სცადა, ვენები გადაიჭრა.** თვითონ მოქმედი ექიმი-ნევროლოგია, მაგრამ მისი მკურნალობა წამლებს არ ექვემდებარებოდა. ქალბატონმა **ნანამ** ფოტოსურათით მოუხსნა ყველაფერი ისე, რომ მას არაფერი გაუგია. სამსახურშიც გავიდა.

**ზურა, 40 წლის, ზუგდიდი, ბიზნესმენი:** — მაწუხებდა **კუჭ-ნაწლავის წყლულები, ეროზიები** და კიდევ ბევრი სხვა რამ. **დიეტამ ლოგინად ჩამაგდო.** ძმაკაცმა მირჩია, რომ **ქალბატონი ნანასგან** მომიტანდა წამლებს. მან დიეტა მომიხსნა, გადავედი კვებაზე, 10 დღეში ფეხზე დავდექი, წონაშიც მოვიმატე. **მე ამას საოცრებას ვუწოდებ!**

*შეგიძლიათ მიმართოთ სხვადასხვა პრობლემებზე. ტელეფონზე გიპასუხებთ, შეუძლია თუ არა თქვენი დახმარება.*

თბილისი, წერეთლის გამზირი 57, ოფისი 777.
599 49 84 23 ნანა


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. კამბალა; 7. ჰაინე; 12. რეალობა; 13. ნიცშე; 14. ნარვალი; 15. რონდო; 16. ზმანება; 17. სმენა; 18. უნამუნო; 19. კრავი; 20. ნეოგენი; 21. სტეპი; 22. უნაგირა; 26. რაიხი; 28. შატილი; 31. დილა; 33. სმარაგდი; 34. ბუვიე; 35. კაბერნე; 36. ლავა; 37. გაგარინი; 41. ლორდი; 42. კომოდი; 45. ბოლი; 46. გარიბალდი; 47. ზიჩი; 49. ოპერეტა; 52. აკადემია; 57. ლეონიძე; 58. ბაზილიკა; 62. მორიკონე; 63. ფარეხი; 65. ლარიქსი; 66. მირაბელი; 67. ოპერაცია.

შვეულად: 1. კენგურუ; 2. მარსალა; 3. ანანური; 4. არიზონა; 5. სარაგოსა; 6. გობელენი; 7. ჰარაკირი; 8. იანვარი; 9. ენოსისი; 10. აცტეკები; 11. კერამიკა; 23. ნამჯა; 24. გერმა; 25. რაგბი; 27. ხავერდი; 28. შიკი; 29. ტაბლო; 30. ლარგო; 31. დელიბი; 32. ლევილი; 34. ბელი; 37. გაგრა; 38. გორდა; 39. რაბლე; 40. ნოლტი; 42. კიო; 43. მგელი; 44. დრელი; 47. ზალა; 48. ჩიორა; 50. ტირე; 51. მედინა; 53. კროლი; 54. დეიდა; 55. მეორე; 56. აბელი; 59. ზერო; 60. ლოქო; 61. კლიო; 63. ფრე; 64. რვა.

**კვარტალისტილეტიციალიმონიავაზაქარავანილინი**
**კარატისტივენდეტალიკანიბალისტადიონისენიორი**

| დროის 3-თიანი მონაკვეთი | სამწახნაგოვანი პირის მქონე პატარა ხინჯალი | ციმციმი | ქართველი მსახიობი ჯემალ... | მექორწილე ჩხიკვები ქეთევან და ... | ვანილის სუროგატი |
|---|---|---|---|---|---|

| ე.წ. მეოთხე დაცვა ფარიკაობაში | უნგრელი კომპო-ზიტორი | მოდელი ... კასტა | ციტრუსი | მტაცებელი ცხოველი | აქლემების მწკრივი | ამერი-კელი რეჟისორი |
|---|---|---|---|---|---|---|



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. ზღვის ბრტყელი თევზი, რომელსაც ორივე თვალი ერთ მხარეს აქვს; 7. გერმანელი პოეტი; 12. სინამდვილე; 13. გერმანელი ფილოსოფოსი; 14. დელფინების ოჯახის იშვიათი ცხოველი; 15. განსაკუთრებულად მომრგვალებული ასოები ან სასტამბო შრიფტი; 16. სიზმარი; 17. ყურის შეგრძნება; 18. იაპონელი მწერალი, ფილოსოფოსი; 19. ცხვრის ნაშიერი; 20. დედამიწის ისტორიის მესამეული პერიოდის მეორე ნახევარი; 21. უტყეო, ბალახით დაფარული სივრცე; 22. მომცრო ჩაღრმავება მთის ორ სიმაღლეს შორის; 26. გერმანიის სახელმწიფო, იმპერია; 28. სოფელი დუშეთის რაიონში; 31. საუზმის დრო; 33. მინერალი, მწვანე ფერის ძვირფასი ქვა; 34. ჟაკლინ კენედის ქალიშვილობის გვარი; 35. ფრანგული ვაზის ჯიში; 36. ვულკანური მასა; 37. რუსი კოსმონავტი; 41. თავადაზნაურთა მემკვიდრეობითი ტიტული ინგლისში; 42. უჯრებიანი ავეჯი; 45. კვამლი; 46. იტალიის სახელმწიფო გმირი; 47. უნგრელი ფერმწერი; 49. მიუზიკლი; 52. უმაღლესი სამეცნიერო სახელმწიფო დაწესებულება; 57. ქართველი მწერალი; 58. უგუმბათო ტაძარი; 62. იტალიელი კომპოზიტორი; 63. ცხვრის საზამთრო სადგომი; 65. ფიჭვისებრთა ოჯახის მცენარე; 66. ერთგვარი ჯიშის ღოღნოშო; 67. ქირურგიული ჩარევა ზოგი დაავადების სამკურნალოდ.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ავსტრალიური ჩანთოსანი ცხოველი; 2. ერთგვარი სადესერტო ღვინო; 3. ციხე-სიმაგრე დუშეთის რაიონში; 4. აშშ-ის შტატი; 5. ქალაქი ესპანეთში; 6. ხელით ნაქსოვი კედლის ხალიჩა; 7. თვითმკვლელობის წესი იაპონიაში; 8. ზამთრის თვე; 9. მოძრაობა კვიპროსის საბერძნეთთან შეერთებისათვის; 10. მექსიკის ინდიელები; 11. გამომწვარი თიხის ნაკეთობები; 23. მომკილი პურის ღეროები; 24. რბილი, წმინდა ბუმბული; 25. სპორტის სახეობა; 27. ხაოს მქონე აბრეშუმის ქსოვილი; 28. მოჩვენებითი გარეგნული ბრწყინვალება; 29. სასიგნალო შუქოვანი დაფა; 30. ნელი ტემპის აღმნიშვნელი ტერმინი მუსიკაში; 31. ფრანგი კომპოზიტორი; 32. ქართველთა სამოსახლო საფრანგეთში; 34. ტელეფონის ინგლისელი გამომგონებელი; 37. ქალაქი აფხაზეთში; 38. მოკლე, უვადო ხმალი; 39. ფრანგი მწერალი; 40. ამერიკელი მსახიობი ნიკ...; 42. რუსი ილუზიონისტი; 43. გარეული ცხოველი; 44. სასვრეტელა; 47. დიდი ოთახი ბინაში; 48. პატარა ჩიტი, ჩიტუნია; 50. სასვენი ნიშანი; 51. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი; 53. ცურვის სახეობა; 54. დედის და; 55. ორის რიგობითი რიცხვითი სახელი; 56. კაენის მსხვერპლი ძმა; 59. ნული ქულა რულეტზე; 60. თევზის სახეობა; 61. ეპიკური პოეზიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 63. ყაიმი; 64. ოქტეტის შემსრულებელთა რიცხვი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| კარატეს მოჭიდავე | სისხლის აღების ადათი კორსიკაზე | ქართული მინერალური წყალი | ლოდსატყორცნი მანქანა (ძვ.) | ღვინის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში | ბოსტნეული სანელებელი |
|---|---|---|---|---|---|

| ძვირფასი თვლების წონის ერთეული | მსახიობი ... სიგალი | მანქანის, მექანიზმის ნაწილი | კაციჭამია, ველური | სპორტული ნაგებობა | ბატონი ესპანეთში |
|---|---|---|---|---|---|

## ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ (ᲐᲠ) ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲔᲜ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ᲐᲡᲐᲕᲐᲚ ᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ

2023 წლის 16 – 22 ოქტომბერი №45 (1509)

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

2 009882 637296

მედიაკორპორაცია "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲚᲐᲨᲐ ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ



*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*



**ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲔᲗ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚ ᲤᲝᲡᲢᲐᲖᲔ:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის" ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**



გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის" სტამბაში.**


